საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

მედიცინა ძველ სამყაროში

სალექციო კურსის ავტორი: ნესტან ეგეტაშვილი

თბილისი 2017

შინაარსი:

შესავალი

1. სიტყვა მედიცინის ეტიმოლოგია 3-4;
2. მითი ასკლეპიოსზე და ასკლეპიადები 4- 6;
3. კვერთხზე შემოხვეული გველის სიმბოლიკა 7-8;

I. პრეისტორიული მედიცინა 8-14;

II. მედიცინა ადრეულ ცივილიზაციებში (მესოპოტამია: შუმერი, ბაბილონი, ასირია)..... 14-24;

III. ეგვიპტური მედიცინა..... 24-33;

IV. ოქრომრავალი კოლხეთი და მედეა..... 33-38;

V. ძველი აღთქმა და მედიცინა..... 39-42;

VI. ძველაღმოსავლური მედიცინა

1. ინდოეთი..... 42-47;
2. ჩინეთი..... 47-55;
3. ირანი..... 55-58;

VII. ანტიკური მედიცინა

1. მედიცინა ძველ საბერძნეთში..... 58-69;
2. დიდი ჰიპოკრატე 69-77;
3. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ..... 77-81;

4. **პითაგორა, ემპედოკლე, პლატონი, არისტოტელე 81-83;**

5. **ელინისტური მედიცინა (ალექსანდრია; ჰეროფილოსი და ერასისტრატოსი)..... 83-87;**

6. **მედიცინა ძველ რომში..... 87-94;**

VIII. მედიცინა ქრისტიანულ ეპოქაში (ბიზანტიის იმპერია)..... 95-100;

IX. მედიცინა ძველ საქართველოში..... 100-102;

ბიბლიოგრაფია ..... 102-103.

შესავალი

სიტყვა მედიცინის ეტიმოლოგია

მედიცინა *(medicina)* ლათინური სიტყვაა და მკურნალობის ხელოვნებას ნიშნავს. იგი წარმოდგება სიტყვა *medicus*-ისაგან, რაც მკურნალის, ანუ ექიმის აღმნიშვნელია. თავდაპირველად, სიტყვა *medicus-ი* ჩვეულებრივი, საზოგადო ტერმინი იყო, რომელიც გულისხმობდა ყველა იმ ადამიანს, ვისაც კი შეხება ჰქონდა სამკურნალო ხელოვნებასთან ან ზრუნავდა პაციენტთა ჯანმრთელობაზე. *Medicus*-ის ბერძნული შესატყვისია სიტყვა *ἰατήρ.* შესაძლებელია, რომ სიტყვა *medicus -ი* ენათესავებოდეს ძველ ოსკანურ ტერმინს meddix", რაც საჯარო მოხელის აღსანიშნავად გამოიყენებოდა[1]. იგი წარმოდგება ზმისაგან *medeor,* რომლის ფუძეში გამოიყოფა ძველი ინდოევროპული ძირი *Ma, Mad* და ასევე *Med*, რაც ნიშნავს ფიქრს, ჩაფიქრებას, განხილვას, განსჯასა და ზრუნვას[2].

საინტერესოა, რომ ბერძნულში სიტყვა *μέδομαι* გარდა იმისა, რომ ნიშნავს რაიმეს შესახებ ფიქრს, ის ასევე ითარგმნება, როგორც *ვინმეზე*

[1] Skinner, Henry Alan: The Origin of Medical Terms, Baltimore, 1949, 228.
[2] Lewis, Charlton T.: An Elementary Latin Dictionary, N.Y. 1918, 944.

ზრუნვა, მფარველობა[3]. ამ მნიშვნელობას მივყავართ ბერძნულ ზმნამდე *μήδομαι,* (რაც ნიშნავს *ფიქრს, განსჯას, ზრუნვას*) და არსებით სახელამდე *μῆδος (მრ. Μήδεα),* რაც ასევე ნიშნავს *ფიქრს, განზრახვას, ზრუნვას, მღელვარებას, განგაშს*[4]. იგივე ძირი ჩანს კოლხი მედეას სახელში (ძველბერძნულად ἡδεια), რომელსაც ევრიპიდე თავის ტრაგედიაში ამგვარი ეპითეტებით ამკობს: კუდიანი, გრძნეული, ინტრიგანი, ეშმაკი, ცბიერი, რაღაც ხერხების მცოდნე. ცნობილია, რომ ერთ-ერთი მოსაზრებით , სიტყვა მედიცინა კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის - მედეას სახელთანაა დაკავშირებული.

მსგავსი ძირი (Med) იჩენს თავს სახელებში: არქიმედე, დიომედე, განიმედი, ლაომედონი, მედუზა[5], რაც ბერძნული მითოლოგიიდანაა ჩვენთვის ცნობილი. საინტერესოა, რომ medicus-ი ეწოდებოდა პიროვნებას, რომელსაც შუამავლის ფუნქცია ეკისრებოდა ადამიანებსა და ღმერთებს შორის[6]. სწორედ ამის გამო, მასვე მიეწერებოდა ქურუმის ფუნქციაც[7]. ზოგადად, ადრეული მედიცინა მჭიდრო კავშირშია ადრეულ რელიგიასთან. ამ მოსაზრებას ტერმინების - *Mediator, Medius* - ფუძეში *Med* ძირის არსებობაც ამყარებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მედიცინა მეცნიერებისა და პრაქტიკული საქმიანობის დარგია, რომელიც მიმართულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების თავიდან აცილებისა და მკურნალობის, სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ. იგი ლათინური სიტყვიდან (Medicus - ექიმი, მკურნალი) წარმოდგება, რომლის ფუძეში აშკარად გამოიყოფა ძველი ინდოევროპული ძირი Med, რაც გულისხმობდა ფიქრს, განსჯას, ზრუნვას. ექიმი (Medicus) ფიქრის, განსჯის და დაავადების ყურადღებით გამოკვლევის შემდეგ, ზრუნავდა პაციენტსა და მის ჯანმრთელობაზე. დღესაც კი, როდესაც მედიცინა განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფება, ამ დარგში არსებული უახლესი ლიტერატურის ავტორები ხაზს უსვამენ, რომ აუცილებელია მედიცინის ძირეულ მნიშვნელობასთან დაბრუნება: პროფესიული ცოდნის გარდა ექიმი ვალდებულია იყოს გამჭრიახი და მზრუნველი, ჰქონდეს პაციენტის მთლიანობაში აღქმისა და პრობლემის ყველა ასპექტის სწორ

---

[3] Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь, Т. II, Москва, 1958, 1061.

[4] Ibid: 1091.

[5] საშინელ ურჩხულთა მოდგმას დაუდეს სათავე ფორკისმა და კეტომ. მათ შვილთა შორის ყველაზე შემზარავები გორგონები იყვნენ. ისინი სახლობდნენ ოკეანოსის გადაღმა, ღამის საზღვრებთან, ჰესპერიდების მახლობლად. მათგან ორნი - სთენო და ევრიალე, უბერებელნი და უკვდავნი იყვნენ, ხოლო მესამე, მედუზა კი - მოკვდავი. შიშის ზარს სცემდა მათი შეხედვა ადამიანებს - თმების მაგივრად თავზე გველები ჰქონდათ ამოსული, ხოლო ვინც გორგონებს თვალს გაუსწორებდა, მას გაქვავება არ ასცდებოდა. შემდგომ მესუზას გმირი პერსევსი მოჰკვეთს თავს, საიდანაც იშვებიან პეგასოსი - სასწაული ფრთოსანი ცხენი და დიადი ქრისაორი, ოქროს მახვილით შობილი (ბერძნული მითების სამყარო, ქაოსიდან კოსმოსამდე, წინათქმა, თხრობა, კომენტარები რისმაგ გორდეზიანისა, თბილისი, 1998, 20-21).

[6] Andrews, Edmund: A History of Scientific English, N.Y. 1947, 109.

[7] Ibid: 147.

პერსპექტივაში დანახვის უნარი. ეს თვისებანი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე სინდრომის დეტალური ცოდნა, არაჩვეულებრივი მეხსიერების ქონა თუ სწავლის ღრმა სურვილი[8].

მითი ასკლეპიოსზე და ასკლეპიადები

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მკურნალობისა და ექიმთა ღმერთი ასკლეპიოსი აპოლონის შვილია. ობოლი ყმაწვილი უდედოდ გაიზარდა.

როდესაც მშვენიერმა დაფნემ უარყო აპოლონის სიყვარული და ამის გამო დამწუხრებული ღმერთი უკან ბრუნდებოდა, გზად შემოხვდა ლამაზღაწვება ნიმფა კორონისი, ლაპითების მეფის ასული. კორონისი ხშირად ბანაობდა ხოლმე თესალიის ტბა ბოიბეში და სწორედ იქითკენ მიემართებოდა იმჟამად. ასული აპოლონმა დაფნეს მიამსგავსა, შეუყვარდა და შეეუღლა კიდეც.

არ დარჩა კორონისი აპოლონის ერთგული, უღალატა მან ოქროსკულულებიან ღმერთს და ამის გამო სიცოცხლეს გამოესალმა. დიდი ხანი იყო, რაც კორონისს არკადიელი მეფისწულის, ისქოსის ტრფობა ედო გულში. ერთხელაც, როდესაც უკვე აპოლონის ვაჟს ატარებდა მუცლით, კორონისი მარტო დარჩა სახლში - აპოლონი დელფოშო გაისტუმრა და ისქოსს თავის თალამოსში შეუძღვა. თეთრი ყვავი, რომელიც აპოლონს კორონისის სადარაჯოდ ჰყავდა დატოვებული, მყის გაემართა პატრონთან და ღალატი შეატყობინა. მაგრამ აპოლონმა მისნობის მეშვეობით ეს ამბავი უკვე იცოდა. იგი განურისხდა ყვავს და დაწყევლა იმის გამო, რომ მან არ ამოთხარა თვალები ისქოსს, როდესაც ეს უკანასკნელი მის სატრფოს მიუახლოვდა. ამ წყევლის გამო ყვავი ერთბაშად გაშავდა და მას შემდეგ მთელი მისი შთამომავლობა შავი ფერისა იბადება. შეურაცხყოფილმა აპოლონმა არტემისს[9] შესჩივლა თავისი შერცხვენა. არტემისმა სამაგიერო გადაუხადა კორონისს და ისრებით მოკლა თავისი ძმის მოღალატე. ისქოსი კი თავად აპოლონმა განგმირა ისრით. შემდეგ, როდესაც სამგლოვიარო კოცონზე ცეცხლმოდებული ქალის გვამს უცქერდა, აპოლონი სინანულით აღივსო, მაგრამ გვიანღა იყო. კორონისის სული უკვე გაემართა ჰადესისაკენ. შეწუხებულმა ღმერთმა ჰერმესს[10] უხმო. ჰერმესმა მკვდარი კორონისის წიაღიდან ამოიყვანა ჯერ კიდევ ცოცხალი ჩვილი ასკლეპიოსი და მამას გადასცა.

---

[8] Charen, T., The Etymology of medicine, Washington, www.ncbi.nlm.nih.gov, 220.

[9] არტემისი, ბერძნულ მითოლოგიაში ნადირობის ქალღმერთი, ზევსისა და ლეტოს ასული და აპოლონის ტყუპისცალი დაა.

[10] ჰერმესი, ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთთა მაცნე, მოგზაურთა მფარველი და გარდაცვლილთა სულების გამცილებელია.

აპოლონმა ვაჟი სიბრძნით გამორჩეულ კენტავრ ქირონს[11] მიაბარა. ქირონმა სხვა ყველაფერთან ერთად ასკლეპიოსს მკურნალობის ხელოვნებაც შეასწავლა, თანაც ისე კარგად, რომ მოსწავლემ მასწავლებელს ბევრად აჯობა ოსტატობაში და ექიმთა მფარველი ღმერთის სახელიც დაიმკვიდრა. ასკლეპიოსს მკურნალობის ხელოვნებას მამამისი აპოლონიც ასწავლიდა.

ასკლეპიოსს დიდი სიმდიდრე ჰქონდა ხელთ - მას ათენამ პერსევსის მიერ მოკლული გორგო მედუზას სისხლი გადასცა. ღვთაებრივი ექიმი გორგოს მარცხენა ნაწილისაგან გამონადენ სისხლს ადამიანთა დაღუპვისათვის იყენებდა, ხოლო მარჯვენა ნაწილისაგან გამონადენს კი - სიცოცხლის გადასარჩენად. ამ სისხლითა და გასაოცარი ცოდნით ასკლეპიოსი არა მხოლოდ საუკეთესოდ კურნავდა ავადმყოფებს, არამედ სიცოცხლესაც კი უბრუნებდა გარდაცვლილებს. მან, მაგალითად, გააცოცხლა ლიკურგოსი და კაპანევსი, ტინდარევსი და ჰიმენი, თესევსისა და ამორძალთა დედოფლის ვაჟი ჰიპოლიტოსი. მან სიცოცხლე დაუბრუნა, აგრეთვე, კრეტის მეფე მინოსის პატარა ვაჟს, გლავკოსს, რომელიც თაგვს გამოეკიდა, მაგრამ თაფლით სავსე კასრში ჩავარდა და დაიხრჩო. არ დაურჩა კმაყოფილი მეფე მინოსი ასკლეპიოსს და მოსთხოვა, ესწავლებინა მისი ვაჟისთვის მისნობის ხელოვნება. იძულებული გახდა ასკლეპიოსი აესრულებინა მეფის ნება, შემდეგ კი უბრძანა მეფისწულს, ჩაეფურთხებინა მისთვის პირში. ამან გლავკოსს დაავიწყა ყველაფერი, რაც კი ღმერთს მისთვის ესწავლებინა. მოკვდავთა გაცოცხლებით გაბრაზებულმა ჰადესმა[12] ასკლეპიოსს ზევსთან უჩივლა, რომ აპოლონის ვაჟი მას მიცვალებულთა სულებს ართმევდა. ამასთან ასკლეპიოსს მოშურნეებმა დააბრალეს, თითქოს იგი ადამიანთა გაცოცხლებისათვის ქრთამს იღებდა. ზევსმა სამართლიანად ჩათვალა მიწისქვეშეთის მეუფის საჩივარი, რადგანაც გარდაცვლილთა გაცოცხლება დედამიწაზე ზევსის მიერ დაწესებულ კანონსა და წესრიგს არღვევდა. განრისხებულმა ასკლეპიოსს მეხი ესროლა და სიცოცხლეს გამოასალმა. საყვარელი შვილის მკვლელობით აღშფოთებულმა აპოლონმა ზევსს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ კიკლოპები[13] ისრებით ამოუხოცა. მიუხედავად

---

[11] კრონოსისა და ოკეანოსის ასულ ფილირეს ვაჟი ქირონი ქვეყანას კენტავრის (ცხენ-კაცის) სახით მოევლინა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ კრონოსს თავის მეუღლე რეასაგან უჩუმრად სურდა ფილირესთან შეუღლება. ფხიზლად იყო რეა, დაედევნა ქმარს და სწორედ იმ დროს მიუახლოვდა შეყვარებულ წყვილს, როდესაც კრონოსი თავის სასურველს შემოეხვია. არ დაიბნა კრონოსი და მყის ცხენად გარდაისახა. სწორედ ამის გამო იშვა ქირონი სანახევროდ ადამიანად და სანახევროდ ცხენად.
ქირონი თესალიაში, პელიონის მთაზე ცხოვრობდა. იგი გარშემომყოფთა უზომო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. არაერთი სახელგანთქმული გმირი აღზარდა ქირონმა, მათ შორის თესევსი, იასონი, აქილევსი, დიოსკურები - კასტორი და პოლიდევკესი (ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშთი, მცირე ღვთაებანი, თხრობა და კომენტარები ვ. ჯუღელისა, თბილისი, 1998, 13).

[12] ჰადესი, ბერძნულ მითოლოგიაში გარდაცვლილთა სამეფოს ღმერთია და ასევე თვით ამ სამეფოსაც ნიშნავს.

[13] კიკლოპები, ბერძნულ მითოლოგიაში ურანოსისა და გეას ვაჟები, ერთთვალა გოლიათები არიან. ურანოსმა ისინი ტარტაროსში ჩაყარა, თუმცა ზევსმა გაათავისუფლა ისინი და გამოიყენა მათი ძალა ტიტანებთან ბრძოლაში, როდესაც კიკლოპებმა მას ჭექა

ყოველივე ამისა, ზევსმა მოგვიანებით გააცოცხლა ასკლეპიოსი, და მისი ხატი, სიჯანსაღის მომცემი გველით ხელში, ვარსკვლავებს შორის მოათავსა გველისმჭერის თანავარსკვლავედის, „ორფიუქოსის სახელით.

ასკლეპიოსს ხუთი შვილი დარჩა, ორი ვაჟი - პოდალირიოსი და მაქაონი, და სამი ქალიშვილი - ჰიგიეია („ჯანმრთელობა), იასო („მკურნალობა) და პანაკეა („გამოჯანსაღება). ყოველი მათგანი, მამის მსგავსად, სახელგანთქმული ექიმი იყო. პოდალირიოსი და მაქაონი, როგორც ელენეს ხელის მთხოვნელები, ტროას ომში მონაწილეობდნენ. დასავლეთ თესალიიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთ ეტოლიიდან მათ ოცდაათი გემი ჰყავდათ წამოყვანილი. პოდალირიოსმა და მაქაონმა მრავალი დაჭრილი განკურნეს ტროას ომში და თავადაც მონაწილეობდნენ ბრძოლებში, რის გამოც მაქაონი პარისმა დაჭრა კიდეც. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი ამაძონთა დედოფალმა, პენთესილეამ განგმირა.

ასკლეპიოსის სახელზე ბერძნებმა მრავალი ტაძარი ააგეს, მათ შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული სამლოცველოები, რომლებშიაც მთელი საბერძნეთის მოსახლეობა იყრიდა თავს, ეპიდავროსსა და კუნძულ კოსზე იყო მოთავსებული. აქ ასკლეპიოსის განსახიერება - გველი, რომელიც თავად ასკლეპიოსად ითვლებოდა, ღებულობდა სამსხვერპლო შესაწირავს (ასკლეპიოსს ხომ სურვილისამებრ იოლად შეეძლო გველის სახის მიღება). კუნძულ კოსის ცნობილი ექიმები ასკლეპიოსის შთამომავლებად ითვლებოდნენ და მათ ასკლეპიადებს უწოდებდნენ[14].

რომაულ მითოლოგიაში ასკლეპიოსს ესკულაპი ჰქვია. მისი კულტი რომში ძვ. წ. აღ-ის მე-3 საუკუნის დასაწყისში გავრცელდა. მდინარე ტიბროსის ერთ-ერთ კუნძულზე, იქ სადაც გამოუშვეს ეპიდავროსიდან ჩამოყვანილი გველი, ააგეს ღმერთის ტაძარი[15].

კვერთხზე შემოხვეული გველის სიმბოლიკა

gvels rTuli simbolika aqvs. paleoliTis droindeli gvelis gamosaxulebani kldeebsa da irmis rqebze, upirveles yovlisa, warmoadgenda nayofierebisa da wvimis simbolos. Tumca, mogvianebiTac seqsualuroba da miwis nayofiereba misi simbolikis erT-erTi ganmsazRvreli elementi iyo. gveli warmoadgenda magiur-religiur ZalTa simbolos, romelic dasabams udebda sicocxles. xandaxan is gamosaxavda Tavad RmerT-Semoqmedsac ki.

iTvleboda, rom gvels mudmivi kavSiri hqonda miwis, wylis, wyvdiadisa da saiqio samyaros saidumloebebTan. Tavad misi forma asocirdeboda zRvis talRebTan da

-ქუხილი, ელვა და გრუხუნი უბოძეს.

[14] ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშეთი, მცირე ღვთაებანი, თხრობა და კომენტარები ვიქტორია ჯუღელისა, თბილისი, 1998, 91-94.

[15] Мифология, Энциклопедия, главный редактор Е. М. Мелетнский, Москва, 2003, 65.

mTagrexilebTan, mdore mdinaresTan, vazis lerwTan da xis fesvebTan, cisartyelasa da elvasTan, aseve samyaros spiralur moZraobasTan[16].

xSirad gvels ukavSirebdnen winaswarmetyvelebis unars, imis gamo, rom mas wyvdiadSi xedva SeeZlo. sainteresoa, rom berZnuli sityva „drakoni“ (Dravkwn), romelic aRniSnavs gvels, etimologiurad mxedvelobasTanaa dakavSirebuli[(]. garda amisa, gveli xTonuri arsebaa, ris gamoc udavoa misi kavSiri pirvelyofil ZalebTan da Sesabamisad, gansakuTrebul codnasTan[17].

gvelis simbolikas paradoqsuli mniSvneloba aqvs, radgan is erTdroulad aRorZinebisa da ngrevis simboloa. mas didi Zala aqvs, Tumca, potenciurad saSiSia. xSirad gvevlineba sikvdilisa da qaosis emblemad, paralelurad ki sicocxlis simboloc aris. magaliTad, moses mier Seqmnili spilenZis gveli iTvleba wina saxed qristes jvarze gakvrisa, amavdroulad ki qristianul da iudeur tradiciaSi gveli kacobriobis mtrad moiazreba da identificirebulia eSmakTan[18].

gveli mkacri da daundobelia. misi nakbeni Sxamiania da xSirad sasikvdilo. Tumca, amavdroulad misi Sxami wamlad SeiZleba iqces da momakvdavs sicocxle daubrunos. igi xTonuri simboloa da amasTanave wylis stiqiis simbolikasac atarebs. is, rogorc falikuri aseve qaluri sawyisis simbolocaa[19].

I. პრეისტორიული მედიცინა

ისტორიკოსთა ცნობები პრეისტორიული მედიცინის შესახებ ჩვეულებისამებრ ეყრდნობა ანტიკურ არქეოლოგიურ აღმოჩენებს. გარდა ამისა, მისი ერთ-ერთი წყაროა პრელიტერატურული ჩანაწერები და ასევე ის თანამედროვე საზოგადოებები, როგორიცაა დღეს მაგალითად ავსტრალიელი აბორიგენები. ამ უკანასკნელთ შეიძლება გააჩნდეთ ან არ გააჩნდეთ პრეისტორიულ ხანაში მცხოვრებ ხალხთა მსგავსი წარმოდგენები. ამის ზუსტად დადგენა თითქმის შეუძლებელია. საუკეთესო რამ, რაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ პრეისტორიულ ადამიანებზე არის შემდეგი სიტყვები: „როგორც ჩანს...“.

---

[16] Тресиддер Дж. , Словарь символов, Москва, 1999, 114-120.

[*] zmna devrkomai_s, rac xedvas, danaxvas niSnavs, aoristis formaa dravkon (dvorecki 1958: 353).

[17] Онианс Р., На Коленях богов, пер. Л. Сумм, Москва, 1999, 552.

[18] Тресиддер Дж. , Ibid, 114-120.

[19] Энциклопедия символов, знаков, эмблем. Москва, 1999, 200.

პრეისტორიული ხანის ავადმყოფი გამოქვაბულში, რომელიც ელოდება შამანს, რათა მას სამედიცინო დახმარება გაუწიოს.

მართებულია ვიცოდეთ ზოგიერთი რამ პრეისტორიულ დროზე, იმისათვის რომ უკეთ გავიაზროთ, თუ რას წარმოადგენდა პრეისტორიული მედიცინა:

პრეისტორიული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია ის, რომ ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ წერა. სწორედ ამის გამო, მათ არ შეეძლოთ ავადმყოფზე გამოეცადათ ის სამედიცინო ცოდნა, რაც შეიძლებოდა წინაპართაგან ყოფილიყო მათთვის ცნობილი. თუმცა, ჩანს რომ ბევრ პრიმიტიულ ხალხს, რომელიც ჩვენს თანამედროვეობაში ცხოვრობს, აგებული აქვთ ცოდნისა და ქცევის მთელი სისტემა, რაც მათ უნარჩუნებს ჯანმრთელობას მათსავე გარემოში, მიუხედავად იმისა რომ არაფერი აქვთ ჩაწერილი. მათ ამას მიაღწიეს გამოცდის (გამოცდილების), შეცდომისა და ბუნებრივი სელექციის გზით. როგორც ჩანს, სავარაუდოდ, პრეისტორიული დროის ხალხიც მათი მსგავსი იყო.

უმეტესი ნაწილი პრეისტორიული ადამიანებისა მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა. შესაბამისად, ისინი არ სახლდებოდნენ ერთსა და იმავე ადგილზე და არ აშენებდნენ საავადმყოფოების მსგავს ნაგებობებს. მათ ასევე არ გააჩნდათ საკმარისი თანმიმდევრულობა (ლოგიკურობა) საკუთარ ცხოვრებაში, რათა დაკვირვებოდნენ, თუ როგორ ერთნაირად მოქმედებს ყველა ადამიანის სხეული. ანთროპოლოგებმა აღმოაჩინეს ისეთი პრიმიტიული ტომები, რომელნიც ვერ აცნობიერებდნენ, რომ სქესობრივი აქტი წინ უძღვის ორსულობასა და შობადობას (ან მისი გამომწვევი მიზეზია).

ნაპოვნია პრეისტორიული ადამიანის მრავალი ძვლის ნაშთი, და იმისდა მიხედვით თუ რა ცვალებადობას ვპოულობთ ნორმასთან შედარებით შეიძლება დავასკვნათ გარკვეული დაავადების პროცესის მსვლელობისა და წამლობის შესახებ. ასეთ სამკურნალო მოღვაწეობას ალბათ საფუძვლად უდევს ინსტინქტური მოქმედება. არსებითად ეს

მოქმედება არ განირჩევა ცხოველთა მოქმედებებისაგან, როგორც ძაღლი რომელიც გრძნობს მუცელში სიმძიმეს, ჭამს ბალახს, რომ გამოიწვიოს პირის საქმება. ის ფაქტი, რომ რომელსამე მოქმედებას მოჰქონდა სარგებლობა, აიძულებდა მას მიემართა ისევ და ისევ ამ საშუალებისათვის და მეორე მხრით, რომელიმე საშუალების მავნე მოქმედების გამოცდა ხელს აღებინებდა მას იმავე საშუალების ხელმეორედ ხმარებაზე. ამგვარად წმინდა ემპირიული გზით წარმოიშვა მთელი რიგი უბრალო სამკურნალო მოქმედებებისა. პირველყოფილი ადამიანი მიეჩვია რომელიმე ბალახის მიღებას, რომელმაც მას არა ერთხელ უშველა. ხმარობდა სამკურნალო მიზნით ბუნების ძალებს (მზეს, წყალს). ეს ცოდნა გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეზე, უმჯობესდებოდა. ის გარემოება, რომ მთელი რიგი წამლების გამოყენება ველური ტომების მიერ (ქინა ქინა, სენეგა, იპეკაკუნა) მოწმობს რომ ველურს მშვენივრად აქვს განვითარებული დაკვირვების უნარი. ქირურგიის ჩანასახს წარმოადგენს ძალზედ გავრცელებული სისხლის გამოშვება სხვადასხვა მეთოდით - უბრალო სისხლის გამომწოვი კოტოშიდან დაწყებული ნამდვილ სისხლის გამოშვებამდე. ყურადსაღებია ჭრილობების მკურნალობა, გაწმენდა, შეხვევა. ზოგიერთმა ველურმა ტომმა იცის ჭრილობის გაკერვა. კარგად შეზრდილი გადატეხილი ძვლების პოვნამ უნდა დაგვარწმუნოს, რომ პირველყოფილმა ადამიანმა იცოდა ისეთი რთული ოპერაციების გაკეთება, როგორიცაა ტრეპანაცია (სურათი ახალი გვინეიდან ტრეპანაციის შემდეგ თავის ქალა). როგორ იტანდა ადამიანი ასეთ ოპერაციებს უნარკოზოდ, უბანგოდ? ჯერ ერთი, ჩვენი წინაპრები არ იყვნენ ისე განებივრებულნი როგორც ჩვენა და მათ ჰქონდათ გამაყუჩებელი საშუალებებიც. ბევრ შემთხვევაში პირველყოფილ ადამიანს არ ესმოდა ავადმყოფობის რაობა. იმგვარადვე ესმოდა, როგორც ბუნების სხვა მოვლენები - მზის ამოსვლა-ჩასვლა, მთვარის ფაზები, ამინდის გამოცვლა. მისი აზრით ყოველივე ეს შედეგი იყო მასზე მაღლა მყოფი ძალისა. ამ ძალის მატარებელნი ან სხვა ადამიანები იყვნენ ან რომელიღაც მითიური არსებანი, სულები, დემონები. შესაბამისად ავადმყოფობა ჩნდებოდა ან სხვისი ბოროტი ძალის მოქმედებით, ან დემონი უშუალოდ იჭრებოდა დაავადებულის ორგანიზმში. ეს დემონი ხშირად უხილავი იყო ან მიიღებდა ქვის, ჭიის ან სხვა რისამე სახეს. ავადმყოფობის ახსნის ამ პირველ თეორიას ეწოდება დემონიზმი. საჭირო იყო შევედრებოდნენ დემონს, მიეტანათ ძღვენი ან შელოცვით და სხვა მისტიკური მოქმედებით უკუეგდოთ იგი. ზოგიერთი ტომის ექიმები (შამანები) პაციენტს აყლაპვინებდნენ ამ მიზეზით მძივებს და ხანდახან იღებდნენ შედეგსაც, რადგან ეს მძივები შეიცავდნენ პირის საღებინებლებს. ტრეპანაციის დროს თავის ქალაში გაკეთებული ხვრელიდან აძევებდნენ სხეულში ჩასახლებულ დემონს და ზოგ შემთხვევაში ეფექტსაც იღებდნენ. გაჩნდა ადამიანთა გარკვეული წრე (შამანები, ქურუმები), რომელთაც ევალებოდათ ურთიერთობა ადამიანებსა და დემონებს შორის. მათი ცოდნა-გამოცდილება

გადადიოდა მათ შთამომავლებზე.[20]

მრავალრიცხოვან გათხრებში ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანების ნეშტებზე აღინიშნება - მოტეხილობები, ცრუ სახსრები, რაქიტის ნიშნები, კბილების კარიესი. ისინი საკმაოდ დაუცველები იყვნენ გარე ფაქტორების - სიცივის, სიცხის, ნესტის ზემოქმედებისაგან. მათი სიცოცხლე ხანმოკლე იყო, მაგრამ წლები გადიოდა და ისინი იძენდნენ გამოცდილებას.

მცენარეთა დაგემოვნების გზით ადამიანი სწავლობდა მათ სასარგებლო და მავნე თვისებებს. ძველმა პერუელებმა (ინდიელებმა) სწორედ ამ გზით მიიღეს ხე კინასაგან ნაყოფი ქინაქინა , რომელსაც ალბათ გამოიყენებდნენ ცხელების დროს. ქინაქინას პრეპარატები დღესაც ითვლება მალარიული ციებ-ცხელების ბაზურ სამკურნალო საშუალებად. კოკას ველური ბუჩქის ფოთლებს ისინი იყენებდნენ ტკივილის გასაყუჩებლად. ცნობილია რომ კოკასა და კოლას ნაყოფი დღეს წარმატებულად გამოიყენება სიამოვნების მომრგველი სასმელის „კოკა-კოლას მოსამზადებლად. ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ინდიელები ფართოდ მოიხმარდნენ თამბაქოს, ყაყაჩოსა და ხაშხაშს, როგორც გასაბრუებელ საშუალებას. ევროპაში ამ მცენარეების ჩამოტანასა და გავრცელებას მიაწერდნენ ქრისტეფორე კოლუმბის მეზღვაურებს.

მშვილდ-ისრის გამოგონებამ ადამიანის ძირითად სამეურნეო საქმიანობად გახადა ნადირობა, რომლის შედეგადაც მცენარეული „ფარმაკოლოგიის გვერდით ჩნდება ცხოველური წარმოშობის სამკურნალო საშუალებები. ნადირობამ და მეთევზეობამ საშუალება მისცა ადამიანს სამკურნალოდ გამოეყენებინა ცხოველისა და თევზის ქონი, სისხლი, ღვიძლი, ძვლის ტვინი და სხვა.

გრძნეულთა მიერ ავი სულების გამოდევნასთან ერთად მოიხმარებოდა მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წამლები: ჟენ-შენი, ქაფური, ბროწეული, შმაგა, ირმის რქების ნაჟური.

მედიცინის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეთუნეობის (კერამიკული წარმოების) წარმოშობას. თიხის ჭურჭელს საკვების მომზადებასთან ერთად ახლა უკვე წამლის დასამზადებლადაც იყენებდნენ. სამხრეთ საქართველოში ჩატარებული გათხრებისას აღმოჩენილი იქნა უცნობი ცხოველური წარმოშობის ქონით სავსე ქოთანი რომლის ასაკია მე-8 საუკუნე ჩვ.წ.აღ-მდე. ინახება ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

უძველესი დროის ქირურგიულ ჩარევათა შორის არქეოლოგიურად დასტურდება კასტრაცია, მოტეხილი კიდურების არტახებში გაკვრა, ნაღრძობების და სახსარამოვარდნილობის გასწორება, კიდურების

[20] მსოფლიო მედიცინის მოკლე ისტორია, ტფ.1930, 3-7.

ამპუტაცია, სისხლდენის შეკავება (მთაში დღესაც შემორჩენილია ნაცრის დაყრა)[21].

არსებობს ასეთი თეორია, რომ პირველყოფილი ადამიანები არ ავადდებოდნენ, რომ მათ ბუნებასთან უშუალო კონტაქტის გამო გამომუშავებული ჰქონდათ გამძლეობა სტიქიური მოვლენებისა და დაავადებებისადმი. რაც მცდარია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია პალეოანთროპოლოგიური მასალების შესაწავლას, საიდანაც ირკვევა რომ ადამიანი თავისი არსებობის ყველა სტადიაში სნეულდებოდა.

მონადირეობის განვითარებასთან დაკავშირებით ადამიანს უხდებოდა შეტაკება გარეულ ცხოველებთან, მშვილდ-ისრის გამოყენება, რაც იწვევდა ტრავმატიზმს და ტრავმული დაზიანების საწინააღმდეგო ქირურგიული და სამკურნალო მანიპულაციების საჭიროებას ქმნიდა.

განვითარების შემდგომი სტადიები იყო მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ამ დროს ადამიანი აკვირდება ცხოველთა ანატომიას, ფიზიოლოგიას, მაკეობას, მშობიარობას.

მთელი ბუნება ადამიანის წარმოდგენებში ცოცხლდებოდა, სულიერდებოდა. ბუნება და მათ შორის ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი ძალები, რომლებიც იწვევდნენ ტკივილს, დაავადებას თუ განკურნებას, ადამიანს წარმოდგენილი ჰქონდა ბოროტი და კეთილი სულების სახით, რასაც ეწოდება ანიმიზმი (ანიმა - სული).

ადამიანი აღმერთებდა დაუძლეველ, დაუმორჩილებელ ბოროტ ძალებს, მათ მოწყალებას შესთხოვდა. ასე შეიქმნა ფეტიშიზმი - უსულო საგნებისა და ბუნებრივი მოვლენებისადმი (მათ შორის დაავადებისადმი) მორჩილება და მათი გაღმერთება, ლოცვის, მსხვერპლშეწირვისა და სხვა მაგიურ-რელიგიური რიტუალების ჩამოყალიბება.

ადამიანის განვითარების ხანგრძლივ პერიოდში შეიმჩნევა ორი ძირითადი პერიოდი: მატრიარქატი და პატრიარქატი.

მატრიარქატის დროს გვარის სათავეში იდგა ქალი. მისი მოვალეობა იყო ოჯახზე ზრუნვა, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებულთა მკურნალობაც. ამგვარად, პირველი მკურნალები ქალები იყვნენ. უძველესი დროიდან ცნობილი არიან ხალხური ეპოსის პერსონაჟების სახით მკურნალი ქალები: ეგვიპტეში - პოლიდამნა, კოლხიდაში - ყამარი და მედეა, ჰომეროსის ილიადიდან აგამედი, რომელმაც იცოდა ყველა სამკურნალო მცენარე, რომელთაც დედამიწა შობდა .

გვიანი პალეოლითისა და მეზოლითის ეპოქაში ყალიბდებოდა

[21] ჯანელიძე, ც., მედიცინის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2009, 6-12.

პატრიარქატი. ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია მიწათმოქმედების განვითარება, მონადირეობა, ცხოველთა მოშინაურება. ამ დროს განვითარდა მეტალურგია. ლითონისაგან ამზადებდნენ დანებსა და სკალპელებს, რომელსაც იყენებდნენ ქირურგიულ მანიპულაციებში. ამ პერიოდში ხდებოდა ცხოველთა კასტრაცია, საკეისრო კვეთა.

ამ ეპოქის ერთ-ერთი დიდი მოვლენა იყო ცეცხლის აღმოჩენა. მანამდე ადამიანები იკვებებოდნენ მცენარეებითა და მათი ნაყოფით, ცხოვრობდნენ გამოქვაბულებში. ცეცხლის აღმოჩენის შემდეგ კი დასახლდნენ მდინარის ნაპირებზე. შეიცვალა მათი საკვები - ივებებოდნენ შემწვარი და მოხარშული ხორცით, თევზეულით.

უძველესი კულტურის ძეგლებითა და არქეოლოგიური მასალით საკმაოდ მდიდარია ჩვენი ქვეყანა. საქართველოში აღმოჩენილია ბრინჯაოსა და ოქროს დანები, პინცეტები. თრიალეთის კულტურის მასალები: თიხის ჭურჭელი გველის გამოსახულებით, ვერცხლის სასმისი, ირმის რქა გველის გამოსახულებით, ბრინჯაოს ჰიგიენური და ქირურგიული დანიშნულების იარაღი.

ემპირიული მედიცინის შესახებ ცნობები შემონახულია ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებში, თქმულებებსა და ლეგენდებში, უძველეს მაგიურ-რელიგიურ რიტუალებში[22].

საარსებო საშუალებებისათვის ბრძოლაში ადამიანი უშუალო დაკვირვებებით გამოცდილებით იმდიდრებდა ცოდნას.

პირველი სამედიცინო დაკვირვებანი დაკავშირებული იყო ადამიანის კვებასთან. ცეცხლის გამოგონებამდე ადამიანები იკვებებოდნენ ველური ხილით, ძირხვენებით, ფესვებითა და ბალახეულობით. პირველყოფილი ადამიანი სწავლობდა სასარგებლო და მავნე მცენარეთა თვისებებს. ასეთი უშუალო გამოცდილებით გროვდებოდა სამედიცინო ცოდნა.

ბუნებისაგან ნატურალურად მიღებული სამკურნალო საშუალებათა გარდა პირველყოფილი ფარმაკოლოგები სწავლობდნენ წამლების დამზადებას სხვადასხვა შეზავების გზით. ეთნოგრაფიული მასალებით მტკიცდება რომ ამზადებდნენ ნაირსახოვან ნაყენს, მალამოს, ფხვნილს.

მესაქონლეობის განვითარების პერიოდში მწყემსები აკვირდებოდნენ სხვადასხვა ბალახის დადებით და უარყოფით მოქმედებას ცხოველებზე, შემდგომ ბალახებს თვითონაც ხმარობდნენ. ძვ. წ. მე-5 საუკუნის ისტორიკოსი ჰეროდოტე მოგვითხრობს მწყემსთა მიერ მთელ რიგ სამკურნალო ბალახთა მიგნების შესახებ. მაგ., მწყემსი მელამპე დააკვირდა ცხოველებს ბალახის ჭამის დროს და აღმოაჩინა შხამა - ბალახის სასაქმებელი თვისება. ბევრი ბალახეული ნაყენის

[22] შენგელია მიხეილ, მედიცინის ისტორია, თბილისი, 1988, 8-12.

დამზადება მიეწერება მწყემსს ქირონს, ბრძენ კენტავრს. ქირონმა პირველმა დაიწყო ჭრილობების მკურნალობა გლუკოზით მდიდარი ასისთავა-ბალახით. აქედანვე წარმოსდგა ფარმაკოლოგიაში დღემდე არსებული წამლის სახელწოდება - კენტავრის ბალახი.

ქირურგიულ დახმარებას უეჭველია რომ მიმართავდნენ მონადირეობის ხანაშიც, მაგრამ მასალების უქონლობის გამო იმდროინდელ ქირურგიაზე მხოლოდ ვარაუდით შეგვიძლია ვილაპარაკოთ. პატრიარქატის დროს მწყემსი ხშირად იძულებული იყო თავისებური ქირურგიული დახმარება აღმოეჩინა ნადირის თავდასხმით დაზიანებული საქონლისათვის. ამ გამოცდილებამ ხელი შეუწყო ქირურგიული ხერხები ადამიანთა სამკურნალოდაც გამოეყენებინათ.

ამ დროს უკვე შეეძლოთ ისეთი ოპერაციების გაკეთება, როგორიცაა საკეისრო კვეთა (ასეთი ჩარევით დაიბადა დიდი რომაელი პოლიტიკოსი იულიუს კეისარი). მაგალითად მოგზაურმა ფელკინმა ნახა შემდეგი ცენტრალური აფრიკის ზანგთა ერთ-ერთ ტომში: ფეხმძიმე ქალს, რომელსაც მომშობიარობა უჭირს, ასმევენ და აბრუებენ ბანანის ღვინით, შემდეგ მეანი იგივე სითხით იბანს ხელებს და ბანს საოპერაციო არეს. იღებს დანას და ერთი დარტყმით კვეთს მუცლისა და საშვილოსნოს კედლებს, დამატებითი ჭრილით აფართოებს საშვილოსნოში შესასვლელს, ხსნის სანაყოფო ბუშტს და ამოჰყავს ნაყოფი, ჭრის ჭიპლარს, აშორებს მომყოლს, ძაფით ჰკერავს ჭრილობის ნაპირებს და ადებს ნახვევს. მე-11 დღეს ავადმყოფი განკურნებულია.

იმავე მწყემსურ-მესაქონლური მეურნეობის პერიოდში წარმოიშვა თავისებური აცრა ყვავილის წინააღმდეგ: ყვავილის ბუშტულიდან გამოდენილ ჩირქს უსვამდნენ ჯანსაღ ადამიანს ხელებსა და ფეხებზე. თუ ამის შემდეგ მას ყვავილი შეეყრებოდა, იგი იოლად სძლევდა ავადმყოფობას.

გვაროვნული წყობილებისდროინდელი ადამიანისათვის არც სანიტარიისა და პირადი ჰიგიენის ელემენტები ყოფილა უცხო. ამაზე მეტყველებს პირველყოფილ ნასახლარებში აღმოჩენილი აბანოები, სხეულის საქლეშები, ცოცხები.

მაშასადამე მედიცინა ფეხს იდგამს უკვე პირველყოფილ თემურ გვაროვნულ საზოგადოებაში. პირველყოფილი მედიცინა მთლიანად ემპირიული მედიცინაა, ცხოვრებაზე პრაქტიკული დაკვირვების შედეგად მიღებული[23].

[23] სანიკიძე, ლ., ძველი მედიცინის ისტორია, თბილისი, 1997, 2-4.

II. მედიცინა ადრეულ ცივილიზაციებში

შუამდინარეთი - შუმერი, ბაბილონი, ასირია

შუმერი. მესოპოტამიას (შუამდინარეთს) ძველი ბერძენი გეოგრაფოსები უწოდებდნენ დაბლობ ადგილს, მდინარეებს ტიგროსსა და ევფრატს შორის, მათ ქვედა და შუა დინებაზე. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მას აკრავს სომხეთისა და ირანის მთიანეთი, დასავლეთიდან სირიისა და არაბეთის ნახევრადუდაბნოები, ხოლო სამხრეთიდან სპარსეთის ყურის წყლები.

უძველესი ცივილიზაციის განვითარების ცენტრი მდებარეობდა ამ ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში - ძველ ბაბილონეთში. ჩრდილოეთ ბაბილონეთი ატარებდა აქადის სახელს, ხოლო სამხრეთს შუმერი ერქვა. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მდებარეობდა ასურეთი. საერთოდ, როდესაც ლაპარაკია შუამდინარულ კულტურასა და მედიცინაზე, ასხვავებენ განვითარების სამ ეტაპს: 1. შუმერული, 2. ბაბილონური, 3. ასურული.

ცნობებიმესოპოტამიის სამხრეთში შუმერების პირველი დასახლების შესახებ ჩვ. წ. აღ-მდე მე-4 ათასწლეულში ჩნდება. შუმერების ისტორიის დასაწყისი მრავალ საიდუმლოს მოიცავს, რომელთა ამოცნობას ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა დიდი ენერგია მოახმარეს. ამჟამად ჩვენ ვიცით თუ როგორ გამოიყურებოდნენ ისინი, რომელ ღმერთს ეთაყვანებოდნენ, მეურნეობის რომელ დარგებს მისდევდნენ, როგორ ზრდიდნენ შვილებს. არქეოლოგები ძველ შუმერულ ქალაქებში აკვირდებიან სახლებსა და ტაძრებს, თუმცა გამოცანათა რაოდენობა მაინც არ კლებულობს.

შუმერების ქვეყანამ სახელწოდება მიიღო იმ ხალხისაგან, რომელიც აქ, მდინარე ევფრატის ქვედა წელზე, სპარსეთის ყურესთან ახლოს სახლობდა ჩვ. წ. აღ-მდე 3000 წელს. ამ ადგილას მდინარე მრავალრიცხოვან ტოტად იყოფა, რომელიც ისტორიის მანძილზე ხან ერთიანდებოდა, ხანაც ახალ ტოტებად იშლებოდა და იმის გამო, რომ მდინარის ნაპირები დაბალი იყო, არცთუ იშვიათად კალაპოტსაც იცვლიდა. ძველი კალაპოტები კი ჭაობად გადაიქცეოდა ხოლმე. სწორედ ამის გამო სამხრეთ შუამდინარეთის მოსახლეობა იძულებული იყო ამოეშრო ჭაობები, დამბებით დაეცვა თავი წყალდიდობებისაგან.

თიხნარი ბორცვები, რომლებიც მდებარეობდა მდინარისაგან მოშორებით, მზით იყო გადამწვარი. საშინელი სიცხე, ჭაობის მძიმე შმორი, კოღოსა და ქინქლების ღრუბელი, ადამიანებს აიძულებდა შორს დაეჭირათ თავი ამ ადგილებისაგან. ევფრატის დაბლობები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იზიდავდა წინა აზიის მიწათმოქმედ და მომთაბარე ტომების ყურადღებას.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ყველაფერი შეიცვალა, როცა

აქ გამოჩნდნენ ახალი მეპატრონეები - შუმერები. მათ არ იციან საიდან მოვიდნენ ისინი. თუმცა შუმერულ ლეგენდებში ნახსენებია მაღალი მთები მათ სამშობლოში, საზღვაო გზა, რომელმაც ისინი ევფრატის შესართავთან მიიყვანა და კუნძული ზღვაში, რომელსაც შუმერები არა მარტო თავის ძველ სამშობლოდ, არამედ საერთოდ, ყველა ადამიანის წინარესამშობლოდ თვლიდნენ.

შუმერები ძლიერ განსხვავდებოდნენ მათ ირგვლივ მცხოვრები ხალხებისაგან და ეს განსხვავება პირველ რიგში ენაში გამოიხატებოდა. ჩვენს დროში მეცნიერებს შეუძლიათ შუმერული წარწერების კითხვა, შედგენილია შუმერული ლექსიკონები. კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ შუმერული ენა არ ჰგავს არცერთ ძველსა თუ თანამედროვე ენებს. ამიტომ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელ უძველეს ხალხებს ენათესავებოდნენ შუმერები. მეცნიერები ცდილობდნენ მათ სამშობლოს პოვნას კავკასიაშიც, ჰიმალაიზეც და პამირშიც.

ახლა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ იქცეოდნენ შუმერები ახალ თუ ძველ სამშობლოში. მათ ქვეყანაში დიდი რაოდენობით იყო თიხა და ლერწამი. მათ ისწავლეს ალიზისაგან სახლების მშენებლობა, რომელსაც ლერწმით ხურავდნენ. ასეთ სახლს ყოველწლიურად, რომ არ დანგრეულიყო, თიხით ლესავდნენ. როცა ევფრატი ადიდდებოდა და კალაპოტს იცვლიდა, შუმერები ხშირად ტოვებდნენ საცხოვრებელ სახლებს. სათევზაოდ და მდინარეზე სამგზავროდ იყენებდნენ ლერწმისაგან მოწნულ, პატარა მრგვალ ნავებს, რომელსაც გარედან ასფალტობიტუმით ფარავდნენ.

თიხის სიუხვემ შუმერები მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საწერ მასალად თიხის ფირფიტები გამოეყენებინათ, რომელზეც წვეტიანი ჩხირით წერდნენ. ამიტომაც ამ დამწერლობას ისტორიკოსებმა ლურსმული უწოდეს. რელიგიურად და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ჩანაწერებს, ტაძრის მოხელეები ასრულებდნენ.

შუმერების ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ ქერი, შვრია, ოსპი. სელი და ვაზი ცუდად ხარობდა, ამიტომ ღვინო ჩრდილოეთიდან შემოჰქონდათ. ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 ათასწლეულში შეიქმნა შუმერული ლიტ. ძეგლი - „სამიწათმოქმედო ალმანახი , რომელშიც აღწერილი იყო ცალკეული სამუშაოები და რეკომენდაციები, თუ როგორ მოერწყათ მიწები და შეენარჩუნებინათ მისი ნაყოფიერება. ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გამოჩნდა ბრინჯაოს იარაღები. სოფლის მეურნეობის მმართველობის ცენტრებად იქცა ტაძრები. ქურუმები ზომავდნენ მიწებს, ხელმძღვანელობდნენ არხების გაყვანას, აღრიცხავდნენ მოსავალს. შესაბამისად ქალაქებსა და ოლქებს ადგილობრივი მთავარი ტაძრის ქურუმები მართავდნენ.

შუმერებმა შექმნეს მეტად მდიდარი და რთული კულტურა,

რომელიც მისაბაძი გახდა მთელ შუამდინარეთსა და ახლოაღმოსავლეთში.

მათი წარმოდგენები ღმერთების, სამყაროს წარმოშობის, ადამიანთა ბედის შესახებ მრავალ აღმოსავლურ რელიგიაში აისახა. მრავალი შუმერული თქმულება გადაიღეს ებრაელებმა და მოგვიანებით ისინი ბიბლიაში შეიტანეს. შუმერებს ჰქონდათ სამყაროს შეცნობის დაუოკებელი სურვილი: ბერძნებამდე ბევრად ადრე ძველი მსოფლიოს საუკეთესო მათემატიკოსებად და ასტრონომებად იყვნენ აღიარებულნი. წინაპრების მიერ დაგროვილ ცოდნას ახალგაზრდებს გადასცემდნენ სატაძრო სკოლებში. აქ ასწავლიდნენ ლურსმულ წერა-კითხვას, სამეურნეო ჩანაწერების გაკეთებას, ცაზე დაკვირვებას. შუმერები უდიდეს პატივს მიაგებდნენ სიბრძნეს, რომელიც მათი აზრით ადამიანში ყურებით აღწევდა. სწორედ ამით აიხსნება შუმერულ ნახატებსა თუ გამოსახულებებზე დიდყურება ადამიანების არსებობა.

პირველი წყარო შუმერებში სამედიცინო ცოდნის შესახებ განეკუთვნება ჩვ. წ. აღ-მდე მე-3 ათასწლეულს და წარმოადგენს 9,5*6 ზომის თიხის ფირფიტას, რომელიც მოიცავს სამ განყოფილებას, 145 სტრიქონს და წარმოადგენს სამი სახის (ცხელი საფენები, შინაგანი და გარეგანი სამკურნალო საშუალებების) 15 რეცეპტს. ჩანაწერი ლაკონურობით გამოირჩევა. მაგ.: „გაცერით და გულდასმით შეურიეთ ერთამენთს კუს დანაყილი ბაკანი, მცენარე ნაგას (იყენებდნენ სოდის მისაღებად) ყლორტები, მარილი და მდოგვი. მოიბანეთ მტკივნეული ადგილი მაგარი ლუდით და ცხელი წყლით, რის შემდეგაც შეიზილეთ ზემოაღნიშნული ნაზავი და დაიყარეთ სოჭის დაფხვნილი წიწვები .

საერთოდ, რეცეპტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შუმერი მკურნალები ფართოდ იყენებდნენ მცენარეული წარმოშობის სამკურნალო საშუალებებს, როგორიცაა: მდოგვი, სოჭი, ფიჭვი, ქლიავი, მსხალი, ტირიფი, მცენარე ლეკანორუ („მანა). წამლების შემადგენლობაში შედიოდა ასევე მინერალური წარმოშობის კომპონენტებიც: ნავთობი, ბუნებრივი ასფალტის კუპრი, სუფრის მარილი. გამოიყენებოდა ცხოველური წარმოშობის ინგრედიენტებიც: რძე, მატყლი, კუს ბაკანი, წყლის გველის ორგანოები.

რეცეპტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მკურნალი, რომელმაც ეს ტექსტები შეადგინა, თავის ცოდნას ემპირიული დაკვირვებებითაც ამდიდრებდა. თიხის ფირფიტა არ შეიცავს არც ერთ სიტყვას ღმერთისა და დემონების შესახებ. შესაძლოა, ის უფრო დიდი ტექსტის ნაწილი იყოს, ან ასუ-ექიმის (რაციონალური მეთოდებით მკურნალი) საკუთრებას წარმოადგენდეს. ასიპუ-ექიმის (შელოცვების ექიმის) ფირფიტა, სავარაუდოდ, სულაც არ არსებობდა: ლოცვები ხომ ეზოთერული ცოდნის მარაგიდან იყო და მისი საზოგადოდ გამხელა არ ეგებოდა, ანუ ამ პერიოდისათვის ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილი ზეპირი სახით გადაიცემოდა.

ძვ. მესოპოტამიაში სათანადოდ არ ჰქონდათ შესწავლილი ადამიანის აღნაგობა, რადგან არ მიმართავდნენ გვამების გაკვეთას და ძალზე ზოგადი წარმოდგენა ჰქონდათ ისეთ ორგანოებზე, როგორიცაა ღვიძლი, გული, თირკმელი, კუჭი, ნაწლავები. ჩვენამდე მოღწეულ ლურსმულ ტექსტებში არ არის აღწერილი არც ერთი ქირურგიული ოპერაცია, თუმცა ნახსენებია ზოგიერთი სამედიცინო ინსტრუმენტი: მაგ. სპილენძის მილები, შპადელები, ბრინჯაოს დანები. ჩვ. წ. აღ-მდე XI-VI საუკუნეების ტექსტებში აღწერილია კასტრაციის ოპერაცია, რომელსაც სპეციალურად განსწავლული ადამიანები ატარებდნენ. ეს ტექსტები ასევე შეიცავს ცნობებს ექიმი ქალის შესახებ, რომელიც კურნავდა ქალურ დაავადებებს და თვალის ექიმის შესახებ.

ძველ შუამდინარულ სახელმწიფოებში არსებობდა ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებული წესები. ერიდებოდნენ წყლის დალევას დაბინძურებული ჭურჭლიდან, არაჯანსაღი საკვების მიღებას. ჰიგიენას განსაკუთრებით იცავდნენ ქურუმები, რომლებიც ატარებდნენ ძვირადღირებულ თეთრ ტანსაცმელს. თუ მეფეს მიუახლოვდებოდა უსუფთაო ადამიანი ან მოსამსახურე ჭუჭყიანი ხელებით, იწყებოდა მთელი სასახლისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. ქალაქებში დიდი ხანია არ ჰქონდათ კანალიზაცია. წყალსაცავები კი იმდენად იყო დაბინძურებული, რომ ყველა (მათ შორის ბავშვებიც) სვამდა ლუდს და სხვადასხვა სასმელს.[24]

მე-19 საუკუნის ფრანგმა ორიენტალისტმა ლენორმანმა გამოთქვა მოსაზრება ქართული და შუმერული ენების ნათესაობის შესახებ. მეცნიერებმა შეამჩნიეს ბევრი რელიგიური და კულტუროლოგიური თანხვედრაც. ამ მხრივ საინტერესოა ქართულ-შუმერული სამედიცინო ხასიათის პარალელები.

საქართველოში ჩაწერილი ფოლკლორული მასალის მიხედვითაც შესაძებელი ხდება ქართული წარმართული კულტურის დაკავშირება შუმერულ სამყაროსთან, განსაკუთრებით შუმერულ მაგიურ მედიცინასთან. მაგ: მოარულ სენთა გამომწვევად ხალხს ბატონები მიაჩნდა. ბატონების დედად აღიარებული იყო ბარბარე. ივ. ჯავახიშვილს თავის თხზულებაში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები მოჰყავს ქართლში ჩაწერილი ხალხური ლექსი:

„დილით მზე ამოსულიყო, ბარბარე გამოსულიყო

ეხურა დიდი საბანი შიგ ეწვა ბატონიშვილი,

ბატონიშვილი ლევანი მარგალიტისა მტევანი .

ასეთივე ლექსი აქვს ჩაწერილი ექვთიმე თაყაიშვილს იმერეთში.

[24] შენგელია, რ., Ibid, 12-22.

წმინდა ბარბარეს შესახებ ცნობები შემონახულია უძველეს ქართულ ტექსტებშიც. მე-10 საუკუნის ხელნაწერის მიხედვით თითქოს დიოსკურმა თავი მოჰკვეთა ბარბარეს. წმინდა ბარბარეს სახელი დაკავშირებულია ზეციურ ცეცხლთან და ქარიშხალთან.

ქართველ ხალხში დღემდე შემონახულ ფოლკლორულ მასალებს ივ. ჯავახიშვილი ადარებს ბაბილონურ წყაროებს და აღნიშნავს: „შუმერებისაგან შეთვისებული მოძღვრების თანახმად ბაბილონელებსაც სწამდათ ისევე, როგორც ქართველებს, რომ ყოველგვარი სნეულება ადამიანს ერთ-ერთი ავი ღვთაებისაგან ემართებოდა, ასეთ ავსულთა რიცხვიც განსაზღვრული ჰქონდათ. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ისინი შვიდნი იყვნენ და მათ ისეთი ძალა ჰქონდათ, რომ ერთხელ მთვარის ღვთაებასაც კი თავს დასხმიან და მისი სინათლე დაუბნელებიათ (მთვარის დაბნელება იგულისხმება)“.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, დღეისათვის მთაში შემორჩენილი წმინდა ბარბარე შვიდი ბატონით შუმერთა დროის ლაბარტყუს სახეცვლილებაა ქრისტიანულ ეპოქაში.

მართლაც ფონეტიკურად შუმერულ ბაბილონურ ლაბარტყუ-ბაბარ ემთხვევა ქართულ ბარბარე - ბარბოლს. მათ შორის უეჭველი ანალოგიაა სემანტიკურადაც.

კიდევ უფრო მეტი სიახლოვეა შუმერულ მითს გილგამეშის შესახებ და ქართულ ამირანიანს შორის. გარდა სიუჟეტურო იგივეობისა, აქ არის რიგი ასპექტებისა, რომელიც გულისხმობს საერთო წარმართულ პანთეონს, ტოპონიმებსა და ანთროპონიმებს, მსოფლმხედველობით ასპექტებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევები ჩაატარა მიხეილ შენგელიამ. მისივე მოძიებულია საინტერესო შუმერულ-ქართული პარალელები სამედიცინო ტერმინოლოგიის კუთხით, რომელთა რაოდენობა 40-ს აღწევს. მაგალითად: sakiki / თავის ტკივილი - შაკიკი (ქართ.); asakku / სისუსტე, უღონობა - ასაკი, ასაკობრივი უღონობა (ქართ.); qullu / თავის ქალა - ქალა (ქართ.); kisadu / კისერი - კისერი (ქართ.); banu / სუფთა - ბანაობა (ქართ.); ten / ჭკუა, გონება - ტვინი (ქართ.)[25]. გარდა ამისა, ნანა (დედა), ლამაზუ (ლამაზი).[26]

უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო, უფრო ზუსტად, სხეულის სხვადასხვა ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინები განსაკუთრებით გამძლეა დროსა და სივრცეში. ამდენად, მოყვანილი მაგალითები დაფიქრებისა და განსჯის საბაბს იძლევა.[27]

---

[25] შენგელია, რ., Ibid, 23-24.
[26] შენგელია, მ., Ibid, 1988, 15.
[27] შენგელია რ., Ibid, 25.

ბაბილონი, ასურეთი. ძველი აღმოსავლეთის ქალაქებს შორის უაღრესი პატივისცემითა და პირველობის აღიარებით ბაბილონი სარგებლობდა. ის მრავალი ლეგენდის, ბიბლიური სიუჟეტისა და მითის შთაგონების წყაროდ იქცა. თვით ქალაქის სახელწოდება - ბაბ-ილუ („ღმერთის ჭიშკარი) მეტყველებს მის საკრალურ მნიშვნელობაზე. „ბაბილო ძველქართულად მაღლარ ვენახსაც ნიშნავს. ბაბილონის უმაღლეს ღმერთს - მარდუქს მრავალი ხალხი სცემდა თაყვანს. საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში ნათლიას „მორდუს ეძახიან. საერთოდ, შუმერული და წარმართულ ქართულ პანთეონს შორის ბევრი პარალელია დაფიქსირებული (ენგური, ლილე, ანი, ოდი / ოდოია, თამადა და სხვა).

ბაბილონი ორჯერ იყო მძლავრი სახელმწიფოს დედაქალაქი. მისი პირველი გაძლიერება ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით 1800-1700 წლების პერიოდზე მოდის. ამ ეპოქას ძველ ბაბილონურს უწოდებენ. მისი მეორედ აღზევების პერიოდი ასირიის სახელმწიფოს დაცემის შემდეგ დადგა, რაც დაახლოებით ერთი საუკუნე გაგრძელდა. ეს მონაკვეთი „ახალი ბაბილონური სამეფოს არსებობის წლებია. მომავალი ბაბილონის ადგილზე კი პატარა დასახლება ჯერ კიდევ შუმერების ეპოქაში არსებობდა. ბაბილონი ქალაქად გადაიქცა მას შემდეგ, როცა შუამდინარეთი დაიპყრეს ამორეების მომთაბარე სემიტურმა ტომებმა და ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. კულტურით აღმატებული შუმერების უპირატესობა აშკარა იყო.

ბაბილონის მეფეთა შორის გამოირჩეოდა ჰამურაბი (1792-1750). ის ახალგაზრდა ავიდა ტახტზე და ცხოვრება დაამთავრა როგორც უდიდესი სახელმწიფოს ერთპიროვნულმა მმართველმა, რომელიც მთელ მაშინდელ შუამდინარეთს აერთიანებდა.

1901 წელს ფრანგმა არქეოლოგებმა სუზაში, ძველი ელამის დედაქალაქში წარმოებული გათხრების დროს, აღმოაჩინეს ქვის უზარმაზარი ფილა - სტელა, რომელზეც ჰამურაბი იყო გამოსახული და 247 კანონის ტექსტი იყო ამოტვიფრული. სწორედ ამ ლურსმული წარწერით გახდა ჩვენთვის ცნობილი ბაბილონის მოქალაქეთა ცხოვრების წესი, მათი მენტალობა.

ბაბილონი მრავალი თაობის მეხსიერებაში რჩებოდა პირველ სამეფოდ , რომლის მემკვიდრეებიც შემდეგში სხვა დიდი იმპერიები გახდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, მედიცინა მესოპოტამიაში უძველესი დროიდანვე ყოფილა ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულია მესოპოტამიური ლურსმული ტექსტები სარდანაპალის ბიბლიოთეკიდან (ასურული პერიოდი) და ჰამურაბის საკანონმდებლო კოდექსი, საიდანაც ჩანს ამ ქვეყნებში მედიცინის განვითარების დონე, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და ექიმის ადგილი მასში, საექიმო საქმიანობის

სამართლებრივი და ეთიკური საკითხები.

ბაბილონში მიაჩნდათ, რომ ქალღმერთებს შორის უპირველესს - იშთარს შეეძლო დაავადებებისაგან განკურნება. მას დიდ მკურნალსა და მიცვალებულთა გამაცოცხლებელს უწოდებდნენ.

სამედიცინო ცოდნის განვითარება და ტრადიციული მედიცინა ბაბილონში (XVII-XIII სს.) შუმერთა გავლენითა და უშუალო მემკვიდრეობის გამო ორი მიმართულებით ჩამოყალიბდა: ასუტუ („მკურნალთა ხელოვნება) და აშიპუტუ („შემლოცველთა ხელოვნება). ხოლო დაავადებათა გამომწვევებად სამი მიზეზი ითვლებოდა: 1. ზებუნებრივი ძალები (მაგ. მათი რწმენით თავის ტკივილს და გულისრევას იწვევდა ქარიშხლის დემონი პაზუზუ, ხოლო საშინელ მოხუც დემონ ქალს ლამაშტუს შეეძლო ბავშვების დაავადება ციებ-ცხელებით); 2. სამართლებრივი და მორალური ნორმების, ასევე წეს-ჩვეულებების დარღვევა (მაგ. გათხოვილ ქალთან ან ქურუმთან მიახლოება); 3. ბუნებრივი მიზეზები (არაჯანსაღი საკვების მიღება, დაბინძურებულ მდინარეში ბანაობა, უსუფთაობა).

მკურნალი უფრო ხშირად ოპტიმისტურად იყო განწყობილი, რაც გამოიხატებოდა მისთვის ჩვეულ ფრაზებში: „ის გამოჯანმრთელდება , „ის გადარჩება . თუ დაავადება სცილდებოდა მისი კომპეტენციის ფარგლებს, ის ხელს არ ჰკიდებდა ავადმყოფს. ასუს, როგორც მკურნალს, გააჩნდა რეალური მიზანი: „ციებისა და ცხელების შეჩერება , „სიმსივნის დაცხრომა , „ხელისა და ფეხის გამოვარდნილი ძარღვების დამშვიდება და სხვა. ასუ თვითონ აგროვებდა, ინახავდა და ამზადებდა წამლებს საცხის, ფხვნილების, აბების, სანთლების სახით. ასუს, როგორც წარმატებული მკურნალის შესახებ ცნობებს შეიცავს მეფე აშურბანიპალისადმი მისი ძმის მიერ და ქალაქ ნიპურის ტაძრის მკურნალის (ჩვ. წ. აღ-მდე მე-14 ს.) მიერ ქალაქის მმართველისადმი მიწერილი წერილები. ამ მიმოწერიდან ჩანს, რომ აფთიაქი მუკალიმის ხელმძღვანელობით მუშაობდა, მკურნალობდნენ მონებსაც და პაციენტები გამოჯანმრთელებამდე მკურნალის მეთვალყურეობის ქვეშ რჩებოდნენ.

აშიპუს მკურნალობის მეთოდს ბაბილონში, ისევე როგორც შუმერებში, შელოცვა წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში იგი ახლოსაც არ ეკარებოდა ავადმყოფს, როგორც ბოროტი და მავნე ძალების მსხვერპლს. ისინი მეფის კარის მკურნალებად ითვლებოდნენ, სადაც როგორც წერილებიდან ჩანს მხოლოდ წარუმატებლობის შემთხვევებში იწვევნენ ასუს. უფრო გვიანდელი ხანის სამედიცინო ტექსტებიდან ჩანს, რომ აშიპუმ გააერთიანა ორივე მიმართულება. ეს მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი გახლავთ მედიცინის განვითარებისათვის.

ძველი მესოპოტამიის სამედიცინო ტექსტების უმრავლესობა აღმოჩენილია ასურეთის დედაქალაქის აშურის მახლობლად

ჩატარებული გათხრების დროს. თარიღდება II-I ათასწლეულით ჩვენს ერამდე. ყოველი მათგანი შედგენილია გარკვეული სქემის მიხედვით და იწყება სიტყვებით: „თუ ადამიანი ავადაა...“ და მთავრდება: „...ის გამოჯანმრთელდება .

როგორც აღვნიშნეთ, მსოფლიოში უძველესი კანონმდებლობა, ბაბილონის მეფის ჰამურაბის სახელთანაა დაკავშირებული, რომლის დროსაც ბაბილონის სამეფომ უდიდეს განვითარებას მიაღწია. ჰამურაბი არამეულ ენაზე ნიშნავს მეფე-მკურნალს . ჰამურაბის კანონები 2,25 მეტრის ბაზალტის ბოძზეა (ლუვრი, პარიზი) ამოტვიფრული და განეკუთვნება ჩვ.წ. აღ-მდე XVIII საუკუნეს. ამ სამართლებრივ ძეგლში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამედიცინო სამართლის საკითხებსაც. როგორც ტექსტიდან ირკვევა ამ პერიოდის მკურნალს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ჰქონდა, რაც აიხსნება მაღალი პროფესიული რისკით. წარუმატებელი მკურნალობის შემთხვევაში ისინი მკაცრად ისჯებოდნენ. ამაზე კანონებში ვკითხულობთ: „თუ მკურნალს შემოაკვდა ავადმყოფი ან დაუშრიტა თვალი, მას უნდა მოეჭრას მკლავი .

ჰამურაბის კანონებში აღსანიშნავია შემდეგი მუხლები:

207: „უკეთუ კაცი გაარტყამს კაცს ჩხუბის დროს და მიაყენებს მას ჭრილობას, ამ კაცმა უნდა დაიფიცოს: „მე არ გამიტყამს მისთვის განზრახვით , აგრეთვე გადაუხადოს ექიმს .

მუხლი 215. „თუ ექიმი ვინმეზე ბრინჯაოს დანით მძიმე განაკვეთის საშუალებით განკურნავს ამ ადამიანს ან ბრინჯაოს დანით ვისმე ჩხინტის (ჩხინტი - კატარაქტა) ამოღებით განკურნავს ამ ადამიანის თვალს, იგი მიიღებს ათ სეკალ ვერცხლს .

216: „თუ ავადმყოფი მუშკენუა, ექიმი მიიღებს მხოლოდ ხუთ სეკალ ვერცხლს .

217: „თუ ავადმყოფი ვისიმე მონაა, მაშინ მონის პატრონი აძლევს ექიმს ორ სეკალ ვერცხლს .

218: „თუ ექიმი ვინმეზე ბრინჯაოს დანით მძიმე განაკვეთის გაკეთებისას მოჰკლავს, მაშინ მას უნდა მოეჭრას ხელები .

219: „ მაგრამ თუ ავადმყოფი მუშკენუს მონაა , მისი სიკვდილის შემთხვევაში ექიმი ვალდებულია მისცეს მონაში მონა .

220: „თვალის დაზიანებისას კი ექიმი იხდის მონის ღირებულების ნახევარს .

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ძველი მესოპოტამიის კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა სამეცნიერო ცოდნის განვითარებაზე მთელს წინა აზიაში. მესოპოტამიური დიდი სამედიცინო

ცოდნა ვრცელდებოდა ასევე მთელს ევრაზიულ კონტინენტზე[28].

ბაბილონში ექიმი-ქურუმი, როგორც სახელმწიფო მოხელე, იღებდა გარკვეულ ჯამაგირს და სამკურნალო დახმარებას უწევდა უფასოდ. 10 სეკელი ვერცხლი იყო ექიმის გასამრჯელო მძიმე ოპერაციისათვის. ეს თანხა საკმაოდ დიდი იყო, რადგან 5 სეკელი ვერცხლი უდრიდა კარგა მოზრდილი სახლის ქირას წლის განმავლობაში და 1/30 სეკელისა იყო დღიური ხელფასი ხელოსნისა. სამკურნალო ხელობის შესასწავლად იყო სპეციალური სკოლები. ექიმების გარდა არსებობდნენ საშუალო დამხმარე პერსონალი, წამლების მიმწოდებელნი და ა.შ.

ასტრონომია იყო მეცნიერება, რომელიც ბატონობდა მაშინდელ ბაბილონელთა შორის და რომლის გავლენა განიცადა მედიცინამაც. მოვლენები ცის სივრცეში უშუალოდ მოქმედებდნენ, როგორც ჯანმრთელ, ისე დაავადებულ ორგანიზმზე, ეპიდემიების სიხშირეზე და მათ მსვლელობაზე.

საინტერესოა კბილის ჭიის შესახებ ტექსტი. აქ უდიდესი ადგილი უჭირავს შელოცვებს, მკურნალობას კი მცირედი: პირის ღრუ უნდა გაეტენათ ბანგიანი პლომბით (ჩაკირვით).[29]

ძალიან საინტერესოა ასევე ხეთური და ასირიული კანონმდებლობის ამსახველი ტექსტების ფრაგმენტები: ხეთური კანონების პირველ ტაბულაში ვკითხულობთ:

10: „უკეთუ ვინმე მოაჯადოებს კაცს და დაავადმყოფებს, მან უნდა მოუაროს მას და მის ნაცვლად მისცეს კაცი, და ამ კაცმა უნდა იმუშაოს მისი სახლისათვის მანამდე, ვიდრე ავადმყოფი არ მორჩება. ხოლო როდესაც იგი მორჩება, მომჯადოებებლმა უნდა მისცეს მას ექვსნახევარი სიკლი ვერცხლი, და ექიმის გასამრჯელოც მან უნდა გაიღოს .

მეორე ტაბულა:

„9. უკეთუ ვინმე თავს გაუტეხს თავისუფალ კაცს, მან უნდა მოუაროს მას და მის ნაცვლად მისცეს კაცი, და ამ კაცმა უნდა იმუშაოს მისი სახლისათვის მანამდე, ვიდრე ავადმყოფი არ მორჩება. ხოლო როდესაც იგი მორჩება, მან უნდა მისცეს ათნახევარი სიკლი ვერცხლი და ექიმს უნდა გადაუხადოს გასამრჯელოდ სამნახევარი სიკლი .

ასირიის კანონებშიც ექიმი მოხსენიებულია როგორც პროფესიონალი მკურნალი: „8. თუ ქალი ჩხუბის დროს კაცს გაუხეთქავს სათესლე ჯირკვალს, მას უნდა მოკვეთონ ერთი თითი, ხოლო თუ კაცს

[28] შენგელია, რ., მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია, თბილისი, 2012, 12-23.
[29] მსოლიო მედიცინის მოკლე ისტორია, Ibid, 9-11.

ექიმი სახვევს დაადებს, და ერთ ჯირკვალთან ერთად მეორეც დაზიანებული აღმოჩნდება და სიმსივნე წარმოიქმნება, ან თუ ჩხუბის დროს მეორე ჯირკვალსაც გაუხეთქავს, მას ორივე ძუძუ უნდა მოგლიჯონ .

სამედიცინო ცოდნის შეძენა ხდებოდა საკუთარ ოჯახში. პირველი სკოლები მედიცინის დარგში საოჯახო-სამედიცინო სკოლები იყო. ოჯახის უფროსი სამკურნალო საიდუმლოებას მხოლოდ საკუთარ შვილს ან ოჯახის წევრს გადასცემდა. ასე გადადიოდა თაობიდან თაობამდე „სამედიცინო განათლება .

სამედიცინო გამოცდილება დავიწყებას რომ არ მისცემოდა მკურნალნი იწყებენ მის ჩაწერას. ასე ჩნდება პირველი სამედიცინო წიგნები, ტრაქტატები, კარაბადინები. ეყრება საფუძველი უძველეს სამედიცინო ლიტერატურას.

როგორც ამ ნაწერებიდან ჩანს, ძველ შუამდინარულ სამედიცინო ტრაქტატებში ანატომია არ სცილდება მთავარ ორგანოთა (გული, ღვიძლი, თირკმელები) ცოდნის ფარგლებს.

ბაბილონელი მკურნალ-ექიმნი ამტკიცებდნენ, რომ ავადმყოფობა „არ დაწყნარდება შეხვევით, და სიკვდილის ნესტარის ამოგლეჯა შეუძლებელია, თუ ექიმი ვერ შეიტყობს ავადმყოფობის რაობას . დაახლოებით სამი ათას შვიდასი წლის წინანდელ ბაბილონურ სამედიცინო ტექსტში მითითებულია სხვადასხვა ორგანოს - სუნთქვის ორგანოებისა და სახსრების დაავადებათა სიმპტომებზე (სურდო, სისველის გამოყოფა, ცხვირიდან სისხლდენა, სახსრების ტეხვა). ხშირად აღწერილია ცხელების დამახასიათებელი ნიშნები - სიცხიანობა, შეცივება, ცივი ოფლი, დამბლის სიმპტომები: „დამბლადაცემულს ტუჩები დამანჭულ-დაკრუნჩხული აქვს, თვალი დახუჭული, პირი შეკრული და ლაპარაკი არ შეუძლია .

ბაბილონელი ექიმები მკურნალობდნენ კანის (კეთრი), გულის, თირკმელების, შარდ-სასქესო ორგანოთა სნეულებებს, აგრეთვე სიმსივნეებით, წყალმანკით და ე.წ. ქალური დაავადებებით შეპყრობილ ავადმყოფებს. ისინი მკურნალობდნენ სულით ავადმყოფებსაც. ამ დაავადების სიმპტომად მიჩნეულია უბედურების შედეგად გამოწვეული „სულიერი დაცემულობა . სამედიცინო ტექსტებში ზოგჯერ აღნიშნულია გულყრა, რომლის დროსაც ადამიანი ეცემა უგრძნობლად და მისი თვალები ბნელდება . დაწვრილებით არის აღწერილი ავადმყოფობა „საფეთქლის ძარღვისა , რომელიც უთუოს არტერიული სისხლის წნევის მომატებასთან არის დაკავშირებული. ამ დაავადების მთავარი სიმპტომები ასეთია: „ადამიანს შეუკრავს საფეთქლებს, მის ყურებში ხმაურია, მისი თვალები იბჟუტებიან, მისი კეფა მას ღრღნის, მისი გული აფორიაქებულია და მის ფეხებში სისუსტე ისადგურებს .

წამლებთან ერთად ბაბილონელი ექიმები სამკურნალოდ იყენებდნენ საფენებს, დაზელვას, მასაჟს წყლითა და ზეთით. მედიცინაში

წყლისა და ზეთის ფართოდ გამოყენებაზე ისიც მეტყველებს, რომ ძველბაბილონურ ენაზე სიტყვა ექიმი ნიშნავდა წყლის მცოდნეს ან „ზეთის მცოდნეს .

გარდა იმისა, რომ ძველაღმოსავლურ სამედიცინო ნაწარმოებებში აღწერილია დაავადებები, მკურნალობის მეთოდები და წამლების დამზადების წესები, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ აქვე ვხვდებით ცალკეული დაავადების წარმოშობის მიზეზთა კვლევას, ე.ი. ეტიოლოგიური ფაქტორების ძიებას.

სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში დაავადებათა განვითარების მნიშვნელოვან მიზეზად ითვლება კვების რეჟიმის დარღვევა (ზედმეტი ჭამა, ან საკვების უკმარისობა, დაბინძურებული პროდუქტების მიღება), ცუდი კლიმატი, ცხოვრების პირობები, მძიმე ფიზიკური შრომა და სხვ.

სამედიცინო ეტიოლოგიის განვითარებას ხელს უშლიდა მაგია (ჯადოქრობა). ძველ ხალხთა წარმოდგენით ავადმყოფობის უპირველესი გამომწვევი მიზეზები ბოროტი სულებისაგან წარმოსდგებოდა, ხოლო ბოროტ სულთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალად მაგია ითვლებოდა[30].

III. ეგვიპტური მედიცინა

ძველი ეგვიპტე აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. მას ჩრდილოეთით ხმელთაშუა ზღვა, დასავლეთით ლიბიის უდაბნო, აღმოსავლეთით არაბეთის უდაბნო და წითელი ზღვა, სამხრეთით კი მდინარე ნილოსის ჭორომები და მაღალი მთები ესაზღვრება. ნილოსი ეგვიპტის ერთადერთი მდინარეა. ხმელთაშუა ზღვის შესართავთან ნილოსი, უძველეს დროში, შვიდ ტოტად იყოფოდა და ძლიერ წააგავდა გადაბრუნებულ ბერძნულ ასო დელტას, ამიტომ მდინარის შესართავს ბერძნებმა დელტა უწოდეს. ეგვიპტელები თავიანთ საცხოვრებელს ქემეთს , ანუ შავმიწა ქვეყანას უწოდებდნენ, უდაბნოს კი - „წითელ ქვეყანას .

თანამედროვე სახელწოდება ეგვიპტე ბერძნულის გავლენით დამკვიდრდა. „ეგვიპტოს - ასე გამოთქვამდნენ ისინი ამ ქვეყნის უძველესი დედაქალაქის ჰეთ-კა-პტაჰის სახელს. სხვანაირად ამ ქალაქს მენ-ნეფერ, მემფისი ეწოდებოდა.

ეგვიპტის ისტორია 4 ეპოქად და რამდენიმე პერიოდად იყოფა:

---

[30] სანიკიძე, ლ., Ibid, 5-8.

ადრეული სამეფოს ეპოქა: 3000-2800 წწ. ქრისტეს შობამდე;

უძველესი სამეფოს ეპოქა: 2800-2250 წწ.

პირველი დაშლის პერიოდი: 2250-2050 წწ.

შუა სამეფოს ეპოქა: 2050-1750 წწ.

მეორე დაშლის პერიოდი: 1750-1580 წწ.

ახალი სამეფოს პერიოდი: 1580-1085 წწ.

გვიანი (ლიბიურ-საისური და სპარსული) პერიოდი: 1085-332 წწ.

ბერძნულ-რომაული (ელინისტური) პერიოდი: 332 წ. ქრისტეს შობამდე - 395 წ. ქრისტეს შობიდან;

ბიზანტიური პერიოდი: 395-638 წწ.

არაბების შეჭრა ეგვიპტეში: 639 წ. (ისლამური პერიოდი).

მეოთხე ათასწლეულის ბოლოს ორი სამეფო წარმოიშვა: სამხრეთი და ჩრდილოეთი ეგვიპტე. ამ სახელმწიფოს მეთაურებს ფარაონი ეწოდებოდა, რაც ეგვიპტურ ენაზე დიდ სახლს ნიშნავს. ჩრდილოეთის ფარაონთა წითელი ფერის გვირგვინს ამშვენებდა პაპირუსი, ხოლო სამხრეთის თეთრ გვირგვინს - შროშანი.

ქრისტეს შობამდე 3100 წელს სამხრეთ ეგვიპტის ფარაონმა მენესმა ორი სამეფო გააერთიანა. იგი იყო ერთიანი ეგვიპტის პირველი ფარაონი და ეგვიპტის დედაქალაქის - მემფისის აღმშენებელი.

ქრისტეს შობამდე 28-ე საუკუნიდან ეგვიპტეში დაიწყო პირამიდების მშენებლობა. ის წარმოადგენდა ფარაონებისათვის განკუთვნილ ძვალშესალაგს. პირველი ე.წ. საფეხურებიანი პირამიდა ეკუთვნოდა ფარაონ ჯოსერს, რომელიც ააგო შემდგომში გაღმერთებულმა არქიტექტორმა, ბრძენმა და მკურნალმა იმჰოტეპმა. ბერძნები მას ხშირად აიგივებდნენ ასკლეპიოსთან. ფარაონ ხეოფსის პირამიდა 26-ე საუკუნეში აშენდა. მისი სიმაღლე 147 მ-ს აღწევდა, თითოეული გვერდის სიგრძე 233 მეტრია. პირამიდან ირგვლივ რომ შემოუარო დაახლოებით 1 კმ. უნდა გაიარო. მის მშენებლობაზე 2 300 000 ლოდი დაიხარჯა, თითოეული ორ ტონაზე მეტს იწონიდა. ლოდების დასამაგრებლად არავითარ ხსნარს არ იყენებდნენ. ხეოფსის პირამიდის მშენებლობა 20 წელს გაგრძელდა.

არქეოლოგებმა პირამიდის და სამარხების გათხრებისას აღმოაჩინეს ეგვიპტელთა მიერ შექმნილი საწერი მასალა - პაპირუსი. იგი მზადდებოდა პაპირუსის ხისგან, რომლის სიმაღლე 5 მეტრს აღწევდა. ეგვიპტელები პაპირუსის წებოვან გულს გრძელ ზოლებად ჭრიდნენ და ერთმანეთთან მჭიდროდ აწყობდნენ. ზევიდან ასეთივე ზოლებს

გარდიგარდმო დაადებდნენ და სიმძიმით წნეხდნენ. ამის შედეგად პაპირუსი თხელ, ერთიან და თანასწორ ზედაპირიან ფურცლად გადაიქცეოდა. ჩვენამდე მოღწეულ გრაგნილთა შორის ყველაზე გრძელი 45 მეტრია.

ეგვიპტელებმა თანდათან ისწავლეს ნილოსის წყალდიდობისას დატოვებული ნოყიერი შლამის მიწათმოქმედებისათვის გამოყენება, რაც მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის განვითარებისათვის. ეს ეპოქა კულტურილოგიური თვალსაზრისით წარმატებული იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია იეროგლიფური დამწერლობითი სისტემის შემოღება (ბერძნ. Hieros - წმინდა, glyphe - კეთილი გამოსახულება). თავდაპირველად ის განდობილებისათვის და სულ დიდი - ელიტარული წრისათვის იყო ხელმისაწვდომი და ძირითადად რელიგიური, ქვიყნისათვის მნიშვნელოვანი ცოდნის შესანახად გამოიყენებოდა. ექიმობა ასეთი ცოდნის კატეგორიად იყო მიჩნეული და დღეს ჩვენ გვაქვს ათასწლოვანი სამედიცინო ხასიათის ეგვიპტური ხელნაწერები. მედიცინა, ისევე როგორც მათემატიკა, არქიტექტურა, ასტრონომია და სხვ. ისწავლებოდა უმაღლეს სკოლებში, რომელთაც ცხოვრების სახლი ეწოდებოდა.მომავალ ექიმებს მორალურ-ეთიკურ ნორმებსაც ასწავლიდნენ, რომლის დარღვევა მკაცრად ისჯებოდა.

ეგვიპტური რელიგია, რომელმაც თითქმის 3500 წელი იარსება ისეთივე პოლითეისტური იყო, როგორც მესოპოტამიური, ბერძნული. უძველეს ეგვიპტეში თითოეულ თემს საკუთარი ღვთაება ჰყავდა. მათ პატივსაცემად დასახლებულ ცენტრში ტაძარი იყო აღმართული. თითოეულ ღვთაებას თავისი ზოომორფული გამოხატულება ჰქონდა: ხარის, ნიანგის, კატის, ცხვრის, ლომის, შევარდნის, ქორის ან სხვა სახით იყვნენ წარმოდგენილნი სალოცავებში. წმინდა ცხოველებად შერაცხულების მოკვლა სიკვდილით ისჯებოდა და მათ მაღალი წოდების ადამიანებივით ბალზამირებასა და მუმიფიკაციას უკეთებდნენ, სარკოფაგებში მარხავდნენ.

განსაკუთრებულ პატივში გველი - კობრა უაჯითი (უაჯით - მწვანე) იყო. ის ქვემო ეგვიპტეს მფარველობდა და მტერთაგან დამცველი ფუნქცია ჰქონდა. უაჯითი ფარაონის თავსარქმელზე იყო გამოსახული, ხშირად - წმინდა თვალ უჯათთან წყვილში. ეს უკანასკნელი ღვთიურ თვალად მოიაზრებოდა და შევარდენ ჰორის სახე ჰქონდა. თვითონ ჰორი - ზეცისა და ჰაერის ღმერთი - ქალღმერთი ესიტას (ბერძნ. - ისიდა) და ღმერთ უსირის (ბერძნ. ოსირისი) შვილი იყო. საექიმო სიბრძნე ჰორმა დედისაგან მიიღო. ისიდა პაპირუსებში მაგიური მედიცინის შემქმნელად და ბავშვების მფარველადაა მოხსენიებული. ის არა მარტო დედობის, არამედ ნაყოფიერების, განახლებისა და საერთოდ ცოცხალი სამყაროს განსახიერება იყო. მის ქმარს (ძმას), მზე რას ჩამომავალ ოსირისს საიქიო ცხოვრების და ამავე დროს თვითგანახლებისა და უკვდავების ღმერთად რაცხდნენ და გაცოცხლებული მუმიის სახით გამოხატავდნენ. ოსირისამდე საიქიოს გამგებლად და ბალზამირების ცოდნის

მატარებლად ინპუ (ბერძნ. ანუბისი) ითვლებოდა. გადმოცემის თანახმად მან გაუკეთა პირველად ბალზამირება და მუმიფიკაცია ოსირისს.

ცოდნისა და დამწერლობის ღვთაება იყო ჯეხუთი (ბერძნ. თოთი). მას მიეწერება დამწერლობის, მათემატიკის, ასტრონომიის, რელიგიური წეს-ჩვეულებების, მუსიკისა და ექიმობის შექმნა. გადმოცემები მასვე მიაწერენ პირველი სამედიცინო ტექსტების შედგენასაც. უშუალოდ საექიმო საქმიანობის მფარველი სოჰმეტი იყო. ის ომის ღვთაებაც იყო. მას ლომის სახე ჰქონდა.

ქალებისა და კერძოდ მშობიარეების მფარველი იყო ქალღმერთი ტაუერთი. ის ორსული ჰიპოპოტამის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მისი პატარა ქანდაკება ყოველთვის იდგა ნებისმიერი წრის ორსული ქალის სასთუმალთან.

ეგვიპტელთა საკულტო აზროვნებაში უსულო და სულიერ საგნებს შორის დამოკიდებულების, ადამიანსა და კოსმოსს შორის კავშირის სიმბოლოდ მიჩნეული იყო ხოჭო-სკარაბის ცხოვრების წესი: ის კვერცხებს დებს და ათავსებს თიხანარევ ნაკელის ბურთულებში , სადაც მზის სხივების საშუალებით ხდება სიცოცხლის ჩასახვა. ანუ სკარაბი მზის სხივების საშუალებით უკავშირდება კოსმიურ ძალებს და ამით უზრუნველყოფს ახალი სიცოცხლისათვის სულის შთაბერვას. ეგვიპტელთა წარმოდგენით მთავარი სიცოცხლე ცენტრალიზებული ყიო გულში და ამიტომაც სკარაბის ამულეტს გულის (სიცოცხლის) დამცავი ძალა ჰქონდა. სკარაბი იყო გენერაციის, ახალი სიცოცხლის და მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოც. მას მუმიის შიგნით ამაგრებდნენ, რაც ტუტანხამონის აკლდამის შესწავლითაც დადასტურდა. საერთოდ სრულიად უნიკალურია ეგვიპტელთა დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან. მათ სწამდათ, რომ ადამიანი სიკვდილის მერეც აგრძელებდა ცხოვრებას და ამისთვის ისინი მთელი ამქვეყნად ყოფნის დროს ემზადებოდნენ.

სამედიცინო ცოდნის განვითარებას ძველ ეგვიპტეში ხელი შეუწყო მუმიფიკაციის ტრადიციამ. ამ საქმით დაკავებულ ადამიანებს თარიჰევტებს უწოდებდნენ. მუმიფიცირება იყო პროცესი, რომელიც ცხედარს გახრწნისაგან იცავდა. ბალზამირების ოსტატი გარდაცვლილის გვამიდან შინაგან ორგანოებს: ღვიძლს, ფილტვებს, კუჭს, ნაწლავებსა და ტვინს იღებდა და სპეციალურ ჭურჭელში ინახავდა. ხოლო გულს - სიცოცხლის სიმბოლოს სხეულში ტოვებდა. შემდეგ გვამს ბანდნენ, ბუნებრივი მარილებით ფარავდნენ და ზეთითა და ფისით ჟღენთდნენ. ბოლოს გვამს ტილოს რამდენიმე ფენას ახვევდნენ. ტაკრძალვის პროცესი გარდაცვალებიდან 70 დღე გრძელდებოდა. პირველი ეგვიპტელები მუმიფიცირებამდე გარდაცვლილს უდაბნოს ქვიშაში მარხავდნენ. ცხელი ქვიშა გვამს აშრობდა და გახრწნისაგან იცავდა. მუმიებს ამზადებდნენ, რათა სხეული გარდაცვლილთა სულისათვის შეენარჩუნებინათ. მათი აზრით სულის შემადგენელ ნაწილებს კა -სა და

„ბა -ს საჭმელ-სასმელი, გარდაცვლილს კი მსახურები, ტანსაცმელი და ავეჯიც სჭირდებოდა. ამიტომ ამ ნივთებს საფლავში ატანდნენ. სარკოფაგებს აღმოსავლეთ მხარეზე ხშირად ახატავდნენ თვალებს, რათა გარდაცვლილს ამომავალი მზის დანახვა შესძლებოდა. სამოთხეში მოსახვედრად სულს მიწისქვეშეთში უვნებლად უნდა გაევლო და ამისათვის შელოცვები იყო საჭირო. შელოცვები პაპირუსის გრაგნზე ეწერა, რომელსაც დღეს გარდაცვლილთა წიგნს ვუწოდებთ.

საინტერესოა, რომ ეგვიპტელებმა პირველებმა შემოიტანეს საიქიო სასამართლოს იდეა. მათი წარმოდგენით მთავარი მოსამართლე ოსირისი იყო, ბრალმდებელი - ცოდნის ღმერთი თოთი, ანუბისი კი გარდაცვლილის გულსს წონიდა, რათა მისი შემდგომი ბედი გაერკვია: ეღირსებოდა თუ არა საუფეველში მოხვედრა? ამისთვის გული სირაქლემას ბუმბულზე მსუბუქი უნდა ყოფილიყო.

ძველ ეგვიპტურ მედიცინაზე საუბრისას იგულისხმება უზარმაზარი დროის მონაკვეთი ქრისტეშობამდე მე-4 ათასწლეულიდან ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე, ანუ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის დამორჩილებისა და ელინისტური ხანის დასაწყისამდე.

ეგვიპტური მედიცინის განვითარება შეიძლება პირობითად ასე დავყოთ:

სამეფო ხანა: მე-4 ათასწლეულიდან მე-4 საუკუნემდე;

ბერძნულ-რომაული ანუ ელინისტური პერიოდი: 332 წ. ქრისტეს შობამდე - 395 წ. ქრისტეს შობიდან;

ბიზანტიური პერიოდი: 395 – 638 წწ.

ისლამური ხანა: 638 - მე-19 საუკუნემდე.

ეგვიპტური მედიცინის შესწავლის წყაროებია:

-ეპიგრაფიკული წარწერები და გამოსახულებები პირამიდებზე, აკლდამებზე, სარკოფაგებსა და სტელებზე;

-სამედიცინო ხასიათის პაპირუსების შესწავლა;

-არქეოლოგიური მასალა: სამედიცინო იარაღები, ჭურჭელი, მორთულობები და სხვ.

-მუმიების ტრადიციული და თანამედროვე მაღლტექნოლოგიური მეთოდებით შესწავლა;

-სხვა ენაზე შედგენილი ტექსტები, რომლებიც ეგვიპტური მედიცინის შესახებ ინფორმაციას შეიცავენ.

პირველთან დაკავშირებით მაგალითად ეგვიპტის მეხუთე დინასტიის მეფის ნეფერირკა-რას მთავარი არქიტექტორის აკლდამის

კედელზე წერია, რომ ის უეცრად გარდაიცვალა ფარაონის თვალწინ. ეს არის ყველაზე ძველი ცნობა გულის უეცარი გაჩერებით გამოწვეულ სიკვდილზე.

XIX-XX საუკენეებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა სრულიად ახალი სიტყვა ტქვა მსოფლიო კულტურის განვიტარების ისტორიაში. ყველაფერი კი ნაპოლეონის ეგვიპტური ლაშქრობით დაიწყო. ამ ავანტიურის დროს პატარა ქალაქ როზეტასთან ნაპოვნი იქნა ქვა სამდამწერლობიანი წარწერით: ძველბერძნულ და ორიც ძველეგვიპტურ ენაზე. „როზეტის ქვამ მოსვენება დაუკარგა მსოფლიო მეცნიერებს. მხოლოდ ჟ. შამპოლიონმა შეძლო გაეშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები. ეს 1882 წელს მოხდა. მოგვიანებით არქეოლოგების მიერ გაკეთებულმა აღმოჩენებმა და გაშიფრულმა ნუსხებმა ახალი ერა დაიწყო მსოფლიო კულტუროლოგიაში. ამ საოცარ არტეფაქტებს შორის იყო სამედიცინო ხასიათის პაპირუსებიც, რომელიც შუა და ახალი სამეფოს ხანას ეკუთვნის და მე-2 ათასწლეულშია დაწერილი.

ქვემოთ მოტანილია რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი პაპირუსის მოკლე აღწერილობა:

1. კაჰუნის პაპირუსი - დაახლ.1850 წ.. ძირითადად განხილულია მეანობის საკითხები. ნაყოფის სქესის განსაზღვრა. ვეტერინარიის ზოგიერთი საკითხი. მოტანილია 34 რეცეპტი;
2. რამესუმის მე-4 და მე-5 პაპირუსები - 1850 წ., მკურნალობის რაციონალური და მაგიური მეთოდები, ახალშობილთა მოვლა, ორსულობის პროგნოზი, ნაყოფის სქესის განსაზღვრა. 20 რეცეპტი;
3. ებერსის პაპირუსი - დაახლ.1550 წ., შეიცას 900-მდე რეცეპტს საჭმლის მომნელებელი და სასუნთქი სისტემებისთვის, თვალის, ყურის, კბილების, სახსრების, კანისა და პარაზიტულ დაადადებათა სამკურნალოდ. ასევე კოსმეტიკური საშუალებები, შელოცვები;
4. ჰერსტის პაპირუსი - დაახლ. 1550 წ., აღწერს მოტეხილობების და შხამიან ნაკბენების კლინიკურ სურათს და მკურნალობას;
5. ბრუგშის პაპირუსი - დაახლ. 1450 წ., მთლიანად მიძღვნილია ბავშვთა დაავადებებისადმი. ჩვენამდე მოღწეულ პაპირუსთაგან ყველაზე ძველია, რომელიც ბავშვთა დაავადებების მკურნალობას შეეხება;
6. ლონდონის პაპირუსი - დაახლ. 1350 წ. ; მაგიური მკურნალობის მეთოდები და 61 რეცეპტი;
7. ბერლინის პაპირუსი - დაახლ. 1300 წ. გულსისხლძარღვთა და სახსრების დაავადებების მკურნალობა. ორსულობის გამოცნობა. ყურის დაავადებები;
8. ლეიდენის პაპირუსი - დაახლ. 1250 წ., ძირითადად ეყრდნობა წინა პაპირუსებს.
9. სმითის პაპირუსი - დაახლ. 1550 წ., აღწერილია ქალას ძვლების,

ტვინის, კისრის მალების, გულმკერდის ყაფაზის, ხერხემლის დაზიანებისა და მათი მკურნალობის (მაგიის გარეშე) 48 შემთხვევა, კომენტარი და პროგნოზი.

მუმიფიკაციისა და ბალზამირების გამო, ეგვიპტელ ექიმთა ცოდნა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ეს ცოდნა არა მხოლოდ ანატომია-ფიზიოლოგიის ასპექტებს მოიცავდა, არამედ ქიმიის საკითხებში საკმაოდ ღრმა განსწავლულობას გულისხმობდა. ვინაიდან ამ პროცესში სხვადასხვა წარმოშობის ქიმიური ნივთიერება გამოიყენებოდა.

მე-2 ათასწლეულის შუახანებში ეგვიპტელებმა აღწერეს ისეთი ორგანოები და სისტემები, როგორიცაა თავის ტვინი, გული, სისხლძარღვები, ღვიძლი, თირკმელები, ძვლები, კუნთები, ნაწლავები. სმითის პაპირუსში პირველად აღიწერა თავის ტვინი, რომლის ღია ჭრილობაში მოძრაობა ავტორმა სპილენძის დუღილს შეადარა. მანვე დაადასტურა ამ ორგანოს დაზიანებისას პერიფერიული გამოვლინებბეის (მაგ. დამბლა) არსებობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა გულს ენიჭებოდა.ებერსის პაპირუსში ნათქვამია, რომ ყველა ექიმის ოსტატობის საიდუმლო გულის მუშაობის ცოდნაშია.

დაავადებათა გამომწვევ მიზეზებს ეგვიპტელები ხედავდნენ როგორც მატერიალურ სამყაროში - არაჯანსაღი საკვები, კლიმატური გარემო პირობები, ნაწლავური პარაზიტები და სხვა, ასევე ზებუნებრივ ძალებში - ავ სულებში. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელთა განდევნას შელოცვებთან ერთად, ხშირად ცუდი სუნისა და გემოს წამლებით ცდილობდნენ. ეგვიპტელებმა 250-მდე დაავადება იცოდნენ.

ებერისის პაპირუსი, რომელიც 1972 წელს იპოვნეს, 900-მდე რეცეპტს შეიცავს. აქ აღწერილია, რომ წამლების შეზავებისას გამოიყენებოდა მცენარეები, მინერალები და ცხოველური წარმოშობის კომპონენტები: ხახვი, ყაყაჩო, ფინიკი, ლოტოსი, ბროწეული, ალოე, ყურძენი, სურმა, რკინა, გოგირდი, ტყვია, ალებასტრი, სოდა და სხვ. წამლები ძირითადად რძეზე, თაფლსა და ლუდზე მზადდებოდა. რეცეპტებში მითითებულია, თუ რომელი შელოცვა უნდა დაერთოს ტრადიციულ სამკურნალო პროცესს.

ებერსის პაპირუსში ცალკე თავი აქვს დათმობილი კოსმეტოლოგიას. აქ აღწერილია ნაოჭების, ხალებისა და მეჭეჭების, თმიანობის მოსაცილებელი/გასაძლიერებელი საშუალებები. კანისა და თმის საღებავები, სიელმის სამკურნალო მეთოდები. მცხუნვარე მზისგან დასაცავად ორივე სქესის წარმომადგენლები თვალების ირგვლივ ნუშისებური მწვანე (სურმისა და მალაქიტის მარილები) პასტას ისვამდნენ. ეს კარგად ჩანს ფრესკებსა და მინიატურებზე. ეგვიპტელები

თავს იპარსავდნენ და საკმაოდ სქელ პარიკს ატარებდნენ. ეს კარგი იყო უდაბნოს მზისგან დასაცავად და ტილების გაჩენის პრევენციაც გახლდათ.

კლიმატური პირბებიდან გამომდინარე ეგვიპტეში მძიმე ინფექციური და პარაზიტული დაავადებები იყო გავრცელებული.

კბილებისა და ღრძილების დაავადებათა მკურნალობა შუა და ახალი სამეფოების პაპირუსებშია მოტანილი. კბილის ტკივილს მასში ჭიის არსებობას უკავშირებდნენ. ებერსის პაპირუსში მოტანილია პირის ღრუს გამაჯანსაღებელი და კბილების გამამაგრებელი 11 რეცეპტი. ვინაიდან ვერ მკურნალობდნენ კარიესს, მოსახლეობაში კბილების ადრეული აო=მოცვენა ფიქსირდება. არქეოლოგიურ მასალებზე და მუმიებზეარ არის დაფიქსირებული ბჟენის არსებობა ან ძვირფასი ლითონების გამოყენება. გარდა ერთისა, სადაც ქვედა ყბის ორი მოლარი ერთმანეთთან წვრილი ოქროს მავთულითაა დაკავშირებული.

ჰეროდოტეს გადმოცემით ეგვიპტელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჰიგიენის წესების დაცვას. ამის შესახებ წერს: „წყალს სვამენ მხოლოდ სპილენძის ჭურჭიდან, რომელსაც ყოველ დღე ხეხავენ, ატარებენ ტილოს ტანსაცმელს და დღენიადაგ ზრუნავენ მის სისუფთავეზე . ქურუმებს სუფთად ყოფნა ევალებოდათ, ამიტომ ტანი 2-ჯერ დღისით უნდა დაებანათ და 2-ჯერ რამით. ღორს არ ეკარებოდნენ და მწერებისაგან დასაცავად მაღალ კოშკში იძინებდნენ. თავსა და სხეულზე თმას იპარსავდნენ. კაცებისცა და ქალებიც პარიკს, კოსმეტიკასა და სამკაულებს ხმარობდნენ. კოსმეტიკას სხვადასხვა მინერალებისაგან ამზადებდნენ. თვალის შავ ფხვნილს გალენიკისაგან აკეთებდნენ, მწვანეს - მალაქიტისაგან, ტუჩის შესაღებ წითელ მასას - რკინის ჟანგისაგან, ხოლო ლოყების შესაღებად ფხვნილს ჟანგმიწისაგან ამზადებდნენ.

თმას ინით იღებავდნენ, იბანდნენ, ივარცხნიდნენ და სუნამოს იპკურებდნენ. კანს ზეთით იზელდნენ. საკმეველი, მური და ზეთები აღმოსავლეთ აფრიკიდან და არაბეთიდან შემოჰქონდათ.

ბერძნები ეგვიპტელებს მდიდარი სამედიცინო ტრადიციების გამო მედიცინის გამომგონებლებს უწოდებდნენ.[31]

აღსანიშნავია ასევე, რომ ძვ. წ. მეორე ათასქლეულის შუა ხანებში მკურნალი განსაკუთრებული პატივითა და გავლენით სარგებლობდა ეგვიპტეში, თვით ღვთაება ფარაონთა სასახლის კარზე. ამ დროის ბევრი სამედიცინო რეცეპტი საზრისიანი და სასარგებლო ხასიათისაა, თუმცა ზოგიერთი - მიამიტური და ფანატიკურია. ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება მაგალითად მიქსტურა, რომელსაც ეგვიპტელი მეაფთიაქეები ამზადებდნენ შავი ხბოს ბალნისაგან და ხმარობდნენ ადამიანის თმის გაჭაღარავების წინააღმდეგ. ბევრ ეგვიპტურ რეცეპტს დიდი გულისყურით

[31] შენგელია, რ., Ibid, 17-24.

სწავლობდნენ ანტიკური დროის ბერძნები, შემდგომ ამ რეცეპტებით სარგებლობდნენ ძველი რომაელებიც და შუა და ახალ ეპოქათა ევროპელებიც.

ფარმაკოლოგიას ეგვიპტეში ჩაეყარა საფუძველი. თვითონ ტერმინი „ფარმაკოპეია , „ფარმაცევტი ეგვიპტური წარმოშობისაა, ეგვიპტელებისაგან გადმოიღეს ბერძნებმა, ხოლო ბერძნებისაგან მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

ძველეგვიპტურ სამკურნალო ტექსტებში მოცემულია ავადმყოფის გამოკვლევისა და მკურნალობის წესები, რომლებიც თანმიმდევრულად ითვალისწინებს ავადმყოფის გასინჯვას, დაავადების სიმპტომების განსაზღვრას და მკურნალობას.

აქვე შემუშავებული ყოფილა თავისებური სამედიცინო ეთიკა: კერძოდ, ექიმს გასინჯვის შემდეგ ავადმყოფისათვის პირდაპირ უნდა ეთქვა საყოველთაოდ დადგენილი სამი ფორმულიდან ერთ-ერთი: „1. ეს არის ავადმყოფობა, რომლის განკურნებას მე შევძლებ. 2. ეს არის ავადმყოფობა, რომლის განკურნება შეიძლება შევძლო, 3. ეს არის ავადმყოფობა, რომლის განკურნებას მე ვერ შევძლებ .

ეგვიპტური სამედიცინო ლიტერატურიდან ჩვენ ვხვდებით ცალკე დარგობრივ ტექსტებს ქირურგიაში, გინეკოლოგიასა და თვალის სნეულებებში. ზოგიერთ ტექსტში მოცემულია ცალკეული დაავადების სიმპტომების ზუსტი აღწერილობა, რაც მეტყველებს დიაგნოსტიკის განვითარებაზე. მაგალითად, დაწვრილებითაა აღწერილი კუჭ-ნაწლავის დაავადებანი (დიზენტერია), სასუნთქ ორგანოთა დაავადებანი (ქრონიკული ხველა, ასთმა), ყელჭირვება, სისხლის დენა, რევმატიზმი, თვალის დაავადება (კატარაქტა - „წყლის დენა თვალებში), კანის დაავადებანი (სველი ეგზემა, ცხიმოვანი სიმსივნე).

გინეკოლოგიურ ტექსტებში აღწერილია ნაადრევი და ნაგვიანევი მშობიარობა ან სომპტომები, თუ როგორ უნდა განვასხვაოთ ქალი, რომელიც შეძლებს მშობიარობას იმ ქალისაგან, რომელიც ვერ შეძლებს მშობიარობას . უძველესი ეგვიპტის ერთი აკლდამის კედლებზე გამოხატულია ქირურგიული ოპერაციებისა და მანიპულაციების წარმოება სხეულის სხვადასხვა ნაწილსა და ორგანოებზე (კიდურებზე, სახსრებზე და სხვა).

მაღალ საფეხურზე იდგა სტომატოლოგიაც, ამზადებდნენ გამძლე ამალგამებს კბილების დასაბჟენად, - ჩვენამდე მოღწეულია მუმიები დაბჟენილი კბილებით.

ეგვიპტელ ექიმთა თეორიის მიხედვით, გულიდან გამომდინარეობს „ოცი სისხლძარღვი , რომლებიც დიდ როლს ასრულებენ ადამიანის ორგანიზმის სიცოცხლისა და ავადმყოფობის მსვლელობაში. ასეთივე ხასიათისაა ეგვიპტური პაპირუსი, სადაც ნათქვამია: „აქიმის

საიდუმლოებათა საწყისი არის ცოდნა გულის მუშაობისა, საიდანაც მოედინება სისხლძარღვები ყველა ორგანოსაკენ, რადგან ყოველი ექიმი, ყოველი ქურუმი ქალღმერთი სოხმეტისა (ომის ქალღმერთი), ყოველი შემლოცველი, ეხება რა თავს, კეფას, ხელის გულებს, ფეხებს, მაშასადამე, ყველგან ეხება გულს, რადგან გულისაგან მოემართებიან სისხლძარღვები ყოველი ორგანოსაკენ .[32]

IV. ოქრომრავალი კოლხეთი და მედეა

გარკვეულ ისტორიულ, ლინგვისტურ, არქეოლოგიურ და სხვა არგუმენტაციაზე დაყრდნობით მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ პრეისტორიულ ხანაში მთელი არეალი - შუამდინარეთიდან მოყოლებული, სამხრეთ ევროპის ჩათვლით მთლიანად, თვით ბრიტანეთის კუნძულებამდე ერთიანი რასით (მეგაეთნოსით) იყო დასახლებული. უტყუარი ფაქტია, რომ ამ გეოგრაფიულ სივრცეში სემიტებისა და ინდოევროპელების გამოჩენამდე ცხოვრობდნენ ერთი წარმოშობის ტომები. ისინი ერთ ფუძე ენაზე ლაპარაკობდნენ და ეს ენა საკმაოდ ჰგავდა თანამედროვე და ძველ ქართველურ (კავკასიურ) ენებს. მათთან (პირობითად დავარქვათ იბერიული მოდგმა) სემიტებისა და ინდოევროპელი ხალხების შერევით წარმოიშვნენ, როგორც ჩანს, ამ რეგიონში მცხოვრები თანამედროვე ერები. ასე მაგალითად: შუმერებს სემიტი აქადელები და ამორეელები შეერწყნენ, შედეგად ბაბილონური კულტურა მივიღეთ. ხათებს - ხეთები, პელაზგებსა და კოლხებს - ელინები და ბრწყინვალე ბერძნულმა კულტურამაც იჩინა თავი, ეტრუსკებს - ლათინები, დასავლეთის იბერებს - კელტები, ფრანკები და ა.შ. ასე რომ, კოლხო-იბერების კულტურა შეიქნა იმ ცივილიზაციების საფუძველი, რითაც დღევანდელი ოიკუმენა ამაყობს: ბაბილონური, ასურული, ხეთური, ელინური, დასავლეთევროპული...

ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის შუახანებიდან კავკასიასა და ჩრდილოეთ ანატოლიაში არქეოლოგიურად დასტურდება მტკვარ-არაქსის კულტურა, ხოლო მე-2 ათასწლეულიდან - თრიალეთური კულტურა. დაახლოებით ამავე პერიოდში ანატოლიის ნახევარკუნძულზე და მის ჩრდილოეთით, ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია სახელმწიფო გაერთიანებები - დიაოხი და კოლხა, რომელთაც შეიძლება კულტუროლოგიური, რელიგიური, ენობრივი და სხვა ასპექტების გათვალისწინებით ქართული ან პროტოქართული ქვეყნები ვუწოდოთ.

როდესაც კოლხებსა და იბერებზე ვლაპარაკობთ, არ იგულისხმება რომ ამ ორ ეთნონიმს შორის რაიმე პრინციპული განსხვავება იყოს. ისტორიული წყაროები და თანამედროვე მეცნიერები ხშირად სრულიად

[32] სანიკიძე, ლ., Ibid, 8-10.

აიგივებენ მათ.

კურტ-იოაჰიმ შპრენგელი (1766-1833 წწ.) თავის ცნობილ ხუთტომიან სამედიცინო-საისტორიო ნაშრომში „Verfuch Einer Pragmatifchen Gefchichte der Arzneykunde" (1821) ქრონოლოგიურად მიმოიხილავს სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის სამედიცინო ტრადიციებს. ის თხრობას კოლხური მედიცინით იწყებს და ფინიკიური, კართაგენული, ეგვიპტური, ბაბილონური, ინდური და ა.შ. მედიცინის განხილვით აგრძელებს. მართალია, შპრენგელის დროინდელი საისტორიო მეცნიერებისათვის ბევრი რამ უცნობი იყო, თუნდაც შუამდინარული კულტურის დამადასტურებელი არტეფაქტები, მაგრამ ამ ახალმა აღმოჩენებმა არათუ უარჰყვეს შპრენგელისეული მიდგომა, არამედ გააფართოვეს კოლხურ-იბერიული ეთნოკულტურის გავრცელების არეალი.

კოლხა შავი ძღვისპირეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ზოლში ძვ. წ. მე-14-12 საუკუნეებში დადასტურებულად არსებობდა. როგორც ჩანს ამავე ხანებში ელინურ სამყაროში იქმნება მითი არგონავტებზე (მითის მოთხრობა, ასევე „არგონავტიკა").

„არგონავტიკაში" ნახსენები „სპილენძის ჩლიქებიანი ხარები, რომელთაც სპილენძისავე პირირდანცეცხლი ამოსდიოდათ", და რომელთა მოთვინიერება ევალებოდა იაზონს, ამ უკანასკნელის მიერ სამჭედლო ხელოვნების დაუფლებაზე უნდა მეტყველებდეს. ეს ხელოვნება იაზონმა მანამდე არ იცის. იგი ამს მედეასაგან სწავლობს. აქ მედეას სახეში ზოგადად კოლხური სიბრძნეა პერსონიფიცირებული.

ლეგენდის ტექსტზე და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთში მაღალგანვითარებული მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ყოფილა. ბუნებრივია, ასეთი მაღალი კულტურის ხალხისათვის სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემები, ჯანმრთელობისა და მკურნალობის საკითხები ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავთაგანი იქმნებოდა. მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი ამტკიცებს, რომ მაშინ კოლხეთში სამკურნალო ხელოვნება დამოუკიდებელ დარგად არსებობდა,თანაც საგანგებო პროფესიული ემბლემით - გველის გამოსახულებით. არქეოლოგიურ მასალაში ცალკე აღსანიშნავია პირადი ჰიგიენის ნივთები, სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი.

მითის თანახმად, მედეასათვის ცნობილი იყო სამკურნალო საშუალებების სხვადასხვა ფორმა: შინაგანი და გარეგანი გამოყენების, შესასუნთქი. ამზადებდა სხვადასხვა წამალს: ძილისმომგვრელს, დაავადებათა სამკურნალოს, მომწამვლელს, ნელსაცხებელს, სასწაულებრივსა და მაგიურს. „არგონავტიკაში" ნათქვამია: „იგი მიჩვეული იყო ღამღამობით ტაძრის მახლობლად გვამებისა და წამლისთვის გამოსადეგ მცენარეთა შორის ხეტიალს".

მედეას შეეძლო ჭრილობათა სწრაფი და ეფექტური მკურნალობა.

კოლხებთან ბრძოლაში დაჭრილი არგონავტები „მედეამ სულ რამოდენიმე დღეში განკურნა ფესვებითა და რაღაც ბალახებით“ (დიოდორ სიცილიელი).

მედეას უშვილობის მკურნალობაც სცოდნია. ათენის მეფეს - ეგეოსს, რომელიც „უძეობით ყოფილა დაავადებული“, მედეა ეუბნება: „შენ ჯერ არ იცი, რა ბედს ეწიე, რომ მოხველ ჩემთან. ვიცი წამალი უძეობისა“.

მედეა კოსმეტოლოგიაშიც იყო განსწავლული. მას აკუთვნებენ თმის შეღებვის აღმოჩენის პირველობას. ფლობდა კანის მოვლის საიდუმლოებებსაც. მან ცრემლებით გაღიზიანებული სახის კანი „ნექტარივით ტკბილი ზეთით დაიზილა და მოიშუშა“.

მედეა თავის სამედიცინო მოღვაწეობაში მიმართავდა სისიხლის გადასხმასაც. დონორად ბატკანს იყენებდა. ამ მანიპულაციას მიმართა მან იაზონის ბიძის პელიასის შემთხვევაში. აკად. ი. კასირსკი სისხლის გადასხმის ისტორიას მედეას მიერ ჩატარებული მანიპულაციით იწყებს.

არსებობს მრავალი ლიტ. წყარო, რომ მაშინდელი კოლხეთი განთქმული იყო შხამებისა და საწამლავების შეასხებ მოძღვრებით. საქართველოს ყველა კუთხეში ხალხური მედიცინის შესწავლის მიზნით ჩატარებული ექსპედიციების დროს გაირკვა, რომ დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით, სამეგრელოში) დღეს ძალზე ბევრია შხამების დამზადების მცოდნე, რომ არაფერი ვთქვათ სახალხო მკურნალებზე. ეს შხამები მრავალგვარი მოქმედებისაა - უცაბედი, ხანგრძლივი, სხვადასხვა დაავადების გამომწვევი. მათი ცოდნა გასაიდუმლოებულია და შთამომავლობით გადაეცემა. ჩანს, ეს ეზოთერული ცოდნის რუდიმენტია, ხალხში შემონახული. ტყუილად არ უწოდებდა რუდოლფ შტაინერი კოლხეთს მისტერიების ქვეყანას.

მედეას მამიდა ჰეკატე ფრიად განსწავლული იყო საექიმო ხელოვნებაში. იგი მეფის დაა და აქ ადვილი შესამჩნევია საექიმო ცოდნით კოლხეთის სამეფო კარის დაინტერესება. დიონისიოს სკიტობრაქიონი (ძვ. წ. მე-2-1 სს.) წერს, რომ ჰეკატემ „პირველმა აღმოაჩინა მომაკვდინებელი ფესვები“. „კირკემ, რომელიც მედეაზე უფროსი იყო, ბევრად აჯობა თავის მამიდას. ბევრი რამ მისგან შეითვისა, ზოგი რამ კი მრავალი და საზარელი (შხამი) თვითონ აღმოაჩინა“. (ევრიპიდეს „მედეა“, თუ როგორ კლავს კრეონტსა და მის ასულს საწამლავით). ლიტერატურაში მედეას შხამებს კონკრეტული სახელწოდებით იხსენიებენ: „მედეასი“, „ერთდღიანი“, „ირისი“, „კოლხური“. თუმცა, მედეას სახელი მარტო შხამებს არ უკავშირდება. სოფოკლეს ტრაგედიის მიხედვით, ზევსი ხშირი მიწიერი კავშირების გამო, სულიერი და ფიზიკური ენერგიისაგან იცლება, იფიტება. განიმედე მას სასიცოცხლო ძალას ღვტაებრივი სასმელით აღუდგენს, რომელსაც „მედეა“ ეწოდება.

ჰეკატეს (მედეას) ბაღის ძირითადი მცენარეები თითქმის ცნობილია

(თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სწორედ უმთავრესი მათგანი არ ვიცოდეთ). ასეა თუ ისე, არც იმ ბაღში და არც კავკასიაში მზარდი არც ერთი მცენარის ფესვი არ არის ისეთი მძლავრი შხამი, რასაც „არგონავტიკის“ სხვადასხვა ვერსია აღწერს. ერთი რამ კი ცხადია: მედეა სამკურნალო მცენარეებს სპეციალური დამუშავებით - გამოხარშვით, ნაყენით, თერმული, მექანიკური თუ ქიმიური ზემოქმედებით, ანუ კონცენტრირებით იღებს შხამს, საწამლავს. პრინციპი, რომლითაც დღევანდელი მედიცინა არსებობს და ვითარდება, გახლავთ contraria contrariis curantur (ccc), ანუ საწინააღმდეგოზე საწინააღმდეგოთი ზემოქმედების, ანუ ალოპათიური პრინციპი. ამ პრინციპის ეფექტური რეალიზაციის გზაძლიერმოქმედი ქიმიური საწყისია. რაც უფრო ძლიერია საწყისი, მით უფრო ეფექტურია შედეგი.

აღსანიშნავია, რომ ეს მიმართულება მედეას ეპოქამდე არც ერთი ქვეყნის მედიცინაში არ ჩამოყალიბებულა. აღმოსავლურ მედიცინაში ეს პრინციპი არ არის გამოკვეთილი, როგორც დომინანტი. იგი საწყისს იღებს ბერძნულ-რომაული მედიცინიდან. ამ უკანასკნელის ფესვები კი საერთო მედიტერანულ - პელაზგურ და კოლხურ-იბერიულ მედიცინაში დევს. რასაც ადასტურებს „არგონავტიკა“.

საექიმო საქმიანობა მედეას ოჯახში ტრადიციულია და ქალთა პრიორიტეტია. საერთოდ, ღვთიური სიბრძნე ამ ეპაქაშიც და შემდგომაც „მდედრობითი სქესისაა“. ჰეკატეს ბაღში ხარობს სამკურნალო მცენარეები, მედეა ბევრ ახალ მცენარეში პოულობს სამკურნალო თვისებებს, ხოლო შემდგომ, მათგან აქტიური საწყისის გამოყოფით, ამზადებს წამლის შესაქმნელ კონცენტრატს - საწამლავს. ალბათ აქედანაა ქართულ ენაში დაფიქსირებული ეს კავშირი: საწამლავი - წამალი.

შემდგომ პერიოდის ქართული სამყაროსათვის ერთობ ტრადიციული ხდება საწამლავთქმნადობა.

ქართულ კარაბადინებში საწამლავებისადმი მიძღვნილი სპეციალური თავებია შექმნილი. არა კაცის მოსაკლავად, არამედ საწამლებლად.

ჰეკატემ და ცირცეამ (კირკემ) საწამლავების დამზადების ცოდნას მედეაც აზიარეს, თუმცა იგი „თავისი მიდრეკილების გამო სულ სხვაგვარად იყენებდა“. საფიქრებელია, რომ მამიდის და დის გამოცდილებაზე დაყრდნობით მედეა, ალბათ იღებდარა აქტიური საწყისის კონცენტრატს მცენარიდან, აზავებდა მას იმ დოზით, რომ ეს უკანასკნელი არა საწამლავად, არამედ წამლად გამოიყენებოდა. მისთვის უთუოდ იმთავითვე ცნობილი იყო პრინციპი: „წამალი შხამია, შხამი წამალია. განსხვავება მხოლოდ დოზებშია“ (პარაცელსი).

ლეგენდა მოგვითხრობს, თუ როგორ მიაძინა გველეშაპი მედეამ „ჯადოსნური სითხით“. ეს მითოსია, თუმცა გარკვეულწილად

ინფორმაციული. როგორც ჩანს მედეასთვის უკვე ცნობილი იყო „გონების აღმრევ“ შხამთა არსებობა. ასევე მითოსიდან ვიცით მედეას :ჯადოსნური საწამლავის“ სავარაუდო ტექნოლოგია. ნიკანდრე კოლოფონელის აზრით, ეს არის ერთ-ერთი მცენარის ფესვი, ან თვით მცენარე, რომელიც ნავთტან ერთად მზადდებოდა. თეზას, რომ სიტყვა მედიცინა მედეადან წარმოდგა (ისევე, როგორც ჰიგიენა - ჰიგიადან, პანაცეა - პანაცეადან და ა.შ.) სერიოზულ ოპონენციას უწევს ის ფაქტი, რომ თვით ბერძნები სიტყვა „მედიცინას“ საერთოდ არ ხმარობენ. მრავალი საუკუნე დასჭირდა, ვიდრე რომაელები ამ ტერმინს დაამკვიდრებდნენ, რატომ მოხდა ასე?

მედეა უცხოტომელია ბერძენთა შორის. მისი ტრაგედიაც ამაში მდგომარეობს. იგი უპირისპირდება იაზონს, მთლიანად საბერძნეთს. მას დაუხოცეს შვილები. თავის ცოდნას მედეა შურისძიებისთვისღა იყენებს. ბუნებრივია იგი ამ ცოდნას არავის გაუზიარებს. აღარც ბერძნები არიან მედეათი მოხიბლულები და არავითარი სურვილი არ აქვთ მისი სახელის საკუთარ წიაღში უკვდავყოფისა.

მითრიდატე პონტოელზე, (ძვ. წ. მე-2-1 სს.), რომელიც სარწმუნო მონაცემებით კოლხურ შტოს ეკუთვნოდა, პლინიუსი მოგვითხრობს: „მან შემოიღო ყოველ დღე მომწამლავი საშუალებების სმა, იღებდა რა წინასწარ შხამის საწინააღმდეგო წამალს. ამის გამო მან ვერ შეძლო საწამლავის მომაკვდინებელი დოზის მიღებით თავის მოკვლა და იძულებული გახდა თავისი მსახურებისთვის ლახვრის ჩაცემა ებრძანებინა“.

მითრიდატე ევპატორს რომთან დიდი ხნის ურთიერთობა - დაუძინებელი მტრობა ჰქონდა. ცნობილია, რომ პომპეუსმა, როგორც იქნა ღალატით დაამარცხა მითრიდატე, მის სახლში შესვლისთანავე ბიბილიოთეკა მოიკითხა, სადაც უამრავი სამედიცინო ხასიათის ფოლიანტი ინახებოდა. იმპერატორის ბრძანებით, აღნიშნული ლიტერატურა გაზიდეს რომში და სრულიად საიდუმლოდ შეისწავლეს. ამ წიგნთა უმეტესობის ავტორი თავად მითრიდატე იყო. სრულიად უეჭველია, რომ ამის შემდეგ მთელ მსოფლიოში თითქმის 2000 წლის მანძილზე გავრცელებული ანტიდოტის (ანტიდოტი შეიძლება ეწოდოს ყველა იმ საშუალებას, რომელიც მიმართულია ყველანაირი ნაკბენის ან უბრალო კვებითი მოწამვლის დროს) და თითქმის პანაცეად აღიარებული „მითრიდატიუმის“ რეცეპტიც მაშინ იქნა ამოკითხული. ევროპაში შემოდის საწამლავის ცნება. კეთილშობილთა და ტახტის მაძიებელთა „შეიარაღებაში“ უმთავრეს ადგილს სამსალა იკავებს, მაგრამ ამავე დროს სწორედ ეს შხამები ხდება საფუძველი მსოფლიო ფარმაციის განვითარებისა. რომში ჩნდება ტერმინი „მედიცინა“. მედეა მათთვის უკვე ისტორიაა, მითია და ღმერთქალი.

რომაული საექიმო ხელოვნების გვირგვინი - გალენოსი (129-201 წწ.)ამკვიდრებს სამედიცინო ფორმებს - ნახარში, ნაყენი, გამონაწვლილი. მათ დღესაც გალენურ პრეპარატებს უწოდებენ და ბუნებრივი

რესურსების წამლად ქცევას - აქტიური საწყისის გამოყოფას, კონცენტრირებას - წარმოადგენს. როგორც ჩანს ამას უწოდებდა კურტ იოაჰიმ შპრენგელი Cura Mediana -ს, „მედეასებურ მკურნალობას“ და აქედან აძლევდა დასაბამს ტერმინს „მედიცინას“.

ძველი ბერძნები საქართველოს მედიცინის შესახებ.

მედეასა და მითრიდატეს შორის თითქმის 12 საუკუნეა და ბუნებრივია, რომ ეს პერიოდიც გარკვეული ინფორმაციით უნდა ყოფილიყო დატვირთული. ქართულ მედიცინაზე და საერთოდ ქართულ ყოფაზე წერს ბერძენი მთავარსარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტე (431-354 წწ.) თავის „ანაბაზისში“. ის კოლხების ლამაზ ჩაცმულობასა და თავგანწირვაზე მოგვითხრობს და ყურადღებას ამახვილებს მისთვის უჩვეულო მომენტებზე. კერძოდ, ბერძნებმა ნახეს, რომ მოსინიკები კასრებში ინახავდნენ დელფინის ხორცსა და ქონს და ამ უკანასკნელს ისე იყენებდნენ, როგორც ბერძნები სხვა ცხიმეულს. ამასვე ადასტურებს მოგვიანებით სტრაბონი.

საფიქრებელია, რომ თევზის ქონს, როგორც საკვები და უნიკალური სამკურნალო თვისებების მატარებელი მასალის გამოყენების ისტორია კოლხეთში იღებდეს დასაბამს.

რომაელი ავტორი კლავდიუსი (ძვ.წ. 395) კავკასიასა და მისი ბუნებრივი რესურსების შესახებ წერს: „მე კარგად ვიცნობ სხვადასხვა ხის წვენებსა და ყველა იმ მომაკვდინებელი მცენარის მოქმედებას, რომელიც იზრდება შხამიანი მცენარეებით უხვ კავკასიაში“.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფსევდოპლუტარქი განსაკუთრებული მცენარის „ხვალოს“ შესახებ, რომელიც იზრდება ფაზისში, რომ „მას აგროვებენ გაზაფხულის დასაწყისში, იმ დროს, როდესაც დღესასწაულობენ ჰეკატეს მისტერიას“. იგივე ავტორი სხვა ადგილას „ხვალოს“ ვაზსაც უწოდებს.

ძვ. წ. პირველი საუკუნის სახელგანთქმული ექიმი დიოსკურიდი თავის “Materia Medica”-ში ასეთ პასაჟს გვთავაზობს, როდესაც სამკურნალო მცენარეების გავრცელების არეალს ეხება: „ერთია ძლიერი სასიამოვნო სუნის, რომელიც კოლხიდაში იზრდება, მეორეს კი ზოგიერთნი გარეულ ნიორს უწოდებენ, ჰქვია „კოლხიკი“.

პლინიუსი (29-79 წწ.) “Historia Naturalis”-ში წერს, რომ ყველაზე კარგი ფესვი ზამბახისა იზრდება კოლხეთში, მდინარე ფაზისთან. აგრეთვე: „კამას სახელი გაუთქვა გველმა, რადგან ჭამს კამას, აღიდგენს მხედველობის სიმახვილეს და ადვილად იძრობს ძველ კანს. აქედან დაასკვნეს, რომ მისი წვენით იკურნება მხედველობის სისუსტე. თვითონ წვენს აშრობენ მზეზე, თაფლს ამატებენ და აკეთებენ მალამოს. ყველაზე

კარგ წვენს ღებულობენ იბერიაში“.

ასევე, ბერძენი ავტორები აღწერენ „პრომეთეს ბალახს“ (ქართულ ფოლკლორში „ამირანბალახა“), რომელიც თითქოსდა პრომეთეს დანაწვეთი სისხლიდან ამოვიდა. ის მხოლოდ კავკასიაში ხარობს და საუკეთესო სამკურნალო თვისებების მატარებელია[33].

V. ძველი აღთქმა და მედიცინა

ბიბლია ქრისტიანთა წმინდა წიგნია. ის ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი აღთქმა და ახალი აღტქმა, ანუ სახარება. ძველ აღთქმაში მოთხრობილია ამბები სამყაროს გაჩენიდან ქრისტეს შობამდე, ხოლო სახარება იესო ქრისტეს მოვლინებაზე, მის მიწიერ ცხოვრებაზე, ჯვარცმაზე, აღდგომასა და ამაღლებაზე მოგვითხრობს. ძველი აღთქმა იუდაური სარწმუნოებისთვისაც წმინდა წიგნს წარმოადგენს.

ძველი აღთქმის პირველი თავებიდან - „დაბადება , „გამოსვლა , „რიცხვნი , „ლევიანნი , „რჯულთა , „მეფეთა და სხვა - შეიმჩნევა ჩვენთვის საინტერესო სამედიცინო პასაჟები. როგორც ირკვევა ძველ ებრაელებს საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ჰქონიათ ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე, რაც შესაძლოა მათი ეგვიპტურ სამყაროსთან სიახლოვით აიხსნას. წიგნში აღწერილია თანდაყოლილისიმახინჯენიც (პოლიდაქტილია) და ფიზიოლოგიური ვარიაციებიც (ცაციაობა). ორთოპედიული დეფექტის მქონე ადამიანებს არ ჰქონდათ უფლება ღვთისმსახურებისა - „არც კოჭლს, არც ცხვირჩაჭყლეტილს, არც ცხვირწაშვერილს, არც ფეხმოტეხილს, არც ხელმოტეხილს...“

საინტერესოა ღმერთთან მებრძოლი იაკობის დაკოჭლების სცენა, რომელიც მეტად დამაჯერებელია და ნატურალური სიზუსტით აღწერს მყესის დაზიანების შემთხვევას.

წიგნი ბევრ ომსა და მეომარზე მოგვითხრობს, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ტრავმები ხშირადაა ნახსენები და მათ მკურნალობაზეც პირდაპირაა მინიშნებული. აღსანიშნავია აბიმელექისა და ქანაანის მმართველის, სისარას მიერ მიღებული თავის ქალას ტრავმები. აღწერილია ავადმყოფის მდგომარეობა, გაწეული დახმარება (ქალას ფრაგმენტის ამოღება). საინტერესოა მეფე ნაბალის ამბავიც, რომელიც მთელი ღამის ლოთობის შემდეგ მოულოდნელად მოკვდება, რაც ინსულტის განვითარების შედეგი უნდა იყოს.

აქ ფსიქიკური აშლილობა, როგორც ღვთის სასჯელი არცთუ იშვიათად მოევლინება ადამიანებს. განსაკუთრებით მათ, ვისაც ღმერთი ადრე სწყალობდა და მათ ეს ვერ შეიშვნეს . ასეთია საული, ნაბუქოდონოსორი. საერთოდ ყოველგვარი დაავადება და მასიური ეპიდემია, კატასტროფა

[33] შენგელია, რ., Ibid, 28-34.

ძველ აღთქმაში ღვთის სასჯელად მოიაზრება. მოსეს თხოვნის უარყოფისთვის ისჯება ეგვიპტის ფარაონი და მისი ხალხი: ეპიდემიები, მოუსავლიანობა, შიმშილი, კლიმატური კატასტროფები.

ძველ აღთქმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კეთრს. აქ რამდენიმე ფერის კეთრია აღწერილი, რომელთა იდენტიფიკაცია დღეს ცნობილ დაავადებებთან ჭირს. თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი ინფექციურია. ამიტომაც ამ სენით გარდაცვლილ ავადმყოფთან და მის პირად ნივთებთან მიახლოება იკრძალებოდა. მასთან სიცოცხლეშიც ხშირი მიახლოება და ინტენსიური მოვლა არ იყო ნებადართული. გარდაცვალების შემდეგ გვამს კარვიანად და პირად ნივთებთან ერთად წვავდნენ.

ძველ აღთქმაში სომატური დაავადებები და მათი სიმპტომები საკმაოდაა მოტანილი: ფაღარათი, გულისრევა, საერთო სისუსტე, გონის დაკარგვა, ცხელება.

მეფე იორამი, როგორც ჩანს, მსხვილი ნაწლავის სიმსივნით უნდა გარდაცვლილიყო: „ყოველივე ამის შემდეგ დასცა უფალმა იგი უკურნებელი სენით. ასე იყო დღე და ღამე. მეორე წლის ბოლოს გამოუვიდა ნაწლავები სენისგან და საშინელ ტანჯვაში მოკვდა . სწორი ნაწლავის გამოვარდნა მსხვილი ნაწლავის სიმსივნეებისათვის არის დამახასიათებელი.

იუდეის მეფე ხიზკიას კი წყლულზე (ალბათ აბსცესზე) ლეღვის ტყლაპი დაუდვია და განკურნებულა.

საერთოდ რადგან ბიბლია , „წიგნთა წიგნი რელიგიური ხასიათის თხზულებაა და კონკრეტული მიზანდასახულობა გააჩნია, მასში არ უნდა ვეძიოთ კონკრეტული სამკურნალო მეთოდები. საკმარისია მოყვანილი მაგალითებიდან იმდროინდელი მედიცინის, ფარმაციის და ჰიგიენის ზოგადი შეფასების კრიტერიუმები გამოვყოთ. წიგნში აღწერილია სასწაულებრივი გაანკურნების შემთხვევები (მაგ., ელისეს მიერ იორდანეში ბანაობით ნაყამანის კეთრისგან განკურნება), რაც რელიგიური დატვირთვის გარდა კონკრეტული დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: ავადმყოფი იკურნება კეთრისგან, რაც პრაქტიკულად შესაძლებელია. ყურადღებას იქცევს ველ აღთქმაში მკვდრის გაცოცხლების ორი შემთხვევა, სადაც რეანიმაციული ღონისძიებების სრულ სურათს ვხედავთ. ელისე მზის დარტყმით გონდაკარგულ ბიჭს ასე აცოცხლებს: „ზემოდან დააწვა ბავშვს, პირი პირზედაადო, თვალი თვალზე, ხელის მტევნები ხელის მტევნებზე და განერთხა მის ზემოდან. და გათბა ბავშვის სხეული. ერთი გაიარ-გამოიარა სახლში (ელისემ) და კვლავ განერთხა ბავშვს ზემოდან. შვიდჯერ დააცემინა ყმაწვილმა და გაახილა თვალი .

იგივე სურათია აღწერილი, როდესაც ელია ქვრივის შვილს ჩაჰბერავს სიცოცხლეს.

მოსეს ჯანმრთელობის კანონის და მთლიანად ძველი აღთქმის სამედიცინო სიბრძნე მაინც მის ჰიგიენურ კანონებზე და ცხოვრების წესშია გაცხადებული.

სისუფთავის დაცვა აქ ხშირად კონკრეტული აკრძალვების სახითაა მოცემული. სასმელი წყლის მოპოვების წესის თუ საკანალიზაციო სისტემების შექმნის პირობების განსაზღვრა, საკვებად ვარგისი ცხოველებისა და ფრინველების სია, ცხოვრების კანონების დადგენა თუ ცოლქმრული ურთიერთობის რეგულირება არის ყურადღების ფოკუსში.

განსაკუთრებით საინტერესოა ეს უკანასკნელი. დავიწყოთ წინადაცვეთით, რომელიც ისრაელისა და იუდეას გარდა, ფართოდ იყო გავრცელებული ეგვიპტესა და ძველ კოლხეთში.

ეს ოპერაცია დღესაც კეთდება უროლოგიურ პრაქტიკაში გართულებული ბალანიტებისა და ბალანოპოსტიტების, ფიმოზის დროს. აღნიშნული დაავადებები, სრულიად ბუნებრივიაა, რომ სამხრეთის ქვეყნებში განსაკუთრებით ყოფილიყო გავრცელებული და ტრადიციას სრულიად პრაგმატული ახსნა ჰქონდეს. თანამედროვე ისრაელ მეცნიერთა გამოკვლევით კი, თურმე წინადაცვეთილი პირების პარტნიორი ქალები გაცილებით დაბალი პროცენტით ავადდებიან საშვილოსნოს ყელისა და საშვილოსნოს სიმსივნით.

ცოლქმრული ცხოვრება წმინდაა და კანონით უმკაცრესად დაცული. ერთგულება ვალდებულებაა. ყოველგვარი გაუკუღმართებული კავშირი, ინცესტი, სოდომის ცოდვა, ონანიზმი, ბესტიალიზმი (ცხოველებთან კავშირი) ისჯება ღვთისგან უპირველესად და ისჯება ადამიანური კანონით. ქალწულების ინსტიტუტის დაცვა სავალდებულოა. მოგვიანებით წმინდა პავლე მოციქული დაწერს: „თუ თავს ვერ შეიკავებენ, დე იქორწინონ, ვინაიდან ქორწინება ჯობია გახელებას .

ოჯახი ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის ღირსების დამცველი მექანიზმია. მეფე სოლომონი მონოგამიური ოჯახის აპოლოგეტია, თუმცა ის სასიყვარულო ურთიერთობების კარგ მცოდნედაც გვევლინება: „კარგი და ცუდი ცოლების საყურადღებო დახასიათებას გვაწვდის.

საინტერესოა, რომ ვენერული სნეულებანი ცოლქმრული ღალატის პირდაპირ შედეგადაა შერაცხული. არსებობდა ე.წ. „ეჭვიანობის კანონი . ეჭვმიტანილ ქალს მწარე წყალს (მტვრისა და ტაძრის წყლის ნარევი) ასმევდნენ და თუ ის წაბილწული იყო, გონორეული დაავადების მთელი სომპტომატიკა წარმოჩინდებოდა. შესაძლოა, ეს წყალი ანთების მაპროვოცირებელ რაღაც ნივთიერებას შეიცავდა.

როცა მოსე სინას მთაზე იყო, ებრაელებმა ოქროს ხბოს კერპი დადგეს, ორგიებსა და უწესობებში ჩაეფლნენ. ამას მოჰყვა გონორეის პირველი ეპიდემია. ხოლო მეორედ და უფრო ფართო მასშტაბით მაშინ დაატყდათ თავს ეს საჯელი, როცა მათ მოაბელ ქალებთან დაიწყეს

მრუშობა, აღვირახსნილობა და კერპთაყვანისმცემლობასაც დაუბრუნდნენ.

ძველი აღთქმა მეანობისა და გინეკოლოგიის საკითხებსაც ეხება. აქ საუბარია ასაკსა და შვილოსნობაზე (სარა, ანა და იოაკიმი, ზაქარია და ელისაბედი). აღნიშნულია, რომ ებრაელი ქალები ეგვიპტელებზე ამტანები არიან და სწრაფად მშობიარობენ, ხანდახან ტყუპსაც აჩენენ. მშობიარობიდან 50 დღის განმავლობაში ქმართან ურთიერთობა აკრძალულია. იგივე აკრძალვა ვრცელდება მენსტრუაციის პერიოდზეც.

საინტერესოა დამოკიდებულება ღვინის მოხმარებასთან. ღვინო აქ გამოიყენება ჭრილობების მოსაბანად, ტკივილდამაყუჩებლად და დამამშვიდებლად. ლოთობა და ერთხელ დათრობაც კი სირცხვილად ითვლება.

ღვთიური კანონი კრძალავდა ლეშისა და მძორის ჭამას, რაც შეიძლება ინფექციური დაავადების გამომწვევი გამხდარიყო. სისხლი და ცხიმი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული საკვებად, რომელთა გამორიცხვა მკვეთრად ამცირებდა ქოლესტერინემიის დონეს, სტენოკარდიის, ინფარქტებისა და ინსულტების სიხშირეს.

კაცობრიობის ჯანმრთელობაში იუდაიზმის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა რეგულარული დასვენების დღის - შაბათის (შემდეგში კვირის) შემოღება, რაც ადამიანს ფიზიკური და გონებრივი დასვენების საშუალებას აძლევდა და მისი ძალების განახლებას უწყობდა ხელს. ამ კანონთან იყო დაწყვილებული მეორე კანონი - ერთ-ერთი ათი მცნებიდან - იმის შესახებ, რომ დანარჩენი ექვსი დღე ადამიანს უნდა ეშრომა. თავისთავად ეს ადამიანის ჯანმრთელობის შესარჩუნების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კანონი, რომელიც არეგულირებდა ცხოველთა მოშენებასა და მარცვლეულის მოყვანას, ისეთნაირად წარმართავდა ამ საქმიანობას, რომ საბოლოოდ ადამიანის ჯანმრთელობაც განემტკიცებინა და მოსავალიცა და მონაგარიც უხვი ჰქონოდა. სხვადასხვა ჯიშის საქონელი არ უნდა შეეჯვარებინათ, ორი სხვადასხვა მარცვლეული კულტურა ერთ მინდორზე არ უნდა დათესილიყო, ყოველ მე-7 წელს მიწას უნდა დაესვენა, რათა ნიადაგი არ გამოფიტულიყო.

შემთხვევითი ტრავმატიზმით გამოწვეული შრომისუუნარობის გამო, პიროვნება ფულად დახმარებას იღებდა. ეს კი მშრომელი ადამიანის სადაზღვევო სისტემის ალბათ პირველ ჩანასახს წარმოადგენს.

თუ ქალს მუცელი მოეშლებოდა, მას ასევე უნდა მიეღო ფულადი კომპენსაცია. ცხოველებისაგან მიღებული ტრავმები, ცხოველის პატრონს უნდა აენაზღაურებინა[34].

[34] შენგელია, რ., Ibid, 37-40.

VI. ძველაღმოსავლური მედიცინა - ინდოეთი, ჩინეთი, ძველი ირანი

1. ინდოეთი

ინდოეთის უძველესი ცივილიზაცია ჩამოყალიბდა ძვ. წ. მე-3 ათასწლეულში. დასახელება ინდოეთი ბერძნული წარმოშობისაა და უკავშირდება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე მდინარეს - სინდჰუს, რომელსაც ბერძნები ინდოსს ეძახდნენ.

პერიოდიზაციის თვალსაზრისით ძველი ინდოეთის მედიცინის ისტორიაში გამოყოფენ სამ ეტაპს:

1. ჰარაპული ცივილიზაციის პერიოდი - ძვ.წ. III ათასწლეული - II ათასწლეულის დასაწყისი;
2. ვედური პერიოდი - ძვ.წ. II ათასწლეული - I ათასწლეულის I ნახევარი. ამ პერიოდში დაიწყო წმინდა ტექსტების ვედების შედგენა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდა ვედის თაობიდან თაობაზე ზეპირსიტყვიერი გადაცემის ტრადიცია.
3. კლასიკური პერიოდი (ძვ.წ. VII ს. - ახ. წ. IV ს.) - ეს არის ინდოეთის ტრადიციული კულტურის განვითარების უმაღლესი მწვერვალი.

ქალაქი ჰარაპი მდებარეობს თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიაზე. აქ შეიქმნა პროტოინდური დამწერლობა, რომელიც დღემდე არ არის გაშიფრული. აქ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია 800-მდე ნასახლარი. ყურადღებას იპყრობს ნასახლარი მოხენჯო-დარო (მიცვალებულთა ბორცვი). აქვეა საბანაო კომპლექსი, ცენტრში აუზით. ამავე კომპლექსშია ორი აბანო. სპეციალისტების აზრით აქვე სრულდებოდა საკულტო რიტუალები.

ვედურ პერიოდში ძველი ინდოეთის ცივილიზაციის ცენტრმა გადაინაცვლა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, მდინარე განგისკენ.

ძვ. წ. VI საუკუნიდან, ე.წ. კლასიკურ პერიოდში, ინდოეთში დაიწყო ძლიერი სულიერი და ინტელექტუალური განვითარება. ამ დროს შეიქმნა „მანუს კანონები , ასტროლოგიური და სამედიცინო ხასიათის თხზულებები. ამ პერიოდში შეიქმნა რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება ბუდაზე - ბუდიზმი. ინდოელებმა თვლის ათობითი სისტემა შექმნეს, რომელიც შემდგომ არაბებმა გაავრცელეს მსოფლიოში და ამის გამო მათ არაბული რიცხვები ეწოდათ.[35]

ძველ ინდურ ცივილიზაციაში სამედიცინო დარგი დასაწყისშივე

[35] შენგელია, რ., Ibid, 41-42.

ძალიან ახლოს იდგა მაგიასთან.

არქეოლოგებმა მდინარე ინდის ხეობაში აღმოაჩინეს ხუთი ათასი წლის წინანდელი ქალაქი. მის ნანგრევებში ნაპოვნია შავი ნივთიერება, რომელიც წყალში მუქყავისფრად იხსნება და ასე მიიღება სამკურნალო ხსნარი, ე.წ. სილააჯიტი. აქვე აღმოჩნდა მელანთევზის ფარფლები, ირმისა და ანტილოპის რქები, მარჯნები და ინდური ხის ნიმის ფოთლები. ყველა ამ საგანს ერთდროულად სამკურნალო მნიშვნელობაც ჰქონდა და მაგიურიც.

ძვ. წ. მესამე ათასწლეულის მეორე ნახევარში შეიქმნა ძველინდური რელიგიური კრებულები, რომელთაც ვედები ეწოდებათ. „ვედებში დაცულია ცნობები ინდური მედიცინის შესახებ. აქ ექიმის აღმნიშვნელი ტერმინი ბჰიშაკ პირდაპირი თარგმანით ქაჯთა მდევარს ნიშნავს. მკურნალი, ექიმბაში და ჯადოქარი ჯერ კიდევ არ არიან ერთმანეთისაგან განსხვავებულნი.

„ვედებში მოხსენებულია მრავალი სხვადასხვა სახის ავადმყოფობა, რომელთაც ექიმ-ექიმბაშნი მკურნალობდნენ ბალახეულობითა და საჭმელი მცენარეულობებით. დაავადებათა შორის აღნიშნულია სიყვითლე, სახსრების ტეხვა (რევმატიზმი), თავის ტკივილი, კეთრი, „მეფური სისუსტე (ფილტვების ტუბერკულოზი).

ინდოელ ექიმებს აქვთ ცოდნის ელემენტები ანატომიაში. ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტვინს, ხერხემალსა და გულმკერდის ღრუს. ეს უკანასკნელი მიჩნეული იყო ავადმყოფობათა ბუდედ, საიდანაც ექიმმა უნდა გამოდევნოს იქ დაბუდებული სნეულებანი.

თანდათან ჩნდება ერთი სახელწოდება ზოგიერთი მონათესავე ან მსგავს ავადმყოფობათა აღსანიშნავად. ამის მიხედვით ჩნდებოდა ცალკე სამედიცინო დარგები, მაგ., შინაგანი სნეულებანი, თვალის დაავადებანი, ქირურგია. აღსანიშნავია, ძველი ინდური თქმულების ერთი ადგილი, რომლის მიხედვით, გმირ ვიშტაპას ბრძოლაში ამპუტირებული ფეხის ნაცვლად რკინის ფეხი გაუკეთეს[36].

ძველ ინდოეთში ექიმებს მრავალმხრივი ცოდნა და უნარები გააჩნდათ. „სუშრუტაში (ძვ. წ. IV ს. შექმნილი სამედიცინო ტრაქტატი) ვკითხულობთ: „მკურნალი, რომელიც ფლობს ფესვებისა და ბალახების სამკურნალო თვისებებს - ადამიანია; მკურნალი, რომელიც ცნობს დანისა და ცეცხლის თვისებებს - დემონია; მკურნალი, რომელიც ფლობს ლოცვის ძალას - წინასწარმეტყველია; მკურნალი, რომელიც ცნობს ვერცხლისწყლის თვისებებს - ღმერთია . „სუშრუტაში აღწერილია ძველი ბერძნებისათვისაც კი მანამდე უცნობი დიაბეტი, რომელსაც შარდის გემოს გასინჯვით ადგენდნენ.

[36]სანიკიძე, ლ., Ibid, 20-21.

ძველ ინდოეთში მეანობა ექიმობის დამოუკიდებელ დარგად ითვლებოდა. მშობიარობას ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ოთხი გამოცდილი ქალი იღებდა. ექიმი კი საკეისრო კვეთის საჭიროების შემთხვევაში ერეოდა. „სუშრუტაში მოცემულია რჩევები ფეხმძიმეთათვის.

ძველინდური ოპერაციული მკურნალობის ხელოვნება მთელს მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება. ქირურგები აკეთებდნენ ამპუტაციას, თიაქრის ოპერაციას, კენჭების ამოღებას, პლასტიკურ ოპერაციებს ომებში დასახიჩრებულთათვის, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით დასჯილთათვის მოჭრილი ცხვირის, ყურის, ტუჩების აღდგენის მიზნით. აქ აღწერილი რინოპლასტიკის მეთოდი დღესაც ინდური მეთოდის სახელითაა ცნობილი.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირად ჰიგიენას. ინდოელები ხის რბილი ტოტებით აკეთებდნენ კბილის სახეხ ჯაგრისს, ხოლო კბილის პასტის დასამზადებლად იყენებდნენ თაფლს. ვედებში ალკოჰოლური სასმელები აკრძალული იყო, მაგრამ მოგვიანებით ის მთელ ინდოეთში გავრცელდა. სუშრუტა აღწერს სხვადასხვა მცენარეთა ნაყოფისაგან დამზადებულ სასმელებს. განსაკუთრებით აღნიშნულია ღვინო. ის მადის აღმძვრელად გამოიყენებოდა.

ძველ ინდოეთში ბუდას ტაძრებთან განთავსებული იყო საავადმყოფოები, რომლებიც აქ ევროპასთან შედარებით 5-6 საუკუნით ადრე წარმოიშვა.

ძველი ინდოეთის მედიცინაში დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა იოგას, რომელშიც შერწყმული იყო რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, მორალურ-ეთიკური სწავლება და სავარჯიშო სისტემა[37].

ინდური მედიცინის წინსვლას ბიძგი მისცა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ აღმოსავლეთში. ბერძენ-მაკედონელთა ექსპანსიამ ხელი შეუწყო ელინური კულტურის, კერძოდ ბერძნული მედიცინის გავრცელებას აღმოსავლეთში და მათ შორის ინდოეთში. მეოთხე-პირველ საუკუნეთა ინდურ მედიცინას ბევრი საერთო ჰქონდა ანტიკურ მედიცინასთან. მაგ., ინდურ წერილობით ძეგლში „იაჯურვედაში არის მსჯელობა ორგანიზმის ოთხი ძირითადი სითხის შესახებ. ამის ანალოგიას ვხვდებით ბერძნულ მედიცინაში.

ინდური მედიცინა განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს ძვ.წ. IV-II საუკუნეებში, როცა ქვეყანას განაგებდა პოლიტიკურად და კულტურულად ძლიერი მაურიას დინასტია (322-184 წწ.). ამ საგვარეულოს მეფეები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ჯანმრთელობის დაცვას. ინდოეთში ელცად მყოფი ბერძენი მეგასთენე გადმოგვცემს, რომ ინდოელი ექიმები

[37] შენგელია, რ., Ibid, 43-45.

გულისყურით უვლიდნენ უცხოელ ავადმყოფებსაც და სიკვდილის შემთხვევაში პატივით მარხავდნენ. სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში გახსნილი იყო საავადმყოფოები. იქვე სთესავდნენ სამკურნალო მცენარეებს წამლებისათვის.

ამ დროის ლიტერატურული ძეგლები იხსენიებენ ჩვეულებრივ მკურნალებს, მეანებს, მომვლელ ქალებს, ქირურგებს, ქირურგიულ ხელსაწყოებს და შესახვევ მასალას. ხელისუფლება მოითხოვდა მკვდრის გვამის გასინჯვას. გვამს უსვამდნენ ბალზამს, რომ გასინჯვამდე არ გახრწნილიყო. განსაკუთრებით ამოწმებდნენ უბედური შემთხვევით ან ძალადობრივად დაღუპულთა გვამებს. გამოსაკვლევად სპეციალურ საცხედრეში ასვენებდნენ. სახელწმიფო კანონმდებლობა მკაცრად სჯიდა ბოროტმოქმედთ, რომლებიც შეეცდებოდნენ ადამიანთა მოწამვლას. დიდი ყურადღება ექცეოდა ქალაქთა სანიტარულ მდგომარეობას.[38]

საექიმო ეთიკის წესები ძველ ინდოეთში ძველი ბერძენი ექიმების ფიცის პრინციპების მსგავსი იყო: მასწავლებლებისა და კოლეგების პატივისცემა, წუნდაუდებელი გარეგნობა, თავმდაბლობა და მოთმინება, ავადმყოფის სამსახური საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი , უპოვართა და ხეიბართა მკურნალობა გასამრჯელოს გარეშე, საექიმო საიდუმლოებების დაცვა, განსჯის უნარი და თავისი ცოდნის მუდმივად სრულყოფა.

მედიცინას ინდოეთში გურუები ასწავლიდნენ. სწავლება მოიცავდა რელიგიურ ტრაქტატებში მოცემული შელოცვების კითხვასა და მათ ახსნას, აგრეთვე წამლების სესწავლასა და სხვა ექიმების საქმიანობაზე დაკვირვებით მკურნალობის მეთოდების ათვისებას. განათლების მიღების შემდეგ რაჯისაგან იღებდნენ მკურნალობის ნებართვას, თუმცა ამასთან აუცილებლად უნდა დაედოთ პირობა ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ. მათ მოეთხოვებოდათ მუდამ გაპარსულები, თმაშეჭრილები, სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილები ყოფილიყვნენ.[39]

სწავლება იოგას შესახებ. იოგა არის უძველესი ტრადიციების მქონე ფსიქო-ფიზიოლოგიური დისციპლინა. პირველი წერილობითი წყაროები აღმოჩენილია ინდოეთშო დაახლოებით 5000 წლის წინ, მაგრამ ის, როგორც მოძღვრება, უფრო ადრეულიცაა. სიტყვა იოგა წარმოიშვა სანსკრიტული სიტყვისაგან - „იუკტ , „იუჯ , რაც კავშირს ან ერთიანობას ნიშნავს. კლასიკური განმარტებით კი იგი ნიშნავს: ადამიანის სულის (ჭეშმარიტი შინაგანი მეს) ერთიანობას, კავშირს კოსმიურ მე -სთან (აბსოლუტთან). იოგებმა ჩათვალეს, რომ სანამ ისინი ამ პირველსაწყის ძალას ვერ შეიმეცნებდნენ და დაუკავშირდებოდნენ, მანამ ვერ მიიღებდნენ პასუხებს შეკითხვებზე სამყაროს წარმოშობისა და

[38] სანიკიძე, ლ., Ibid, 20-21.
[39] შენგელია, რ., Ibid, 45.

მოწყობის შესახებ, საკუთარი შინაგანი სამყაროს შესახებ. მათ დაიწყეს „მოგზაურობა საკუთარ შინაგან სამყაროში, ანუ ჭვრეტა, რამაც შემდგომ მედიტაციის სახელი და ფორმა მიიღო. ისინი თვლიან რომ აღმოაჩინეს კოსმიური კანონები. თუნდაც ის, რომ ადამიანი არის მიკროსამყარო მაკროსამყაროში და რომ მიკროსამყაროს იგივე თვისებები აქვს, რაც მაკროსამყაროს, როგორც ოკეანის წვეთს აქვს ოკეანის თვისებები და საკმარისიია საკუტარი თავის შეცნობა იმისათვის, რომ შევიცნოთ სამყარო. ეს კანონი იქცა იოგას სწავლების ერთ-ერთ ქვაკუთხედად, რომელიც მოგვიანებით სხვადასხვა დროის და ეპოქის რელიიგიურ-ფილოსოფიური სწავლებების საფუძველი შეიქნა. მაგალითად ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი დაო დე-ძინში ამბობს: „შეიცან თავი შენი და შეიცნობ სამყაროს . „შეიცან თავი შენი იყო საკვანძო სიტყვა სოკრატეს სწავლებისა.

გარდა ამისა, იოგებმა შეიმეცნეს ჯანმრთელობის პრინციპები: კვების, ბიოციკლების, ფიზიკური და სუნთქვითი ვარჯიშების როლი ადამიანის ცხოვრებაში. ასევე აღმოაჩინეს ჩაკრების (ენერგეტიკული ცენტრების) არსებობა, მათი გაწმენდის, გახსნისა და გასხივოსნების მეთოდები, რომლებიც საიდუმლოდ ითვლებოდა.

სხვადასხვა ადამიანი იოგას სხვადასხვა მიზნებისთვის მისდევს: ზოგი - ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის. ზოგისთვის ის არის შემოქმედებითი შთაგონების და უნარების განვიტარების წყარო. ისინი ამტკიცებენ, რომ მედიტაცია ადამიანს აძლევს დიდ ნებისყოფას, რაც აუცილებელია შემოქმედისათვის. გარდა ამისა, მედიტაციაში იბადება ახალი იდეები. იოგას მანტრები ავითარებს ხმას, კონცენტრაციას - სმენის და არსში ცაწვდომის უნარს, ხოლო სუნთქვითი ვარჯიშები კი საკუთარი ემოციების მართვის უნარს. ზოგისთვის ის სტრესის, დეპრესიის, აგრესიის აღმოფხვრის საშუალებაა.

თუმცა იოგას უსისტემოდ ვარჯიშმა არაერთი სავალალო შედეგი მოიტანა. ბუნებრივია, საკუთარ სულსა და სხეულზე ძალადობა და მოუზომავი ზემოქმედება კარგს არაფერს მოიტანს.[40]

2. ჩინეთი

ჩინური მედიცინის ფესვები ძველ ფილოსოფიასთანაა კავშირში, რომლის თანახმად არსებობს დიდი სამეული: ცა - ადამიანი - დედამიწა. ორი საწყისის ერთობა - ინის და იანის - ყველაფრის შექმნის წყაროა სამყაროში. ინი ქალური საწყისია, მისი თვისებებია - ჩაძირვა, ვარდნა, სიმშვიდე; იანი - მამაკაცური საწყისია, მისი თვისებებია - გამოცურვა, აწევა, მოძრაობა. ინის და იანის არსის განსამარტავად ჩინელი ფილოსოფოსები ხშირად იყენებდნენ ცხოვრებისეულ მოვლენებს. მაგ.,

[40] შენგელია, რ., Ibid, 45-46.

ინი აღნიშნავდა საგნის ჩაბნელებულ მხარეს, იანი - განათებულს; ინი - სხეულის მარჯვენა მხარეს, იანი - მარცხენას; ინი - სიცივესმ იანი - სიცხეს. ინსა და იანს არ შეეძლოთ ეარსებათ ერთმანეთისაგან იზოლირებულად: „თუკი იანი უკან დაიხევს, გადიდდება ინი; თუკი დაიხევს ინი, იანი გადიდდება .

ძველი ჩინელი მედიკოსები თვლიდნენ, რომ ადამიანი არის კოსმოსი მინიატურაში, რომელიც მოქმედებს იმ ძალების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც ბუნებაში ბატონებენ. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა გარე სამყაროსთან ურთიერთობით განისაზღვრება. მაგალითად, წელიწადის დროებთან. „ინთან და იანთან ჰარმონიის დამყარება - ნატქვამია ძველ ჩინურ სამედიცინო ტრაქტატში - წელიწადის ოთხ დროსთან ჰარმონიის დამყარებას ნიშნავს. თუ თქვენ იკამათებთ მათთან, დაღუპავთ სიცოცხლეს; თუ მათთან თანხმობაში იცხოვრებთ - დაივიწყებთ ავადმყოფობებს .

ინი და იანი სამყაროს ხუთი პირველსაწყისის წყაროა: „იანი იცვლება და ინი ყოველთვის მასთან ერთად იცვლება. ასე ჩნდება წყალი, ცეცხლი, ხე, მეტალი და მიწა . ხუთი პირველსაწყისი ციკლური ჩინური კალენდრის საწყისი ელემენტებია, რომელშიც განსაზღვრული იყო მკურნალობის გარკვეული მეთოდების გამოსაყენებლად ხელსაყრელი და არახელსაყრელი დღეები. ამ ძველი კალენდრის სამოცწლიანი წიკლი დღემდე აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაშია მიღებული. მასში ყოველი წელი 12 ცხოველიდან ერთ-ერთის სახელს იღებს: თაგვის, ხარის, ვეფხვის, კურდღლის, დრაკონის, გველის, ცხენის, ცხვრის, მაიმუნის, მამლის, ძაღლის და ღორის. ეს კალენდარი დიდ როლს ასრულებს ჩინურ, ინდური და ტიბეტურ მედიცინაში: უწესებს წამლებს მომზადების ვადებს და პროგნოზს აკეთებს ავადმყოფობის მიმდინარეობაზე. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაგიურ რიცხვთა სისტემას, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი 5“-ს მიეკუთვნება. ხუთ სტიქიას შეესაბამებოდა სწავლება ადამიანის ხასიათის ხუთ კატეგორიაზე, ხუთ ტემპერამენტზე. ადამიანის ჯანმრთელობას და ძალას კვებავდა ხუთი მცენარე: ბრინჯი, ქერი, ფეტვი, ხორბალი და სოიოს მარცვლები. ჩინური ტანვარჯიშის მოძრაობებს ამსგავსებდნენ ხუთი ცი-ს თამაშებს . „ცი ცხოვრებისეული ძალაა.

ჩინური ფილოსოფიის მიხედვით ბუნების ხუთი ელემენტი შეესაბამება ციკლური ცვლილებების სხვადასხვა ფაზებს. პირველი - მიწა, საყოველთაო საწყისი და გამაერთიანებელი ელემენტია. მისი ადგილი ციკლის ცენტრშია. დანარცენი ოთხი ელემენტი გამოხატავსმაქსიმალურ/მინიმალურ აქტიურობას და ორ გარდამავალ მდგომარეობას მათ შორის.

წყალი (დიდი ინი) - ყველაზე ცივი, პასიური და მძიმეა (ზამთარი, სიბერე), ის ანიჭებს ორგანიზმს სტაბილურობას. ცეცხლი (დიდი იანი) - მხურვალე, აქტიური ელემენტია (ზაფხული, სიცხე). ხე (მცირე იანი) -

აღმავლობის, განვითარების სიმბოლოა (როგორც დილა ან გაზაფხული), რკინა (მცირე ინი) - უკუგანვითარების, აქტიურობის დაცემის ელემენტია (საღამო, შემოდგომა).

ძველ ჩინეთში ფიქრობდნენ, რომ ყოველ ორგანოს სხეულის სხვადასხვა ზედაპირზე თავისი ზონა გააჩნია: მარცხენა ლოყაზე აისახება ღვიძლის მდგომარეობა, მარჯვენაზე - ფილტვების, შუბლის კანზე - გულის მდგომარეობა, ნიკაპზე - თირკმელების, ცხვირზე - ელენთისა. მიმართავდნენ ასევე ენის დიაგნოსტიკას. ენაზე არჩევდნენ ოთხ ზონას: ენის წვერი ასახავს გულისა და ფილტვების დაავადებას, ენის შუა ნაწილი - ელენთა - კუჭუკანა ჯირკვლისა და კუჭის პათოლოგიას, ენის ძირი განსაზღვრავს თირკმელების მდგომარეობას, ენის გვერდითი მონაკვეთები კი - ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მდგომარეობას[41].

უხსოვარ დროში ყოფილა ვინმე მიაო-ფუ, რომელიც თითქოს ჩრდილოეთისაკენ მზერას აღავლენდა, ათსიტყვიან ლოცვას წარმოთქვამდა და ყოველნაირ ავადმყოფობას განკურნავდა.

ექიმბაშები, შელოცვების გარდა, იყენებდნენ წამლებს (ღვინო, ბალახეულის წვენი და სხვ.). მედიცინისა და ექიმბაშობის ერთიანობა, რასაკვირველია, ავადმყოფობის განკურნების საკითხს სარისკოს ხდიდა. ამიტომ იყო, რომ ჩინელი მბრძანებლები წამლის ვარგისიანობას ჯერ ხელქვეითზე ცდიდნენ. ენდობოდნენ მხოლოდ დიდი გამოცდილებისა და სამედიცინო-საგვარეულო ტრადიციის მქონე ექიმებს. ერთ ძველ ჩინურ თხზულებაში წერია: „წამალი მიიღე მხოლოდ იმ ექიმისაგან, როემლიც თავის გვარში ეკუთვნის ექიმთა მესამე შთამომავლობას .

ჩინეთში უძველესი დროიდან იცოდნენ ჩხვლეტით მკურნალობა (აკუპუნქტურა), მოწვით მკურნალობა (მოქსა) და სხვ. ყველაფერი ეს ხანგრძლივი პრაქტიკის შედეგი უნდა ყოფილიყო. უეჭველად დიდ როლს ასრულებდა შემთხვევითობაც. მაგალითად, ერთი თხზულება გადმოსცემს, რომ აკუპუნქტურას მეცნიერებმა სრულიად შემთხვევით მიაგნეს: ადამიანმა, რომელიც დიდხანს სახსრების ტკივილით იტანჯებოდა, ერთხელ წაიბორძიკა, დაეცა და განუვითარდა დაჟეჟილობა კანქვეშა სისხლჩაქქცევებით და უცებ... სახსრების ტკივილისაგან განთავისუფლდა. ადვილი შესაძლებელია, რომ ძველმა ჩინელებმა მართლა შემთხვევით მიაგნეს ჩხვლეტითადა სხეულის გარკვეულ ნაწილთა გაღიზიანებით მკურნალობას. სულ პირველად ექიმები ავადმყოფის სხეულს მტკივნეულად აღიზიანებდნენ ქვის წვეტიანი ნამსხვრევით; შემდეგ ჩხვლეტდნენ ბამბუკის, რკინის ან სპილენძის ჩხირით, ხოლო უფრო გვიან ჩხვლეტისათვის იყენებდნენ ოქროს, ვერცხლს ან მათი შენადნობის ჩხირებს.

ალბათ, ასევე შემთხვევით მიაგნეს ძველმა ჩინელებმა მოწვით მკურნალობას. უძველეს ხანაში დაადგენილი იყო, რომ ცეცხლის

[41] შენგელია, რ., Ibid, 48-52.

გამაღიზიანებელი მოქმედება ეპიდერმაზე კურნავს ბევრ დაავადებას. მოწვისათვის იყენებდნენ ბალახებს, ფოთლებს, მცენარის ქერქს.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქვს ჟენ-შენს - ჩინეთის მცენარეული ფარმაკოლოგიის დედოფალს . სახელწოდება ჟენ-შენი ე.ი. „ფესვი-ადამიანი , მიიღო იმისათვის, რომ იგი თავისი ფორმით ძალიან ჰგავს ადამიანის სხეულს. ძველი ჩინელები ამბობდნენ, რომ ეს მცენარე რაც უფრო მეტად ჰგავს ადამიანს, მით უფრო მეტი სამკურნალო ძალის მქონეაო. ჩინელებმა შენიშნეს, რომ ჟენ-შენის წვენი ამაგრებს ადამიანის სხეულს. ამიტომ ისინი მის წვენს თავდაპირველად „გასამხნევებლად სვამდნენ, შემდეგ კი დაიწყეს მისი სამკურნალოდ გამოყენება. ჩინელი ფარმაკოლოგები ჟენ-შენს ურევდნენ სხვადასხვა წამალში და იყენებდნენ სხეულის დაუძლურების, გადაღლილობისა და სისხლნაკლულობის წინააღმდეგ. ადრევე შეამჩნიეს, რომ იგი იწვევს გულის, ფილტვების, ღვიძლისა და თირკმელების მოქმედების გაძლიერებას, ამაგრებს ნერვულ სისტემას, აფართოებს სისხლძარღვებს და ადაბლებს მომატებულ სისხლის წნევას.

ჩინური სამკურნალო მეცნიერება აყვავებას იწყებს ე.წ. ჯოუს ეპოქაში (ასეთი სახელწოდება ჰქონდა სამეფო დინასტიას ძვ.წ. XIII-XII სს.). ჯოუს დასაწყის ხანას მიეწერება ნახევრად ლეგენდარული მეფე შენ-ნუნი, რომელიც იმავე დროს წარმოდგენილია, როგორც ბრძენი მკურნალი. შენ-ნუნი ითვლება ავტორად ძველთაძველი სამედიცინო სახელმძღვანელოებისა. მის სამკურნალო არსენალში მთავარი იყო მცენარეული საშუალებანი. თქმულება გადმოგვცემს, რომ შენ-ნუნი ისე როგორც პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორი[42], კრებდა, აზავებდა და საკუთარ ორგანიზმზე ცდიდა სხვადასხვა სახის წამალსა და საწამლავს. იგი სამოცდაათჯერ მოწამლულა, მაგრამ საწამლავთა საწინააღმდეგო წამლების ხმარებით თავი ყოველთვის დაუღწევია სიკვდილისაგან.

დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ ჩინეთში საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას. ჩამოყალიბდა სამედიცინო კანონმდებლობა; გაჩნდა პირველი საავადმყოფოები. მედიცინაში იქმნება ისეთი სპეციალობები, როგორიცაა თერაპია, ქირურგია, დიეტოლოგია.

ჩინური კომპლექსური თერაპიის ფუძემდებლად ითვლება სახელოვანი სწავლული ბიან-ციაო, რომელიც ცხოვრობდა ძვ. წ. მე-4 საუკუნეში. იგი აქიმობისას კომპლექსში იყენებდა წამლებს, ქირურგიულ ცარევას, მასაჟსა და აკუპუნქტურას. ავადმყოფის გასინჯვისას და დიაგნოზის განსაზღვრისას ბიან-ციაო ოთხ ძირითად მეთოდს იყენებდა:

[42] იგი პონტოს ქართული სახელმწიფოს მეფე იყო ძვ.წ. პირველ საუკუნეში. იგი აწარმოებდა ქიმიურ ცდებს, ამზადებდა წამლებსა და საწამლავებს, რომელთაც საჭმელთან ერთად ღებულობდა. ასე შემუშავდა მასში გამძლეობა საწამლავის მიმართ და როცა თავის მოწამვლა სცადა, ძლიერმა საწამლავმაც კი აღარ იმოქმედა. მაშინ ერთგულ მსახურს უბრძანა მახვილით მოეღო მისთვის ბოლო.

გამოკითხვას, ხმისა და სუნთქვის მოსმენას, საერთო გასინჯვასა და პულსის შემოწმებას. აღსანიშნავია, რომ პულსის გასინჯვა და პალპაციის გამოყენება პირველად სწორედ ბიან-ციაომ დაიწყო. მანვე პირველად გამოიყენა საანესთეზიო საშუალებები (ნარკოტიკები) ქირურგიული ოპერაციის ჩატარებისას.

ბიან-ციაო წარმატებით მკურნალობდა თვალისა და ყურის დაავადებებს. იგი იყო შესანიშნავი გინეკოლოგი და პედიატრი. ბიან-ციაო თავგამოდებით ებრძოდა ექიმბაშობას. ის ამბობდა, რომ არსებობს ექვსი განუკურნებელი ავადმყოფობა და მათ შორის ის, რომ ადამიანებს სჯერათ ექიმბაშებისა და არა ექიმებისა .

ბიან-ციაო მთელი თავისი სიცოცხლე ჩინეთის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა და დაავადებულთ ადგილზე მკურნალობდა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს დაიღუპა კიდეც. ცინის სამთავროს სასახლის ექიმმა ლი-შიმ მკვლელის ხელით გამოასალმა სიცოცხლეს.

ბიან-ციაოს მრავალი მოწაფე და მიმდევარი გაუჩნდა. მათვე შეუდგენიათ სამედიცინო- საცნობარო წიგნი ნან-ძინი („წიგნი ძველტაძველის შესახებ), სადაც წარმოდგენილია ბიან-ციაოს სამედიცინო სწავლებანი და გამოცდილებანი.

ძვ. წ. მე-3 საუკუნის უკანასკნელ წლებში, ე.წ. ცინის დინასტიის მმართველობის ხანაში შეიქმნა დიდი ჩინური სამედიცინო ტრაქტატი „ნეი-ძინი . მასში განხილულია მედიცინის მიზნები და ექიმის მოქმედება. ამ წიგნის მიხედვით, „მედიცინის ამოცანები მდგომარეობს იმაში, რომ განკურნოს ავადმყოფნი და განამტკიცოს ჯანმღტელობა ჯანმრთელთა . შემდეგ მოცემულია ექიმის მიერ ავადმყოფობის შეცნობის დებულებები:

ექიმმა უნდა დაადგინოს პირვანდელი დარღვევანი ორგანიზმის ნორმალური ცხოვრების დინებაში;

მან უნდა გაარკვიოს, რა მოიტანა ავადმყოფობამ ორგანიზმში ახალი და რა გაიტანა მან ორგანიზმიდან;

ექიმს უნდა ახსოვდეს, რომ ავადმყოფობა ცვალებადია და ამიტომ გულდასმით უნდა აკვირდებოდეს მის მსვლელობას;

ექიმი მკვლევარი უნდა იყოს და არა უბრალო მჭვრეტელი. ამიტომ ის უნდა ეძიებდეს ავადმყოფობათა ცვლილების მიზეზებს;

ექიმმა უნდა შეისწავლოს არა მარტო დაავადებული ორგანო, არამედ მისგან გამოწვეული ცვლილებები დანარცენ ორგანოთა ურთიერთობაში;

ბოლოს, ექიმი უნდა იყოს არა მარტო მწვრეტელი და მკვლევარი, არამედ მკეთებელიც , ე.ი. როცა აღმოაჩენს ავადმყოფურ მოვლენებს და მათი წარმოშობის მიზეზებს, უნდა იმოქმედოს დარღვევათა

სალიკვიდაციოდ და ორგანიზმში ჰარმონიულობის („მშვიდობის) აღსადგენად.

„ნეი-ძინ გვაძლევს საინტერესო ცნობებს ძველჩინური ანატომიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის შესახებ. სხეულის ანატომიური აღწერილობა მოცემულია მხატვრული ალეგორიებით: გულის - სხეულის მეფეა, რადგან მოიცავს სხეულის სასიცოცხლო ძალებს; ფილტვები - მინისტრები, რადგან ხელმძღვანელობენ ორგანიზმის მოქმედებას; ღვიძლი - გენერალია, ჭკუისა და ცბიერების ბუდე; თვალები, ცხვირი, ყურები და პირი სხეულის ფანჯრებია.

„სისხლი არის ძარღვებში , რომელიც იყოფა: არტერიებად (ტინ-მაი), ვენებად (ლო-მაი) და წვრილ სისხლძარღვებად, რომელიც მოხსენებულია, როგორც ძარღვთა შვილიშვილები (სუნ-მაი). „ძარღვები ერთმანეთს უერთდებიან წრიულად. მათში არ არის დასაწყისი და დაბოლოება... სისიხლი ძარღვებში მოძრაობს განუწყვეტლივ, წრიული სახით... ხოლო გული განაგებს სისხლს .

„ნეი-ძინში აღნიშნულია, რომ ავადმყოფობას იწვევს გარეგანი ფაქტორები, რომელშიც იგულისხმებოდა ექვსი გადაჭარბებული მოვლენა - სიცხე, სიცივე, ქარი, სინესტე, სიმშრალე და ცეცხლი. ამავე დროს, ავადმყოფობის გამომწვევია შინაგანი მიზეზები, ე.წ. „შვიდი განწყობილება : გადაჭარბებული სიხარული, რისხვა, შიში, მწუხარება, ნაღვლიანობა, სიყვარული და სურვილი. შეიძლება იყოს ავადმყოფობის „შერეული მიზეზებიც, მაგ., მოწამვლა.

„ნეი-ძინ დიაგნოზის დასმისას ითვალისწინებს შემდეგ მეთოდებს: გამოკითხვას, საერთო გასინჯვას, „სხეულის ფანჯრების (თვალები, ცხვირი, ყურები, პირი) დათვალიერებას, დაკვირვებას სუნთქვისა და ხმის ტონებზე, ავადმყოფთა სპეციფიკურ სუნთა შეყნოსვას, პულსის გასინჯვას და პალპაციას.

„ნეი-ძინი დიდ ყურადღებას უთმობს ჰიგიენისა და პროფილაქტიკის საკითხებს (პირადი ჰიგიენა, კვება, დღის რეჟიმი, შრომის რეჟიმი).

„ნეი-ძინი ჩინეთის ისტორიის ყველა ეპოქაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იგი დღესაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

პირველი დიდი მეცნიერი, ვინც ნეი-ძინის სამკურნალო დარიგებებს პრაქტიკაში ასრულებდა იყოცან-გუნი. მან პირველმა დაიწყო ავადმყოფობის ისტორიების შედგენა - „ჩანაწერები გამოკვლევისა და მკურნალობისა .

ახ. წ. პირველ საუკუნეში მედიცინის განვითარებას ჩინეთში ხელი შეუწყო ვან-ჩუნის (27-97 წწ.) მატერიალისტურმა ფილოსოფიამ. ვან-ჩუნი სამყაროს ერთადერთ საწყისად მატერიალურ სუბსტანციას („ცი)

აღიარებდა. ცოდნის წყაროდ მას მიაჩნდა რეალური სამყაროს გრძნობადი აღქმა: „ადამიანი არის ცხოველი არსება ... მისი ბუნება არ განსხვავდება სხვა არსთა ბუნებისაგან , მაგრამ ცისა და მიწისაგან შობილ არსთა შორის ადამიანი ყველაზე ფასეულია, რაც მისი ცოდნის ნიჭით განისაზღვრება. ადამიანი სხვა ცხოველ არსთა მსგავსად კვდება და სიკვდილისთანავე სხეულთან ერთად ნადგურდება მისი სულიერი ატრიბუტიც. მკვდრები სულებად ვერ იქცევიან, ცნობის უნარი აღარ აქვთ და ადამიანებს ვეღარ მოუტანენ ვერც სარგებლობას და ვერც ვნებას .

ვან-ჩუნის ამგვარი შეხედულებანი მედიცინას ათავისუფლებდა რელიგიური მისტიციზმისა და მაგიისაგან.

მე-2 საუკუნის ჩინეთში სახელი გაითქვა ჯან ჯუნ-ძინმა (150-219 წწ.) (გვ.14). იგი ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ როცა ციებ-ცხელებამ და სხვა ეპიდემიურმა სენმა მრავალი მისი თანამემამულე იმსხვერპლა, ჯან ჯუნ-ძინმა ხელი მოჰკიდა მედიცინის შესწავლას. იგი მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა და ებრძოდა დაავადებებს. მას ეკუთვნის სამედიცინო გამოკვლევათა თექვსმეტი ტომი - „შან-ხან-ლუნი (მსჯელობა ტიფოზურ ცხელებაზე). ის წარმოადგენს შინაგან დაავადებათა მკურნალობის სახელმძღვანელოს.

ჯან ჯუნ-ძინს ეკუთვნის აგრეთვე ძვირფასირეცეპტები („ძინგუი იაოლიუე), რომელიც შეიცავს თერაპიულ ცნობებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკულ დაავადებათა, სუნთქვის ორგანოთა, სისხლის მიმოქცევისა, ნივთიერებათა ცვლის რღვევისა, უროლოგიურ ავადმყოფობათა, ქალის სნეულებათა შესახებ.

ჯან ჯუნ-ძინის თანამედროვე მეორე დიდი ექიმი იყო ხუა ტო (141-208 წწ.). იგი ითვლება ქირურგიის ფუძემდებლად ჩინეთში. ხუა ტო აკეთებდა ოპერაციებს თავის ქალაზე, გულ-მკერდისა და მუცლის ღრუებში. საანესთეზიოდ იყენებდა ნარკოტიკებს (ბანგი, მანდრაგორა, ხაშხაში). ოპეტაციის შემდგომ კი ხმარობდა განსაკუთრებულ მალამოს, რომელიც დაჩირქების გარეშე სწრაფად ახორცებდა ჭრილობას. მისი თანამედროვენი ასე აგვიწერენ ხუა ტოს სამკურნალო ხელოვნებას:

„...ხუა ტო მკურნალობს წამლებითაც, ჩხირებითაც და მოწვითაც. ხოლო თუ ადამიანს სტკივა შიგნეულობა და არავიტარი წამალი არ შველის, ასმევს კანაფის ნახარშს, რისგანაც ავადმყოფი იძინებს მკვდრის ძილით, შემდეგ ბასრი დანით ჰკვეთს მუცელს, სამკურნალო ნაყენით რეცხავს შიგნეულს ისე, რომ ავადმყოფი ვერაფერს გრძნობს, ჭრილს ჰკერავს ბალზამისთ გაჟღენთილი ძაფით, ნაკერზე უსვამს მალამოს და ერთ თვეში ადამიანი უკვე ჯანსაღია .

ხუა ტო პირველი იყო, ვინც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამკურნალო ფიზკულტურას, რაც გულისხმობდა ხუთი ცხოველის - მაიმუნის, ირმის, ვეფხვის, დათვის და ყარყატის მიმოხვრის მიბაძვას. ხუა ტო ამბობდა: „მოძრაობა ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, სისხლის

კარგ მოძრაობას, თავიდან გვაცილებს ავადმყოფობას...“, „კარის სახელური ხშირად მოძრაობს და ამიტომაც არ იჟანგება, ასეა ადამიანიც, თუ ბევრს მოძრაობს, მაშინ ის არც დალპება .

ხუა ტო მკურნალობდა ჩინელ დესპორს ცაო-ცაოს, რომელსაც თავის ტკივილები აწუხებდა. ცაო-ცაომ მოინდომა ხუა ტო პირად ექიმად ექცია, მაგრამ ხალხისათვის თავდადებულმა მკურნალმა უარი უთხრა. გაბრაზებულმა ცაო-ცაომ მოჰკლა ხუა ტო.

მე-3 საუკუნეში ცხოვრობდა შესანიშნავი ექიმი ვან შუ-ხე (210-285 წწ.). იგი წარმოშობით საიმპერატორო საგვარეულოს ეკუთვნოდა და კარგი განათლების მიღების საშუალებაც ჰქონდა. მედიცინის ისტორიაში იგი შევიდა, როგორც მაჯისცემის ცვლილებათა უდიდესი სპპეციალისტი. მანვე პირველად დაწერა ათტომიანი წიგნი პულსის შესახებ („მო-ძინ), რომელიც დღემდე არ ჰკარგავს მნიშვნელობას.

მე-3 საუკუნეშივე ცხოვრობდა სახელოვანი მედიკი ხუან ფუ-მი (215-282 წწ), რომელიც წარმოშობით ვან შუ-ხსაგან განსხვავებით, გლეხის ოჯახიდან იყო. თუმცა ნიჭიერებისა და სიბეჯითის წყალობით კარგი განათლება მიიღო. ხუან ფუ-მი მუშაობდა აკუპუნქტურისა და მოქსის მეთოდთა სრულყოფისათვის. ამიტომაც მას ჩინელი მხატვრები ჩხირითა და სიგარით ხელში გამოხატავდნენ.

მე-3 საუკუნის ექიმთა შორის გამოირჩევა გე-ხუნი. იგი იყო ასევე ქიმიკოსი, მწერალი-ენციკლოპედისტი და ჩინური ფარმაკოლოგიის დამაარსებელი. მან პირველმა მიუთითა ბრონქული ასთმის მკურნალობაზე ეფედრის ალკალოიდით (ეფედრინი). მან აღწერა ჩიყვისა და ყვავილის სიმპტომები და მკურნალობა. „ავად გახდომა ადვილია, ხოლო განკურნება ძნელი , ამბობს გე-ხუნი და გვასწავლის დაავადებებისაგან თავდაცვის რეჟიმს: ადამიანი უნდა ერიდებოდეს მავნე სასმელ-საჭმელს, იცავდეს ზომიერებას სქესობრივ ცხოვრებაში, ყოველნაირად დაიცვას სულიერი სიმშვიდე (არ აღელდეს, მოერიდოს მძაფრ შეგრძნებებს, მკაცრად შეზღუდოს ძნელადმისაღწევ სურვილთა საზღვრები და სხვ.). მისი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ სუნთქვასა და ვარჯიშს.

502 წელს გამოვიდა მსოფლიოში პირველი ფარმაკოპეია (შვიდტომეული, „შენ-ნუნ-ბიან-ცაო-ძინ). იგი შეიცავს 730 სახის მცენარეული წამლების აღწერილობას. ეს ფარმაკოპეა შექმნა 22 ფარმაცევტისგან შემდგარმა კომისიამ მანამდე არსებულ ბალახეულ სამკურნალო ტრაქტატთა თავმოყრისა და შევსების საფუძველზე.

610 წელს ჩინელმა სწავლულმა ცაო იუან-ფანმა დაწერა სამედიცინო წიგნი ჯუ-ბინ-იუან-ხოუ-ძუნ-ლუნ , სადაც აღწერილია რაქიტი, დიზენტერია, შავი ჭირის ჯირკვლოვანი ფორმა, კეთრი და იქვე ნაჩვენებია მათი მკურნალობის წესები.

ამავე ხანში იწყება ჩინეთში ყვავილის აცრა. ჩინელ ექიმებს მიაჩნდათ, რომ ყვავილის ინფექცია ვრცელდება ჰაერით დამტვერიანების გზით, ანუ ყვავილის გამომწვევი ვირუსი ჰაერის გზით იჭრება ადამიანის ზემო სასუნთქ ორგანოთა ლორწოვან გარსში და ვრცელდება მტელს ორგანიზმში. აქედან გამომდინარე, ექიმები ყვავილით დაავადებულის ბუშტულებიდან ამზადებდნენ შრატს და ცხვირში უშხაპუნებდნენ ჯანსაღ ადამიანს. ჩინურ მედიცინაში ეს მეთოდი ცნობილია, როგორც აცრა ცხვირში .

ძველი ეპოქის ჩინეთის მედიცინის გვირგვინია სუნ სი-მიაო (581-673 წწ.). მას წამალთა მეფეს უწოდებენ. აქ იგულისხმება არა მარტო სამკურნალო წამლები, არამედ თოფის წამალიც, რომლის გამოგონება სხვა ალქიმიკოსებტან ერთად სუნ სი-მიაოსაც მიეწერება.

სუნ სი-მიაოს წიგნი ძიან-ძი-ფან (ათასი ოქროს რეცეპტი)ოცდაათ ტომს მოიცავს. სხვა მრავალთა შორის აქ მოცემულია აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ავიტამინოზური ავადმყოფობის - ბერი-ბერის მკურნალობა ღომის მცენარის გადანაჭრებით, რომელშიც დიდი რაოდენობითაა ვიტამინი.

ერთხელ იმპერატორმა ტაი ძუნმა მიიწვია სუნ სი-მიაო თავისი მეუღლის გასასინჯად. დედოფალმა გადაწყვიტა გამოეცადა მკურნალი. საამისო მიზეზიც ჰქონდა, არსებული ეტიკეტის მიხედვით, ექიმს ნება არ ჰქონდა არც დედოფლის ნახვისა და არც მისი გამოკითხვისა. მათ ერთმანეთისაგან ჰყოფდათ სქელი თეჯურუ. ექიმს უფლება ჰქონდა მხოლოდ პულსის გასინჯვისა. მაგრამ სუნ სი-მიაოს არ შეეძლო შეხებოდა დედოფლის მაჯას. მაშინ მან დედოფალს სთხოვა ძაფის ერთი ბოლო მაჯაზე შემოერტყა, მეორე კი მისთვის მიეწოდებინა. დედოფალმა ექიმის მოტყუება სცადა, ერთი ბოლო ექიმს მიაწოდა, მეორე კი სკამის ფეხს შეაბა. ექიმმა ძაფი მოსწია თუ არა, წამოიძახა: „მე მაცდენთ, ძაფი შებმულია არა ცოცხალ არსებაზე, არამედ უსულო ხეზე . გაოცებულმა დედოფალმა ძაფი ახლა ძაღლის ფეხს შეაბა. ექიმმა კვლავ მოქაჩა და თქვა: „თქვენ ისევ მცდით, რადგან ეს პულსი ადამიანს კი არა, ცხოველს ეკუთვნის . ექიმის სიბრძნეში დარწმუნებულმა დედოფალმა ბოლოს და ბოლოს ძაფი მაჯაზე შეიბა. სუნ სი-მიაომ კი სთქვა: „ახლა ვგრძნობ ქალის მაჯას. მე შევიცანი თქვენი ავადმყოფობა და ამის შესახებ მოვახსენებ იმპერატორს . მალე მან აცნობა ხელმწიფეს, რომ დედოფალი არ იყო ავად, რო იგი ფეხმძიმედ იყო და ხუთ თვეში ვაჟს აჩუქებდა. და მართლაც, ექიმის წინასწარმეტყველება ახდა.[43]

ბუდიზმი და მედიცინა. მეტაფიზიკური პრინციპები, რომელიც ხაზგასმულია ბუდისტურ მედიცინაში, სათავეს იღებს ისტორიული ბუდას სწავლებიდან. ბუდას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძალა და ფუნქცია

[43] სანიკიძე, ლ., Ibid, 10-18.

ადამიანთა მკურნალობაა.

ადრეული ბუდისტური რწმენით ცხოვრებაში 4 ფაქტორია აუცილებელი: საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი და მედიცინა. ამასთან, „ადამიანი, რომელიც არ არის თავისუფალი და შეპყრობილია მგზნებარე ჟინით, მიიჩნევა ავადმყოფად .

ბუდიზმის მიხედვით, ადამიანის სულიერი მდგომარეობა მჭიდრო კავშირშია მის ჯანმრთელობასთან. ბუდისტური მკურნალობის სიმბოლოა ე.წ. დუგ-ბკომი (რაიმე ხილთან ასოცირდება, გურუს გამოხატავენ ხშირად რაიმე ხილით ხელში) და იგი სამი შხამის დათრგუნვის მეტაფორაა. ეს შხამებია: დაუოკებელი სურვილი, შუღლი და შიში, დაბნეულობა. ბუდისტური მედიცინის თანახმად, სიძულვილი და შუღლი ენერგეტიკულ დისბალანსს ანუ ღვიძლისა და სანაღვლე გზების გაღიზიანებასა და ჭარბგამოყოფას იწვევს.[44]

3. ირანი

ძველი ირანი (სპარსეთი) ინდოეთთან დასავლეთით, ხოლო შუამდინარეთიდან აღმოსავლეთით, ორ უძველეს ცივილიზაციათა შუა იყო მოქცეული. ქვეყნის ისლამიზაციამ (VII ს.) მისი ისტორია ორ ნაწილად გაჰყო: პრე-ისლამური და ისლამური.

პრე-ისლამური მედიცინა რამდენიმე პერიოდად იყოფა:

1. ავესტური პერიოდი. სამედიცინო ხასიათის ყველაზე ადრეული ჩანაწერები ირანული მაზდეანური რელიგიის უმთავრეს წიგნში ზენდ-ავესტაში მოიპოვება;
2. ფაჰლაური პერიოდი;
3. აქემენიდური დინასტიის პერიოდი (ძვ.წ. VI-IV სს.). მეფე დარიოს პირველის მეფობის პერიოდში გაიზარდა მედიცინით დაინტერესება. საისაში (ეგვიპტე) აღდგენილ იქნა უმაღლესი სამედიცინო სკოლა.[45]

საინტერესოა ძველი ირანის ხალხთა სამედიცინო მემკვიდრეობა. ძველ ირანელთა სამედიცინო შეხედულებები მჭიდროდ უკავშირდება კეთილისა და ბოროტის, სინათლისა და სიბნელის მუდმივი ურთიერთბრძოლის შესახებ რელიგიურ მსოფლაღქმას. ყველაზე ძველი და ვრცელი ლიტ. ძეგლი, რომელიც საინტერესო ცნობებს გვაძლევს ძველ ირანულ სააქიმო შეხედულებებზე, არის ავესტას კანონი. ავესტას მე-20 წიგნში, ვენდიდატში, მოცემულია საყურადღებო ცნობები მედიცინიდან. კიდევ უფრო მრავლად გვხვდება სამედიცინო აფორიზმები, დაავადებათა

[44] შენგელია, რ., Ibid, 61.
[45] Ibid, 68.

აღწერილობა და მკურნალობის წესები იგავ-არაკთა კრებულში ქილილა და დამანა , რომელიც ინდოეთში გადმოუწერია ახალგაზრდა სპარსელ ექიმს ბორზოეს სასანიდების დროს.

ძველირანელ აქიმთა წარმოდგენით, ადამიანის ორგანიზმშია ოთხი სტიქია: სისხლი, ლორწო (ფლეგმა) და ორი ხარისხის ნაღველი. სანამ მათ შორის ურთიერთობა გაწონასწორებულია, ჯანმრთელობაც შენარჩუნებულია, ხოლო ამ წონასწორობის დარღვევა იწვევს ავადმყოფობას.

ავადმყოფობის წარმოშობასა და მასთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქიკურ მომენტებს. მაგ., ამბობდნენ, რომ გაჯავრება და განრისხება ადამიანს უკარგავს მადას, ხოლო სიხარული ისევ უბრუნებს.

VI-V საუკუნეებში საბერძნეთთან ურთიერთობის დროს ირანულ მედიცინაში ბევრი რამ დაინერგა და დამუშავდა ბერძნული სამკურნალო ხელოვნების გავლენით. უკვე სპარსელებსაც ჰყავდათ „საკუთრად მედიცინის მფარველი ღმერთი - ტრაეტონი. ბერძენ-სპარსელთა ნახევარსაუკუნოვანი ომის დროს (500-449 წწ.) სპარსელებს ჰქონდათ კარგად ორგანიზებული სამხედრო-სამედიცინო სამსახური, ჰოსპიტლები სახმელეთო არმიასა და საზღვაო ფლოტში; იმდროინდელ პირობათა კვალობაზე, კარგად ჰქონდათ მოწყობილი ტრანსპორტი დაჭრილთა და ავადმყოფთა გადასაყვანად.

ირანში ექიმი დიდი პატივით სარგებლობდა, მაგრამ თან დიდი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა. იგი ვალდებული იყო გამუდმებული სწავლითა და პრაქტიკული დაკვირვებით გაემდიდრებინა საკუთარი სამედიცინო ცოდნა და გადაეცა მემკვიდრეობით შემდგომ მკურნალთათვის.

დიდი ყურადღება ექცეოდა დაავადებათა პროფილაქტიკას. „ავესტა პირდაპირ მოუწოდებს - „აღმოფხვერ სნება, მანამ სანამ იგი ხელს შეგახებდეს . ექიმის ფუნქციაც ეს იყო - ავადმყოფობისაგან დაეცვა ჯანმრთელი და ჯანმრთელობა დაებრუნებინა ავადმყოფისათვის.

ექიმის ეთიკა მოითხოვდა სამედიცინო ცოდნის აბსოლუტურ გამოყენებას პრაქტიკაში, იგივე ეთიკით ექიმი უნდა ყოფილიყო უაღრესად თავაზიანი, ალერსიანი, მახვილგონიერი, მშვიდი და დიდსულოვანი.

ავადმყოფის დიაგნოზის განსაზღვრისას ირანელი მკურნალნი დიდ ყურადღებას აქცევდნენ პულსს, გარეგნულ იერსა დაშარდის ანალიზს. განკურნების მთავარ პირობად მიჩნეული იყო ასევე თვით პაციენტის „აღსარება საკუთარი ავადმყოფობის შესახებ: „ვინც ექიმს თავის ავადმყოფობას უმალავს, იგი საკუთარ თავს ატყუებს .

ძველ ირანში ვხვდებით სტომატოლოგებს, ვენეროლოგებსა და ექიმებს, რომელთაც იციან სულით ავადმყოფთა მკურნალობის წესები .

განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და პატივი ენიჭებოდა დანის მედიცინას , ე.ი. ქირურგიას. ახალგაზრდას დამოუკიდებელი ქირურგიული მკურნალობის უფლება მაშინ ენიჭებოდა, როცა ის გამოცდილ დანის ოსტატთა თანდასწრებით სამჯერ განკვეთდა და განკურნავდა ავადმყოფს.

ჭრილობის შესაკერად ირანელი ექიმები იყენებდნენ ცხოველის ძარღვებს. ნარკოტიკულ საშუალებებად ხმარობდნენ ღვინოს, ოპიუმს, ჰაშიშს ხსნარის ან ფხვნილის სახით. იგი საბერველით შეჰყავდათ პირდაპირ ცხვირის ღრუში, ოპერაციის პროცესში განვითარებული შოკიდან ავადმყოფი გამოჰყავდათ სხეულის გათბობით, წყლის მიწოდებით და მშვიდი გარემოს შექმნით.

ირანულ ტექსტებში მრავლადაა წარმოდგენილი დაავადებათა სიმპტომები და ფორმები. ხშირად აღწერილია მალარია, გართულებული კომით. ყვავილი და მისგან გამოწვეული სიბრმავე, სპილოს დაავადება, წვივის ტროფიკული წყლულები, ბუასილი და სხვა.

საკმაოდ მდიდარი იყო ირანული ფარმაკოლოგია. იყენებდნენ მარილს, გოგირდსა და სინგურს (კანის სნეულებანი), სურმას (კოსმეტიკა, თვალის ავადმყოფობა), ტყვიას (ჭრილობის მოშუშება). ქაფურს ხმარობდნენ გულისა და ფილტვების სამკურნალოდ. გამოიყენებოდა ღვიძლი, ნაღველი, ცხიმი, თაფლი, სანთელი, გველის შხამი, ფინიკი, კომში, ნიგოზი, ზეთის ხილი, ბალახები და ძირხვენები. ზოგიერთ დიდ ირანულ ქალაქში არსებობდა სააფთიაქო ბაღები სამკურნალო მცენარეულით. მეფეთა და წარჩინებულთა სასახლის კარზე მუდამ იყო აფთიაქი და აფთიაქარ-ექიმი.[46]

VII. ანტიკური მედიცინა

1. მედიცინა ძველ საბერძნეთში

დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაცია თავისი არსით და ფესვებით ანტიკური პერიოდის კულტურიდან მოდის. დასავლური ცივილიზაციის აკვანი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, მცირე აზიასა და კავკასიაში დაირწა. როგორც ჩანს, ბერძნებისა და საერთოდ ინდოევროპელების მოსვლამდე მთელ ამ ტერიტორიაზე წინარე ცივილიზაციის მატარებელი ხალხი ცხოვრობდა. ინდოევროპელები მოგვიანებით (ძვ.წ. III-II ათასწლეულში) მოვლენ აქ და ადგილობრივ მოსახლეობას შეერევიან. ეს

[46] სანიკიძე, ლ., Ibid, 18-20.

შერევა დიდ შედეგს მოიტანს: მსოფლიო ბერძნულ კულტურას მიიღებს, რომელსაც შემდგომ რომი იმემკვიდრებს. განვითარდება ფილოსოფია, მწერლობა, ხელოვნება, არქიტექტურა, პოლიტიკა, მედიცინა. ეს არასრული ჩამონათვალია იმისა, რითაც თანამედროვეობა ანტიკური სამყაროსაგან არის დავალებული.

ანტიკურობამ - ძველი სამყაროს უძველესმა ცივილიზაციამ სამი საფეხური განვლო: ელინური (ბერძნული), ელინისტური (ბერძნულ-აღმოსავლური) და რომაული. ამისდა მიხედვით ანტიკური მედიცინა სამ პერიოდად იყოფა.

ძველი საბერძნეთის ისტორია განვითარების თითქმის სამ ათასწლეულს ითვლის, რომელშიც გამოყოფენ 5 ძირითად პერიოდს:

1. კრეტა-მიკენის ან ეგეოსური (ძვ.წ. III-II ათასწლეული);
2. წინაპოლისური (ძვ.წ. XI-IX სს.);
3. პოლისური (ძვ.წ. VIII-VI სს.);
4. კლასიკური (ძვ.წ. V-IV სს.);
5. ელინისტური (ძვ.წ. IV - ახ.წ. I სს.).

ყოველ პერიოდში მკურნალობის ხელოვნებას და სამედიცინო ცოდნას თავისი დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა. მედიცინის შესწავლის წყაროებია: სპეციალური სამედიცინო შრომები (მაგ., ჰიპოკრატესთან და მის სკოლასთან დაკავშირებული შრომები), ასევე ფილოსოფიური, მხატვრული, საისტორიო თხზულებები, მითოლოგია: ჰომეროსის პოემები, ჰეროდოტეს ისტორია 9 წიგნად, პითაგორას, პლატონის, არისტოტელეს მემკვიდრეობა.[47]

კრეტა-მიკენის ან ეგეოსის ხანა

ანტიკური ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრი იყო კუნძული კრეტა. აქ 1900-იანი წლების გათხრებისას, რომელსაც ა. ევანსი აწარმოებდა, აღმოაჩინეს სანიტარული და სამედიცინო აღჭურვილობა, თიხის მილები, რომლის საშუალებითაც წყალი ჩაედინებოდა სპეციალურ ორმოებში. მოწყობილი იყო აბანოები და სავენტილაციო სისტემა.

პოლისამდელი პერიოდი

ამ პერიოდს დიდი ხნის განმავლობაში უწოდებდნენ ჰომეროსულს, რადგან მის შესახებ ცნობებს ჰომეროსის პოემებიდან ვიგებდით. ჰომეროსის პოემებში უხვადაა აღწერილი ტანისა და კიდურების დაზიანების მკურნალობა, შხამიანი გველების კმენის შედეგები. მკურნალობა კომპლექსური იყო: ხდებოდა სისხლისა და ჩირქის

[47] შენგელია, რ., Ibid, 71.

გამოდენა და ტკივილგამაყუჩებელი ან სისხლდენის შემაჩერებელი მცენარეული ფხვნილების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ ძვ. საბერძნეთში ინდოეთისა და ეგვიპტისაგან განსხვავებით არ ხდებოდა მიცვალებულთა გაკვეთა/ ბალზამირება (ელინისტურ პერიოდამდე), ჰომეროსის სამედიცინო ტერმინოლოგია ოდნავ თუ ჩამორჩება ჰიპოკრატეს ანატომიურ ცნებათა კორპუსს.

ჰომეროსის პოემებში ლაპარაკია შავი ჭირის ეპიდემიაზე, ოდისევსის სიგიჟეზე, ბელეროფონის მელანქოლიაზე, ორსულობის მე-7 თვეზე დაბადებულ ჩვილზე, გოგირდის, როგორც სამკურნალო საშუალების გამოყენებაზე.

პოლისური პერიოდი

ძვ.წ. VIII-VI სს. საბერძნეთის ტერიტორიაზე ყალიბდება პოლისები. ბერძნებმა პოლისები დააარსეს მცირე აზიის, ხმელთაშუა, ეგეოსისა და მოგვიანებით შავი ზღვის ნაპირებზე.

ეს პერიოდი აღინიშნება ორი მნიშვნელოვანი მოვლენით: 1. ნატურფილოსოფიის წარმოშობით ძვ.წ. VI საუკუნეში; 2. სატაძრო მედიცინის ჩამოყალიბებით.

ტაძრები შენდებოდა ფიჭვნარებში, რომელთა გამაჯანსაღებელ ჰაერს რელიგიურ რიტუალებთან ერტად მაკურნებელი ძალა ჰქონდა.

ეპიდავროსის საკურთხევლის ტერიტორიაზე იყო აბანო, ბიბლიოთეკა, სტადიონი, გიმნაზია და თეატრი. ასეთ ადგილებში გათხრების დროს აღმოაჩინეს ადამიანის სხეულის ნაწილები: მარმარილოს ხელები და ფეხები, ვერცხლის გულები, ოქროს თვალები და ყურები, რასაც შესაძლოა განკურნებული ავადმყოფები სწირავდნენ ტაძრებს. ერთადერთი რაც ტაძარში არ შეიძლებოდა ყოფილიყო იყო სიკვდილი. რელიგიური რიტუალი გამორიცხავდა წმინდა ადგილში ყოველგვარ უწმინდურობას: დაბადებასაც და სიკვდილსაც. ამიტომ მშობიარეებსა და მომაკვდავებს ტაძრებში არ უშვებდნენ. ასკლეპიოსის მსახურები იცავდნენ სისუფთავეს. ყველა, ვინც ტაძარში შედიოდა, უნდა დაებანა წმინდა წყაროში და შემდეგ კი მსხვერპლი შეეწირა ღმერთისთვის.

ეპიდავროსში არ ყოფილა სამკურნალო სკოლა. ასკლეპიონის სამსახურში იღებდნენ მხოლოდ მათ, ვინც წმინდა ფიცს დადებდა და ასკლეპიდების ძმობას შეუერთდებოდა. აქ მკურნალობა მაგიური და ემპირიული ხერხების ერთობლიობას წარმოადგენდა. ძირითადი საშუალებები იყო სამკურნალო მცენარეები, მინერალური და თერმული წყლები, ფიზიკური ვარჯიშები. აქვე არსებობდა ენკომისის რიტუალი ,

ანუ ტაძრებში მკურნალობის რიტუალის კულმინაცია. ეს რიტუალი ტარდებოდა გრძელ, გადახურულ გალერეებში, ტაძრის კედლების გასწვრივ, სადაც არავის უშვებდნენ სპეციალური ნებართვის გარეშე. აქ ავადმყოფებს ხელოვნურად აძინებდნენ (ჰიპნოზის ან ექსტაზის მდგომარეობაში), რომელსაც ნარკოტიკული და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ხერხებით აღწევდნენ. რიტუალს ტან ახლდა თეატრალური წარმოდგენები, ღმერთის ან მისი წმინდა გველის წარმოსახვა და თან ქირურგიული ოპერაციების ჩატარება. ეპიდავროსში უამრავი ქირურგიული ინსტრუმენტია ნაპოვნი.

ძვ.წ. 430 წელს შავი ჭირის ეპიდემიის შემდეგ, რელიგიისა და მაგიის მიმართ ყურადღება უფრო გაიზარდა. წმინდა ქვეწარმავალი ეპიდავროსის ტაძრიდან გადაიტანეს ათენში საზეიმოდ, აკროპოლისის ფერდობზე ჩაეყარა საფუძველი ახალ ასკლეპიონს და მისი კულტი ახალი ძალით გაბრწყინდა.

კლასიკური პერიოდის მედიცინა

ეს პერიოდი მჭიდროდ უკავშირდება პერიკლეს (ძვ.წ. 444-429) მოღვაწეობასთან. ამ დროს ათენის პოლიტიკური წყობის საფუძველი იყო მოქალაქეთა ყველა კატეგორიის სრული თანასწორობა კანონის წინაშე. მონათმფლობელურმა დემოკრატიამ ყველა თავისუფალ ადამიანს მისცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო პოლისის საქმიანობაში. გაჩნდა მოთხოვნა ფართო განათლებაზე, დაარსდა უამრავი ფილოსოფიური და პროფესიული სკოლა. აქედან გამომდინარე, პერიკლეს ეპოქა შეიქმნა კლასიკური ფილოსოფიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ხელოვნების დარგების სრული გაფურჩქვნის ეპოქა (ესქილე, ევრიპიდე, ჰეროდოტე, სოფოკლე, არისტოფანე, პლატონი, არისტოტელე, ჰიპოკრატე და მისი კრებული)[48].

ჯერ კიდევ ბერძნულ მითოლოგიაში ვპოულობთ საინტერესო თქმულებებს მედიცინასთან დაკავშირებით. თავდაპირველად ძველი ბერძნები მედიცინის დარგს ხელოვნებას უკავშირებდნენ. ამიტომაც ისინი ხელოვნების ღმერთს აპოლონს ყოვლისგანმკურნებელ ღმერთად თვლიდნენ.

მაგრამ მალე ბერძნული სამედიცინო ხელოვნების განვითარებამ მითოლოგიაშიც ცალკე გამოკვეთა სამკურნალო დარგი. მედიცინის ღმერთად გამოცხადდა ასკლეპიოსი. ჰომეროსი, ჰესიოდე და პინდაროსი ასკლეპიოსს ნამდვილად არსებულ პიროვნებად თვლიდნენ. მათი აზრით, ასკლეპიოსი შემდგომ მრავალმხრივი სამკურნალო ცოდნისათვის

[48] შენგელია, რ., Ibid, 73-76.

გაღმერთებულ იქნა.

ამ თქმულებიდან ყურადღებას იპყრობს ადგილი ქალის განკვეთისა და ნაყოფის ამოყვანისა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ უძველეს ბერძნებს უკვე ჰქონდათ იდეა საკეისრო განკვეთის შესახებ. (მსგავსი სცენაა დიონისეს დაბადების მითშიც). საბერძნეთში რამდენიმე ქალაქი იჩემებდა, რომ სწორედ აქ დაიბადა და მოღვაწეობდა ასკლეპიოსი. უმრავლესობას მის სამშობლოდ ეპიდავროსი მიაჩნია, სადაც ღმერთი-მკურნალის პატივსაცემად ყოველ მე-5 წელს იმართებოდა დიდი პან-ელინური დღესასწაული ასკლეპიეია.

ასკლეპიოსის საკულტოტაძრები შენდებოდა ლამაზ ხეივნებში, ჯანსაღ ადგილებზე, სამკურნალო წყაროების ახლოს. აქვე აწვენდნენ და მკურნალობდნენ ავადმყოფებს. იგულისხმებოდა რომ ტაძარში დაწოლილ ავადმყოფებს ძილში გამოეცხადებოდათ ასკლეპიოსი, რომელიც გაუმჟღავნებდა განკურნების საიდუმლოებას. განკურნებული ავადმყოფი წასვლისას ტაძრის კედელზე ჰკიდებდადაფას, რომელზეც აღნიშნული იყო მისი ავადმყოფობისა და წამლობის აღწერილობა. ასეთი თავისებური ავადმყოფობის ისტორიის გაცნობა დაშესწავლა ხელს უწყობდა სამედიცინო ცოდნის გამდიდრებას.

მკურნალობა, როგორც სიცოცხლის ძალთა განახლება, განსახიერებული იყო გველში. ამიტომაც ჰყავდათ ასკლეპიოსის ტაძარში გველები. თვით ასკლეპიოსს, რომელსაც ძველი ბერძნები გამოხატავდნენ მშვიდი, ღრმადმოაზროვნე ღმერთ-კაცის გამომეტყველებით, ხელთ ეპყრა კვერთხი მასზე შემოგრაგნილი გველით. ძველთაგანვე გველი სიბრძნის სიმბოლო იყო.

ასკლეპიოსის სამედიცინო ოჯახიდან მოდის მთელი წყება ექიმებისა - ასკლეპიადები. ასკლეპიოსის ცოლი - ეპიონე (დაყუჩებულ ტკივილს ნიშნავს) ასევე მკურნალია. ქალიშვილები - ჰიგიეია და პანაცეია. პირველის სახელი ნიშნავს ჯანმრთელობას , „სიჯანსაღეს , აქედანვე წარმოსდგა სიტყვა ჰიგიენა. მას ბერძნები გამოხატავდნენ აყვავებული ქალწულის სახით, რომელსაც ხელთ უპყრია ფიალა, საიდანაც სვამს გველი. ეს გამოხატულება მედიცინის ემბლემად იქცა. ასკლეპიოსის მეორე ასულიც მკურნალია, მისი სახელი „ყოვლისგანმკურნებელს ნიშნავს[49].

ჰომეროსის ილიადაში არიან მოხსენიებულნი ასკლეპიოსის ვაჟები მაქაონი და პოლიდოროსი. ტროას წინააღმდეგ ბრძოლაში იხსენებენ, როგორც სარდლებს და რაც მთავარია, სამკურნალო ხელოვნების უბადლო ოსტატებს: „ორი მოვიდა სტრატეგოსი, ასკლეპიოსის ბრძენ-ნაშიერნი, ონივ მკურნალნი უბადლონი, პოდალირიოს და მაქაონი (II, 730-732). „აქაველთა ლაშქრის ექიმები,- პოდალირიოს და უბრძენესი მაქაონი (XI, 831).

[49] სანიკიძე, ლ., Ibid, 22.

აღწერილია, თუ როგორ მოუხმო აგამემნონმა დაჭრილი ძმის მენელაოსის სამკურნალოდ მაქაონს. აგამემნონი ეუბნება ძმას: „ახლავ გასინჯავს შენს ჭრილობას სახელოვანი მკურნალი ჩვენი, დაადებს წამლებს, რომლებიც დააყუჩებენ მტანჯველ ტკივილებს . შემდეგ მიმართავს შიკრიკს: „გაეშურე ტილფიბიოს, და ჩვენთან უხმე ვაჟკაც მაქაონს, ჩვენი ლაშქრის დიდებულ მკურნალს, ასკლეპიოსის უბრძენეს ძესა . მაქაონი მოიყვანეს და შეუდგა აქიმობას. ჟერ მან მენელაოსს შემოხსნა სარტყელი, რომლის ახლოსაც დაეკოდა ისარს გმირი. „მერე ექიმმა ნახა იარა, მიყენებული მოწამლულ ისრით, ამოუწურაიქიდან სისხლი დადააყარა ხელოვანმა ზედვე წამლები (IV, 190-219)[50].

მაქაონი და პოლიდარიოსი ქირურგები არიან, ომში მიღებულ ჭრილობათა მკურნალნი. თვით სახელი მაქაონი („მახაონ) „დანით მჭრელს , ე.ი. ქირურგს ნიშნავს.

ჰომეროსის ეპოსში აღწერილია ასორმოცდაერთი ჭრილობა. მას ადამიანის სხეულის ბევრი ორგანო დაწვრილებით შეუსწავლია. საინტერესოა, რომ ილიადაში მკურნალებს ჰომეროსი ექიმებად უხმობს და არცერთხელ ასახელებს ჯადოქრებსა და ექიმბაშებს.

ძველ ბერძნულ პოლისებში სატაძრო ექიმობის პარალელურად გაჩნდა პროფესიული მედიცინა. სამედიცინო პროფესიონალიზმი გამოიხატებოდა საავადმყოფოებისა და სამედიცინო სკოლების დაარსებით, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოებრივი ორგანიზებით:

როცა ექიმი პროფესიონალი სახელს და სიმდიდრეს მოიხვეჭდა, თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს საავადმყოფოს გახსნას ახმარდა. ასეთი საავადმყოფო ორგვარი იყო. ერთი თვით ექიმის სახლში, მას ეწოდებოდა იატრეია (სიტყვისაგან იატროს - ექიმი). ხოლო მეორე ისევ მკურნალის მიერ დაარსებული საზოგადოებრივი სამკურნალოდაწესებულება - „ნოსოკომეიონ („ნოსოკომეო - ავადმყოფს ვუვლი).

საავადმყოფოებთან არსდებოდა სამედიცინო სკოლები, სადაც სასწავლო ქირით ღებულობდნენ მოსწავლეებს. აქ მასწავლებლებს „იატროლიპტები ეწოდებოდათ.

სამედიცინო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ექიმი სახალხო კრების („ეკლესიის) წინაშე სდებდა ფიცს, რომ იგი თავისი ცოდნით ერთგულად მოემსახურებოდა ხალხს.

ცალკეულ ბერძნულ პოლისში სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული იყო ექიმი მთელი ქალაქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობისათვის.

---

[50] homerosi, “iliada”, Targmani da komentarebi r. miminoSvilisa, Tbilisi, 1979.

ბერძნული მედიცინის წინსვლასა და აღმავლობას ხელი შეუწყო მატერიალისტური ფილოსოფიის წარმოშობამ, ე.წ. იონიური ნატურფილოსოფიის სახელით. იგი რევოლუციური მოვლენა იყო საერთოდ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ მან მყარი მეცნიერულ-ბუნებისმეტყველური საფუძველი დაუდო მედიცინას.

იონია საბერძნეთის მოწინავე ნაწილი იყო. იგი მოიცავდა ეგეოსის ზღვის მცირეაზიურ სანაპიროებს, სადაც ჰყვაოდნენ ქალაქები: მილეტი, ეფესო, სმირნა და სხვ.

ბერძნული ნატურფილოსიფიის ფუძემდებელი იყო თალეს მილეტელი (630-547 ძვ.წ.), მისი მიმდევრები კი ანაქსიმანდრე (610-546 ძვ. წ.), ანაქსიმენე (ძვ.წ. 585-525) და ლევკიპე (500-440 ძვ.წ.).

იონიელი ფილოსოფოსები თავისი მოძღვრებით უპირისპირდებოდნენ რელიგიას და სამყაროს რეალურ საწყისად ასაბუთებდნენ არა რაიმე ზებუნებრივ-ღვთაებრივს , არამედ წმინდა მატერიალურს, მაგ., თალესი სამყაროს პირველსაწყისად სთვლიდა წყალს. მისი აზრით, მუდმივ მოძრაობაში და გარდაქმნაში მყოფი წყლისაგან წარმოიშობიან საგნები, რომლებიც საბოლოოდ კვლავ წყლად გადაიქცევიან. ანაქსიმანდრე სამყაროს საფუძვლად აყენებდა ღაღაც განუსაზღვრელ მატერიას („აპეირონ). ანაქსიმენე ჰაერის პირველსაწყისიანობას ამტკიცებდა, ხოლო ლევკიპემ პირველმა სთქვა, რომ პირველმატერიას ატომები წარმოადგენენო.

ნატურფილოსოფოსები მატერიალურ სამყაროს წარმოიდგენდნენ მუდმივ მოძრაობაში. ფიქრობდნენ, რომ მოძრაობა მატერიის დამახასიათებელი თვისებაა და იგი ისეთივე მუდმივად არსებულია, როგორც თვით მატერია.

მატერიის მოძრაობის ფილოსოფიური მტკიცება განსაკუთრებით გააღრმავა ჰერაკლიტე ეფესელმა (ძვ.წ. 530-470). იგი ამბობდა, რომ სამყაროში ყოველი მოვლენა და საგანი განუწყვეტლივ მოძრაობს და განუწყვეტლივ იცვლება. მუდმივი მოძრაობის გამო ყველაფერი არის და არც არის , ან მზე არა მარტო ყოველ დღეს არის ახალი, არამედ იგი განუწყვეტლივ ახალია .

მატერიალისტური ნატურფილოსოფიის გვერდით საბერძნეთში არსებობდა იდეალისტურ-ფილოსოფიური მიმდინარეობაც. ამ ფილოსოფიური ბრძოლის პირობებში ჩამოყალიბდა ანტიკურ-ბერძნული სამედიცინო სკოლები: კირენაიკის (ჩრდილოეთ აფრიკაში), როდოსის, კროტონის, კნიდოსის და სიცილიის. ცალკე სამედიცინო სკოლები შექმნეს დიდმა ფილოსოფოსებმა, პითაგორამ და პლატონმა. ცალკე დგას არისტოტელეს სამედიცინო შეხედულებანი.

კირენაიკისა და როდოსის საკოლათა კონკრეტულ საქმიანობაზე

საისტორიო წყაროებს არაფერი შემოუნახავთ. მხოლოდ მათი არსებობის შესახებ შემოგვრჩა რამდენიმე ცნობა. ხოლო დანარჩენ სამედიცინო მიმდინარეობათა საქმიანობის აღმნიშვნელი მასალები თავმოყრილია ე.წ. „ჰიპპოკრატეს კრებულში , რომელშიც შედის 72 სამკურნალო ხასიათის ნაწარმოები. ამათგან ჰიპოკრატეს მიეწერება შვიდი ან რვა თხზულება. „ჰიპოკრატეს კრებულის მიხედვით ჩვენ საშუალება გვეძლევა გავეცნოთ მათ მოღვაწეობას. დავიწყოთ ყველაზე ძველით, კროტონის სკოლით[51].

სამედიცინო სკოლები

კროტონის სკოლა. იტალიის სამხრეთ სანაპიროები ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში დასახლებული იყო ბერძნული კოლონიებით. (გვ.27) კროტონული მედიცინა სწორედ ნატურფილოსოფიის მატერიალისტურ დებულებებს ემყარებოდა. მისი მამამთავარი იყო ალკმეონი, რომელიც ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა. მან ანაქსიმენეს ფილოსოფიური სწავლება ჰაერის პირველსაწყისიანობის შესახებ საფუძვლად დაუდო თავის სამედიცინო სისტემას, რომელიც მედიცინის ისტორიაში შევიდა პნევმატიკური სისტემის სახელწოდებით (სიტყვისაგან პნევმა - ჰაერის ქროლვა ან სუნთქვა). ალკმეონმა თავისი შეხედულება ჩამოაყალიბა ტრაქტატში ბუნების შესახებ . აქ საუბარია ადამიანის ბუნების შესახებ. ალკმეონი ასაბუთებს, რომ ადამიანის ბუნებაც, ისევე როგორც მთელი სამყარო, წარმოსდგება ჰაერისაგან. ჰაერი, როგორც მუდმივმოძრავი პირველმატერია , მოძრაობის დროს „გამოყოფს დაპირისპირებულ ძალებს . ამიტომ ადამიანის მთელი ორგანიზმიც შედგება ასეთი ურთიერთდაპირისპირებული ელემენტებისაგან. ანაქსიმენეს ფილოსოფიით, დაპირისპირებულობათა წარმოშობა შემდეგნაირად ხდება: ჰაერი მოძრაობისას იკუმშება, ცივდება, მკვრივდება, იქცევა თოვლად, ყინულად, ქვებად. ხოლო გათხელებისას და გაუხშობის დროს ჰაერი მშრალდება, თბება და ბოლოს ცეცხლად ინთება.

ასევე ალკმეონ კროტონელის მიხედვით, ადამიანის ორგანიზმში წარმოიშობა დაპირისპირებულობანი : ნოტიო და მშრალი, ცივი და თბილი, მწარე და ტკბილი, მყარი და თხიერი და სხვ. რასაკვირველია, ადამიანის ბუნების ასეთი ახსნა მიამიტურ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ალკმეონ კროტონელმა მედიცინის ისტორიაში ადამიანის ორგანიზმი პირველმა წარმოადგინა დაპირისპირებულ ელემენტთა მთლიანობაში.

გარდა ამისა, ალკმეონ კროტონელის სწავლებაში ძალიან საინტერესოა (გვ.28) საერთოდ ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის შეფასების საკითხი. მეექვსე-მეხუთე საუკუნეები საბერძნეთის ისტორიაში

[51] სანიკიძე, ლ., Ibid, 25-27.

ხასიათდება უმძაფრესი სოციალური ბრძოლებით და ალკმეონისც სამედიცინო საკითხებს სოციალური თვალთახედვით ხსნის. იგი სოციალურ-პოლიტიკური მრწამსით დემოკრატი იყო; აქტიურად ებრძოდა მონარქიულ და ოლიგარქიულ წყობილებათა ტენდენციებს და მოითხოვდა საზოგადოებაში დამყარებულიყო „ისოტომია , ე.ი. „თანასწორობა , „წონასწორობა . აქედან გამომდინარე ალკმეონი ამბობდა: ორგანიზმში ჯანმრთელობა მანამ იქნება შენარჩუნებული, სანამ აქ არსებობს ისონომია დაპირისპირებულ ძალთა (ნოტიო და მშრალი, ცივი და თბილი, მწარე და ტკბილი და სხვ.) შორის. ხოლო თუ ისონომია დაირღვევა, ეს გამოიწვევს ავადმყოფობას.

აქედან გამომდინარეობდა კრიტონელ პნევმატიკოსთა თერაპიული აქსიომა: თუ ერთი რომელიმე დაპირისპირებულობა თავისი გაბატონებით დაარღვევს ისონომია-წონასწორობას, იგი უნდა აღიკვეთოს დაპირისპირებულობის დაპირისპირებით. მაშასადამე, „დაპირისპირებულობა დაპირისპირებულობით განიკურნება . („Contraria contrariis curantur”).

ალკმეონის სამედიცინო ტრაქტატმა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია, მაგრამ მასში აღნიშნულის გარდა, კარგად ჩანს ტვინის, როგორც ცოდნისა და აზროვნების ორგანოს შეფასება.

ალკმეონი მთელს საბერძნეთში პირველ ქირურგად ითვლებოდა. მის შესახებ წერდნენ: „კაცი დახელოვნებული ბუნებისმეტყველებაში, ვინც პირველად გაბედა ადამიანის განკვეთა, იყო ალკმეონი .

ალკმეონი წარმატებით იკვლევდა სმენით ორგანოებს. მან პირველმა მიაგნო დღეისათვის ცნობილ ევსტაქის მილს. მანვე აღმოაჩინა ორი ნათელმოსილი ბილიკი , რომლებიც ტვინიდან გამოედინებიან, ჯვარედინს ქმნიან და თვალის ბუდეებს უერთდებიან. მაშასადამე, ალკმეონის სახელთანაა დაკავშირებული მხედველობითი ნერვებისა და მათი ჯვარედინის აღმოჩენა.

საბოლოოდ, თავის ტვინისა და სხვა მეზობელ ორგანოთა შესწავლის საფუძველზე, ალკმეონს ასეთი დასკვნა გამოჰყავდა: თავის ტვინის მეშვეობით ადამიანი ღებულობს სმენის, მხედველობისა და ყნოსვის შეგრძნებებს; ამ შეგრძნებათაგან აღმოცენდება მეხსიერება და ცნებითი წარმოდგენები, ხოლო ამ უკანასკნელთაგან წარმოიშობა ცოდნა.

ალკმეონი ამტკიცებდა, რომ თავის ტვინი არა მარტო ცოდნის წყაროა, არამედ მასთან დაკავშირებულია ბევრი დაავადების წარმოშობაც. ეს პროცესებიც წარმოდგენილია იმ დროისათვის დამახასიათებელი მიამიტურობით: თავის ტვინი თავისებური ჯირკვალია, რომლისგანაც გამოიყოფა ლორწო; რაღაც მიზეზებით ეს ლორწო ხანდახან დიდი რაოდენობით გროვდება და გამაღიზიანებელ თვისებას ღებულობს, თუ ასეთ დროს იგი ჩაედინება ცხვირში, გამოიწვევს სურდოს, თუ კუჭში - ანთებას, ხოლო თუ იგი მოხვდება ნაწლავებში, გამოიწვევს ფაღარათს, ე.ი. ეს არის დაავადების ჰუმორალური (Humor - სინოტივე)

წარმოშობის პრიმიტიული ახსნა.

კროტონული მედიცინის წარმომადგენელი იყო ასევე დიოგენე აპოლონიკელი (ძვ.წ. მე-5 ს.), რომელიც ცდებსა და დაკვირვებებს ახდენდა ცხოველთა შინაგან აგებულებაზე. ამ ცდების პროცესში მას შეექმნა აზრი, რომ სისხლი მოძრაობს მხოლოდ ვენებსა და გულის მარჯვენა მხარეში, ხოლო არტერიები და გულის მარცხენა მხარე ცარიელია. აქედან გამომდინარე მისი აზრით, მარჯვენა გული სისხლს „მიერეკება , ხოლო მარცხენა შეიწოვს ჰაერს.

კნიდოსის სკოლა. ანტიკური საბერძნეთის მედიცინაში დიდი ადგილი უჭირავს კნიდოსის სკოლას. მისი სახელი უკავშირდება მცირეაზიული იონიის ქალაქ კნიდოსს. კნიდოსური მედიცინის მამამთავრად ითვლება ევრიფონი, რომლის მოღვაწეობის შესახებ არაფერი ვიცით. ცნობილია მხოლოდ სახელი და რა დროს ცხოვრობდა (ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისი).

ჰიპოკრატეს კრებულში შეტანილია ტრაქტატი უძველესი მედიცინის შესახებ (პერი არხაიეს იეტრიკეს), რომელიც უცნობ კნიდოსელ ავტორს მიეწერება. იგი გვამცნობს, რომ კნიდოსელმა ექიმებმა კროტონული სკოლისაგან აიღეს პნევმატიკური თეორია, თუმცა არაფერს ამბობენ ჰაერზე, როგორც პირველ მატერიაზე. ადამიანის ბუნების შესწავლის საკითხებში ისინი ძირითადად ალკმეონის აზრს იზიარებენ. კნიდოსელებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანი დაპირისპირებულობათა ერთიანობას წარმოადგენს. მასში ამოსავალ წერტილს ქმნის თბილისა და ცივის დაპირისპირება, რის საფუძველზეც ვითარდებიან დანარცენი საპირისპირო ელემენტები. კნიდოსელი ექიმი წერს: როცა ორგანიზმში ყველა დაპირისპირებულობა ერთმანეთთან ზომიერია, თავს არ იწყენენ და ადამიანს არ აწუხებენ. მაგრამ როცა რომელიმე მათგანი თავს გამოიჩენს, იგი ადამიანს აწუხებს ტკივილის სიმძიმით . ამ შემთხვევაში კროტონელთა და კნიდოსელთა განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისონომიის ნაცვლად კნიდოსელები იყენებენ ტერმინ კრასისს (თანაბარზომიერი შეერთება), ხოლო „მონარქიის მაგივრად - „დისკრასისს (შეთანხმება-შეერთების დარღვევა). აქედან გამომდინარე კნიდოსელი ექიმები ეთანხმებიან ალკმეონის თერაპიულ პრინციპს: „დაპირისპირებულობა დაპირისპირებულობით განიკურნება . („Contraria contrariis curantur”).

კნიდოსელთა სკოლაში წარმოიშვა ცნობილი ჰუმორალური თეორია. ის დაახლოებით ასე წარმოგვიდგება: ადამიანის ორგანიზმში დაპირისპირებული ელემენტები წარმოდგენილი არიან სისველის , „სინოტივის სახით. სანამ ეს სისველენი ერთმანეთთან ურთიერთზომიერ შეერთებაში, ანუ კრასისში იმყოფებიან, ორგანიზმიც ჯანმრთელია. მაგრამ როცა ერთ-ერთი სისველე უფრო მწვავე ხდება,

მოხდება დისკრასისი , ე.ი. შეთანხმება-შეერთების დარღვევა.

ტრაქტატი უძველესი მედიცინის შესახებ პოლემიკური ხასიათისაა. იგი იცავს მედიცინას, როგორც ხელოვნებას. ტრაქტატის ავტორი ეპაექრება ემპედოკლეს, ცნობილ ფილოსოფოსსა და ექიმს. კერძოდ ებრძვის მის ერთ დებულებას, რომელიც ამბობს: „სამედიცინო ხელოვნების ცოდნა არ შეუძლია იმას, ვინც არ იცის რა არის ადამიანი, როგორ გაჩნდა იგი თავდაპირველად და რისგან შედგება . ტრაქტატის ავტორი კი ამტკიცებს, რომ სამკურნალო ხელოვნება თავისუფალია ბუნების ფილოსოფიური შემეცნებისაგან, ასევე მისტიკურ-რელიგიური ახსნისაგან. მას სურს, რომ ექიმი იყოს არა ფილოსოფოსი ან ქურუმი, არამედ თავმდაბალი და თავდადებული მაძიებელი ადამიანის სიკვდილისაგან გადარჩენისა. ამასთან დაკავშირებით ავტორი ასე მსჯელობს: სულ პირველად ადამიანები, როგორც მხეცები, ჭამდნენ უმ ხორცს, რაც იწვევდა მათში დიდ სიკვდილიანობას. დროთა განმავლობაში კი მიაგნეს ადამიანურ საჭმელს: ისწავლეს ხორბლის მოყვანა, გასუფთავება, დაფქვა, ცომის მოზელვა და პურის გამოცხობა. ისინი აცხობენ, გარშავენ. სამზარეულოს მრავალფეროვან წინსვლა-განვითარებასთან იყო დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობა. სწორედ ამას უნდა ემყარებოდეს ექიმი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგას.

კნიდოსური სკოლა ხასიათდება იმ დროის კვალობაზე ბრწყინვალე მიღწევებით პრაქტიკულ მედიცინაში. ამაზე მეტყველებს ტრაქტატი - „შინაგან სნეულებათა შესახებ (პერი ტონ ენტოს პათონ - de affectionibus internis).

ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, როგორ სიმაღლეზე მდგარა იონიელ ექიმთა მომზადება დაავადებათა ეტიოლოგიის, კლინიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ ნაწარმოებში აღწერილ რამდენიმე შემთხვევას:

„ოთხი ავადმყოფობა წარმოსდგება თირკმლებიდან. აი, სიმპტომები პირველისა: მწვავე ტკივილი წელში, საზარდულში... ხშირი შარდვა, შარდი წყდება და მასთან ერთად გამოდის სილა. როცა ეს სილა გადის შარდსაწვეთში, იწვევს ძლიერ ტკივილს. ხოლო, როცა ავადმყოფი შარდტან ერთად სილასაც მოიშორებს, წყდება ტკივილი . ეს იმას ნიშნავს, რომ თირკმელში არის ქვა . სამკურნალოდ საჭიროა ცხელორთქლიანი აბაზანები, სასაქმებელი და ცხელი საფენები. ხოლო თუ წარმოიშობა სიმსივნე და ამობურცულობა, შენ (ექიმო) აკეთებ ჭრილს თირკმლის მიმართულებით, ამოიღებ ჩირქს და სილას, გაწმენდ შარდსადენ გზებს წამლებით. მაშასადამე, თუ ჭრილი გაკეთდა, ავადმყოფის გადარჩენის იმედი არის, ხოლო თუ არა, ავადმყოფობა ბოლოს და ბოლოს იწვევს სიკვდილს . „თირკმლის მეორე სნეულება. ტკივილები უფრო ძლიერია, ვიდრე წინა ავადმყოფობისას. ეს წარმოსდგება გადამეტებული

შრომისაგან, როცა თირკმლისაკენ მიმავალი პატარა ვენები სკდება და თირკმელები ივსება სისხლით. ავადმყოფი შარდთან ერტად გამოყოფს სისხლს, შემდეგ კი ჩირქს. თუ ავადმყოფი სიმშვიდეს დაიცავს, იგი მალე გამოჯანმრთელდება, მაგრამ თუ არ მოისვენებს, ტკივილები გამწვავდება ...". „თირკმლის მესამე სნეულება. შარდი გამოიყოფა მოხრაკული ძროხის ხორცის წვენის მსგავსი. ავადმყოფობა წარმოსდგება შავი ნაღვლისაგან, როცა ნაღველი შეერევა თირკმლისაკენ მიმდინარე ვენებს . სამკურნალოდ აუცილებელია ცხელი აბაზანები, კუჭის გაწმენდა. ასევე ღვინით, რძიტა და წაქით მკურნალობა: ავადმყოფი უნდა სვამდეს ტკბილ თეთრ ღვინოს... წაქს და რძეს, წაქს სასაქმებლად. რძე მან 45 დღის განმავლობაში უნდა სვას . აქვეა აღწერილი მეოთხე სნეულებაც.

კნიდოსურ სამედიცინო სკოლას უკავშირებენ საინტერესო ტრაქტატს გულის შესახებ (პერო კარდიეს - de corde), რომლის ავტორად მიჩნეულია სიცილიელი ფილისტიონი.

ეტყობა, რომ ფილისტიონს შეძლებისდაგვარად გამოუყენებია ძველი სამედიცინო მიღწევები გულის შესწავლის საკითხებში (მაგ., ძველი ეგვიპტელებისა). იგი სკალპელით ჰკვეთდა მიცვალებულს და აკვირდებოდა გულის ანატომიას. იგი ამბობს, რომ გული არის ძალიან ძლიერი ორგანო არა ძარღვებისაგან, არამედ კუნთის სქელი ხვეულისაგან . მან იცის, რომ გულს აქვს ორი ყური და ორი პარკუჭი. იგი არცევს მარჯვენა და მარცხენა წინაგულებს, რომელთა შორის არავიტარი პირდაპირი კავშირი არ არსებობს. ის წერს, რომ ორივე პარკუჭი წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის წყაროს, იქიდან გამომდინარეობს ორივე ნაკადი, რომლებიც რწყავენ მთელს შინაგან სხეულს: მათგან განიბანება სულის სამკვიდრებელი. როცა ეს მაცოცხლებელი წყაროები დაიშრიტება, ადამიანი კვდება .

კოსური სკოლა. ეგეოსის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა კუნძული და ქალაქი კოსი, სადაც შეიქმნა კოსური სკოლა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კოსურმა სკოლამ შექმნა მედიცინა, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერება.

კოსური სკოლისა და საერთოდ ანტიკური მედიცინის აყვავების ხანა დაკავშირებულია სახელოვან ჰიპოკრატეს სახელთან, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც Pater Medicinas" - მედიცინის მამა.[52]

2. დიდი ჰიპოკრატე

[52] სანიკიძე, ლ., Ibid, 28-35,

ბიოგრაფიული ცნობები. ჰიპოკრატე დაიბადა ქალაქ კოსში ძვ. წ. 460 წელს, იმავე წელს დაიბადა კიდევ ორი სახელოვანი ბერძენი - ფილოსოფოსი დემოკრიტე და ისტორიკოსი თუკიდიდე. ჰიპოკრატე ეკუთვნოდა სახელოვან სამედიცინო საგვარეულოს, ასკლეპიადების გვარს. ასკლეპიადების სამედიცინო ხელოვნება თაობიდან ტაობას, მამიდან შვილს ან მასწავლებლიდან მოსწავლეს გადაეცემოდა. ჰიპოკრატეს მამა ჰერაკლიდე ექიმი იყო, დედა ფენეარეტა - მეანი.

მშობლების სიკვდილის შემდეგ ჰიპოკრატე ათენში გადავიდა. ათენის ისტორიაში ეს პერიოდი ცნობილია პერიკლეს ეპოქად (ძვ.წ. 443-429 წწ.), როცა კლასიკური საბერძნეთის კულტურამ კულმინაციას მიაღწია. აქ ჰიპოკტარეს შეეძლო ეცხოვრა იმ წრეში, რომელშიც ტრიალებდაჰეროდოტე და თუკიდიდე, სოფოკლე, ევრიპიდე, არისტოფანე, პინდაროსი, მოქანდაკენი ფიდია და მირონი, ხუროთმოძღვარნი ოლიკლეტე და იქტინოსი, ფილოსოფოსები ანაქსაგორა, სოკრატე, ახალგაზრდა პლატონი.

ჰიპოკრატე ათენიდან ხშირად მოგზაურობდა საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში. იგი ეწეოდა ისეთივე ცხოვრებას, როგორც სხვა მოხეტიალე ბერძენი ექიმები. მოხეტიალე ექიმებს პერიოდევტებს უწოდებდნენ. არის ცნობები, რომ ჰიპოკრატემ შემოიარა მტელი საბერძნეთი, ეგვიპტე, ლიბია, მცირე აზია და შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები. ბოლოს იგი ცხოვრობდა თესალიის ქალაქ ლარისაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც ღრმად მოხუცებული (90 წლისა).

ჰიპოკრატემ თავის სიცოცხლეშივე მოიხვეჭა დიდი სახელი. მასზე შეითხზა ლეგენდები და თქმულებები. პლატონი მის დამსახურებას ადარებს პოლიკლეტესა და ფიდიასის დიდებას.

ჰიპოკრატემ სახელი მოიხვეჭა აგრეთვე როგორც დიდმა პატრიოტმა. პლუტარქეს ცნობით, სპარსეთის მეფემ მას დიდძალი ოქრო-ვერცხლი შესთავაზა და თავის სასახლეში მიიწვია ექიმად. ამაზე ჰიპოკრატემ უპასუხა, რომ იგი უცხოელებსა და ბერძნების მტრებზე არ იყიდება.

ჰიპოკრატეს თხზულებებში. „ჰიპიკრატეს კრებულიდან თვით ჰიპოკრატეს მიეკუთვნება სამედიცინო ტრაქტატები: „ქართა შესახებ , „ჰაერთა, წყალთა და ადგილმდებარეობათა შესახებ , „პროგნოსტიკა , „ეპიდემიები , „დიეტის შესახებ მწვავე დაავადებათა დროს , „აფორიზმები , „სახსართა შესახებ და მოტეხილობათა შესახებ .

ამ წმინდა სამედიცინო ხასიათის შრომებს ერთვის ეთიკურ-ზნეობრივი ხასიათის ნაწარმოებები: „ფიცი , „კანონი , „ექიმის შესახებ , „წესიერი მოქცევის შესახებ და დარიგებანი .

მის თხზულებებში პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ავტორის დაუოკებელი წყურვილი ცოდნისადმი. მისი ეპიდემიები უეჭველად ავადმყოფის სასთუმალთანაა დაწერილი. ავტორი წერს: „სხეულის გასინჯვა - ეს უზარმაზარი საქმეა: იგი მოითხოვს ცოდნას, სმენას, ყნოსვას, შეგრძნებას, ენას და განსჯას . ასევე ვკითხულობთ: „რაც შეეხება ავადმყოფობათა დროს ყველა იმ მდგომარეობას, რომელთა საფუძველზეც უნდა დაისვას დიაგნოზი, მათ ჩვენ შევიტყობთ ყველა ადამიანის საერთო ბუნებიდან და ყოველი ადამიანის საკუთარი ბუნებიდან, ავადმყოფობიდან და ავადმყოფიდან, იქიდანაც რა წამალი ენიშნება და იმისგან, ვინც უნიშნავს, რადგან ამ უკანასკნელთაგან ავადმყოფნი ან უკეთ, ან უფრო ცუდად გრძნობენ თავს; ამას გარდა - ციურ მოვლენათა და ცალკეული ქვეყნის საერთო და კერძო მდგომარეობიდან, ჩვეულებიდან, კვების სახეობიდან, ყოველი ავადმყოფის ასაკიდან, მისი მეტყველებიდან, ზნე-ჩვევიდან, მდუმარებიდან, აზრებიდან, ძილიდან, უძილობიდან, სიზმრებიდან, როგორია ისინი და როდის წარმოიშობიან, კრუნჩხვებიდან, ქავილიდან, ცრემლებიდან, პაროქსიზმებიდან, ამონათხევებიდან, სარდიდან, ნახველიდან, ნერწყვიდან. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს ცვლილებებს ავადმყოფობის მსვლელობაში, საიდან წარმოიშობა და საით მიემართებიან ისინი... ყველა ამ ნიშნისაგან უნდა წარმოებდეს ავადმყოფის გამოკვლევა .

ასე რომ ჰიპოკრატეს მედიცინა ფსიქოსომატური მედიცინაა. უბრალოდ რომ ვთქვათ, იგი არის მთლიანი ადამიანის, ერთიანად მისი სხეულისა და სულის მედიცინა.

ჰიპოკტარეს თხზულებებიდან უბრწყინვალესად ითვლება მისი „აფორიზმები . იგი იწყება მეტად პოპულარული აფორიზმით: „სიცოცხლე ხანმოკლეა, ხელოვნება ხანგრძლივია, მოხერხებული შემთხვევა წამიერია, ცდა მაცდუნებელია, განსჯა ძნელია .

ჰიპოკრატესეულ კვლევაში შერწყმულია სწრაფი მოსაზრებულობა და ავადმყოფობის ზუსტი განსაზღვრა. ეს კი აუცილებელია ექიმისათვის, რადგან ჰიპოკრატეს განმარტებით, შემთხვევა, რომელსაც შეუძლია ავადმყოფი იხსნას, „წამიერია .

ჰიპოკრატეს თვალისა და გონების სისწრაფეზე მეტყველებს მის „პროგნოსტიკაში (პროგნოსტიკონ - Prognosticum) აღწერილი სახელგანთქმული Facies Hyppocratica” – „ჰიპოკრატული სახე მომაკვდავისა:

„მწვავე დაავადებათა დროს საჭიროა თვალყურის დევნება შემდეგნაირად. უპირველეს ყოვლისა - ავადმყოფის სახე: ჰგავს თუ არა იგი ჯანმრთელ ადამიანთა სახეს ან განსაკუთრებით თავის თავს, რადგან ეს უკანასკნელი ყველაზე უკეთესად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ის, რაც ყველაზე მეტად მას (მის მსგავსებას) შორდება, ჩაითვლება ყველაზე

სახიფათოდ. ამ შემთხვევაში ავადმყოფის სახე ასეთი იქნება: ცხვირი წაწვეტილი, თვალები ჩაცვენილი, საფეთქლები ცაზნექილი, ყურები ცივი და დაჭიმული, ყურის ბიბილოები შებრუნებული, შუბლის კანი მაგარი... სახის ფერი მწვანე, შავი ან მკრტალი, ან ტყვიისფერი. ამიტომ თუ ავადმყოფობის დასაწყისში ასეთი სახე იქნება,... მაშინ უნდა ჰკითხო, ხომ არ ჰქონდა უძილობა ან კუჭის ძლიერი აშლილობა, ან ხომ არ განიცდიდა საკვების ძლიერ ნაკლებობას. და თუ იგი ამათგან რომელიმეს დაადასტურებს, მაშინ შეიძლება მისი მდგომარეობა ნაკლებ სახიფათოდ ჩაითვალოს: ავადმყოფობა გაივლის ერთი დღე-ღამის განმავლობაში... ხოლო თუ იგი იტყვის, რომ ადრე არავითარი ასეთი რამ არ ჰქონია, და თუ იგი თავისი წინანდელი სახის მდგომარეობას ვერ დაუბრუნდება აღნიშნულ დროში, მაშინ უნდა იცოდე, რომ ეს ნიშანი მომაკვდავისაა. თუ თვალებს სინათლის ეშინიათ და უნებლიედ ცრემლით ივსებიან...ან თუ გამუდმებით მოძრაობენ, ან ძლიერ მოცვივიან წინ, ან პირიქით ძლიერ ჩაცვივდნენ, ან მათი გუგა სემღვრეულია და ელვარებადაკარგული, ან თუ მთელი სახის ფერი შეიცვალა - მაშინ ყველა ეს ნიშანი უნდა ჩაითვალოს ავისმაუწყებლად და დამღუპველად.

ასევე ბევრი საინტერესო პროგნოსტიკული შენიშვნაა მოცემული „აფორიზმებში :

„უმიზეზო დაღლილობა ავადმყოფობას მოასწავლებს .

„ცუდი ნიშანია, როცა ავადმყოფობის შემდეგ არგი კვებისას სხეული არ მთელდება .

„ყოველი ავადმყოფობისას სულიერი მხნეობისა და მადის შენარჩუნება კარგი ნიშანია, საწინააღმდეგო - ცუდი .

„უეცარი სიკვდილით უფრო ხშირად იღუპებიან ბუნებით მსუქანნი, ვიდრე გამხდარნი .

„თუ ფეხმძიმე ქალს მკერდი ჩაუვარდება, მას მუცელი მოსწყდება .

ჰიპოკრატე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გარემოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ საკითხს მიუძღვნა მან ტრაქტატი - „ჰაერთა, წყალთა და ადგილმდებარეობათა შესახებ (პერი აერონ, ჰიდატონ, ტოპონ). ავტორი იკვლევს იმ დროს ცნობილ ხალხთა საცხოვრებელ გარემოს, ცხოვრების პირობებსა და წესებს.

ექიმმა უნდა იცოდეს ყოველი ადამიანის ცხოვრების წესი. უყვარს თუ არა პაციენტს მაგარი სასმელები ან ქალტა სქესი, თუ ორივე ამას ამჯობინებს ფიზიკურ კულტურასა და შრომას. ჰიპოკრატე საოცარი სიზუსტით აღწერს ყველა ქვეყნის ბუნებრივ და სოციალურ გარემოს. იგი აკვირდება კლიმატს და მისი შესწავლით გამოჰყავს დასკვნები ადგილობრივ დაავადებათა წარმოშობის მიზეზთა შესახებ.

ის დიდ ყურადღებას აქცევს წელიწადის დროს; იკვლევს მათ ცვლილებებსა (განსაკუთრებით ბუნიობასა და ნაბუნიობას) და გავლენას სხვადასხვა სნეულების გენეზისზე. ტრაქტატი სწორედ ამ სიტყვებით იწყება:

„ვინც მოისურვებს სწორად შეისწავლოს სამედიცინო ხელოვნება, მან უნდა გააკეთოს შემდეგი: უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღოს წლის დროები - რომელ მათგანს რა ძალა აქვს... შემდეგ ქარები როგორც თბილი, ასევე ცივი .

ჰიპოკრატე სწავლობს წყლებს, მათ თვისებებს და მნიშვნელობას:

„ზუსტად უნდა გავიანგარიშოთ წყლების ხარისხი, რადგან ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გარემოთი და წონით, ასევე თავისი ძალმოქმედებით... ამიტომაც ვინც კი მივა მისთვის უცნობ ქალაქში... დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორ არის ქალაქში წყლის საქმე, რომელი წყლით სარგებლობენ მცხოვრებლები, ჭაობის და რბილი წყლებით, თუ მაღლობიდან და კლდეებიდან გამომდინარე ხისტი წყლებით, თუ მლაშე და ხარშვისთვის უვარგისი წყლებით .

ერთი სიტყვით, სოციალურ გარემოსთან ერთად ბუნებრივი პირობები, კლიმატი განსაზღვრავს ამა თუ იმ ავადმყოფობის წარმოშობას და ხასიათს.

ამავე ნაწარმოებში ჰიპოკრატემ ჩამოაყალიბა საქვეყნოდ ცნობილი ადამიანთა ოთხი ტიპი. ადამიანთა ტიპების განსაზღვრისას ჰიპოკრატე ეყრდნობა დემოკრიტეს ნატურფილოსოფიას, რომლის მიხედვით სამყაროში არსებულ ყოველ საგანს და მოვლენას საფუძვლად უდევს მუდმივ მოძრავი ატომები. ადამიანიც ატომთა შეერთებას წარმოადგენს. ადამიანის ბუნების განსაზღვრისას დემოკრიტე აყენებს ორ დებულებას: ერთი ის, რომ ადამიანი წარმოიქმნება ფიზიკური გარემოსაგან, ბუნებისაგან და მეორეც ის, რომ ადამიანს როგორც ბუნების შვილს, ითვისებს და ტავისი კანონებით გარდაქმნის სოციალური აგრემო.

ახლა ვნახოთ, როგორ იყენებს ჰიპოკრატე ჯერ დემოკრიტეს პირველ დებულებას - რომ ადამიანის ბუნების შემოქმედი არის ფიზიკური გარემო.

ბუნება მეტისმეტად მრავალფეროვანია. ამიტომ მრავალნაირი არიან ადამიანებიც თავისი ფიზიკური აღნაგობითა და სულიერი ხასიათით - ტემპერამენტით. ტემპერამენტის განსაზღვრისას ჰიპოკრატე საფუძლად იღებს, ჯერ ერთი, ქვეყნის მხარეს - ერთიმეორის მოპირდაპირე აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსადა სამხრეთს და მეორე, ასევე საპირისპირო ბუნებრივ მოვლენებს - მშრალსა და სველს, თბილსა და ცივს. ე.ი. ჰიპოკრატე ადამიანთა ტიპების

განსაზღვრისას ემყარება ისეთსავე დაპირისპირებულობათა ერთობლიობის პრინციპს, როგორც მთელი ნატურფილოსოფიური სისტემა.

ტემპერამენტის მიხედვით ჰიპოკრატე არჩევს ადამიანთა ოთხ ტიპს: პირველ ტიპს წარმოადგენს სანგვინიკი. სანგვინიკები იბადებიან აღმოსავლეთში, აზიაში, სადაც არის კლიმატი ჯანსაღი და მარგებელი, ბუნება აყვავებული, ქარი თბილი, წყალი დენადი, გემრიელი და მარგებელი, ე.ი. ბუნებას აქ ყველაფერი ადამიანთა სიჯანსაღისთვის შეუქმნია. ამიტომაც აქაური ადამიანები, სანგვინიკები, ყველა ერთთავად არიან ტანად ახოვანნი და პირად მშვენიერნი, მოქცევით თავაზიანნი, ალერსიანნი და უაღრესად ხალისიანნი. მაგრამ ამავე დროს ისინი მოკლებულნი არიან მამაცობას, ვაჟკაცობას, ამტანიანობას, შრომის სიყვარულს და მიესწრაფვიან მხოლოდ სიამტკბილური ცხოვრებისაკენ.

სანგვინიკების პირისპირ დგანან მელანქოლიკები. ისინი არიან დასავლეთის მცხოვრებნი და როგორც სახელწოდება (მელანქოლია - შავნაღვლიანობა) გვიჩვენებს, არიან ნაღვლიანნი, სევდიანნი და მწუხარენი. მათი ქვეყნებიც თავისი ბუნებითა და კლიმატით ჰგავს მუდმივ შემოდგომას და ამიტომ მცხოვრებნიც არიან შემოდგომისებრ პირნაღვლიანნი.

ადამიანთა მესამე ტიპს მიეკუთვნებიან ქოლერიკები, ჩრდილოეთის მცხოვრებნი. მათი კლიმატი არის ცივი და მშრალი, ადგილმდებარეობანი მთიანი, ველური, ცივი და მშრალი ქარებით და კარგი წყლებით. საერთოდ ბუნება და კლიმატი აქ არანაკლებ სარგებლიანია აღმოსავლეთის ბუნებრივ გარემოზე. ასევე აქაც უმეტეს წილად, ადამიანთა ფორმები და ზნეობანი გამოხატავენ ქვეყნის ბუნებას . სახელდობრ, ქოლერიკები არიან ხორცით ძლიერნი, ხმელხმელნი, ბანჯგვლიანნი, კარგად გამონაკვთული ტანით, ენერგიულნი და მხნენი. ქცევით ამაყნი, ქედმაღალნი, გულცივნი. აგრესიულნი, მეომრული სულით. ამავე დროს ქოლერიკნი არიან ნიჭიერნი და მოყვარულნი ხელოვენბისა.

„ჩრდილოელი ქოლერიკების პირისპირ წარმოდგენილნი არიან „სამხრეთელი ფლეგმატიკები. სამხრეთის მხარე ხასიათდება მსუბუქი, მაგრამ ნესტიანი კლიმატით, თბილი ქარებით, სწორი, ორთქლიანი და ნოტიო ადგილმდებარეობით, დამდგარი და დამყაყებული წყლებით. აქ „ავადმყოფური ბუნებრივი პირობები იწვევენ ადამიანში ზედმეტი ლორწოს („ფლეგმა) დაგროვებას. ამიტომაც ფლეგმატიკები არიან სუსტი ადამიანები, მათი ორგანიზმი არის ნესტიანი და ფხვიერი, ტემპერამენტით მოდუნებული და მძინარენი , „გონებამახვილობასა და სინატიფეს მოკლებულნი, შრომაში და ხელოვნებაში მოუქნელნი და „უმეტეს წილად სულით სუსტნი .

აი, ასეთად წარმოგვიდგინა ჰიპოკრატემ ადამიანთა ტიპები,

რომლებიც ასე გააკეთა ბუნებამ , ე.ი. მან დემოკრიტეს პირველი დებულებიდან გამოიტანა დასკვნა: როგორიცაა ადამიანის გარემომცველი ბუნება, ისეთივეა თვით ადამიანი.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყენა დემოკრიტეს მე-2 დებულება იმის შესახებ, რომ სამყაროში მოვლინებულ მზა ადამიანს როგორ გარდაქმნის საზოგადოება, ე.ი. როგორია ადამიანი სოციალურ გარემოში.

ადამიანზე მოქმედ სოციალრ ფაქტორთა ქვეშ ჰიპოკრატე გულისმობს ცხოვრების წესებს, ზნე-ჩვეულებებს და პოლიტიკურ წყობას.

ჰიპოკრატე ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთის ხალხების, ე.ი. სანგვინიკების ნაკლებ ვაჟკაცური ტემპერამენტი წარმოიშვა არა მარტო გეოგრაფიული გარემოს მეოხებით, არამედ კანონთა მიზეზითაც . ჰიპოკრატე წერს:

„აზიის უდიდეს ნაწილზე მბრძანებლობს მეფეთა ხელისუფლება. ხოლო იქ, სადაც ადამიანები თვით ვერ განაგებენ თავიანთ თავს, მოკლებულნი არიან ავტონომიას და ემორჩილებიან ვინმე მბრძანებელს, მათსაზრუნავი აქვთარა იმაზე, რომ საომარ საქმეებში გაიწვრთნან, არამედ ზრუნავენ, რომ თავი აჩვენონ ბრძოლისუნარმოკლებულად... ქვეშევრდომნი ხომ ვალდებულნი არიან მხოლოდ თავიანთ ბრძანებელთათვის წავიდნენ ომში ... როგორი კარგი და მამაცურიც არ უნდა იყოს მათი საქმენი, მათგან აღზევდებიან და გაძლიერდებიან მხოლოდ მბრძანებელნი, ხოლო თვით ისინი (ქვეშევრდომნი), ხიფათისა და სიკვდილის გარდა, ვერაფერს მოიხვეჭენ...“.

ერთი სიტყვით, დესპოტია და მონობა აბეჩავებს და ალაჩრებს ადამიანის სულს, ხოლო თავისუფლება და თანასწორობა ადამიანში ამკვიდრებს შრომისმოყვარეობას, სიმამაცეს და პატრიოტიზმს.

ჰიპოკრატეს თერაპიული მიმართულება ყოველმხრივ ითვალისწინებს ადამიანის ბუნებას და იმ გარემოს, რომელშიც მას უხდება ცხოვრება.

თერაპიულ დებულებათაგან ფართოდ იყენებს Contraria contrariis curantur”, მაგრამ იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ პრინციპს, რომელიც დღესაც პოპულარობით სარგებლობს მედიცინაში. ესაა სამედიცინო სენტენცია: „სარგებლობა მოუტანე ანდა არ ავნო . ასევე ჰიპოკრატეს მიეწერებოდა ცნობილი გამოთქმა: natura sanat, medicus curat” (ბუნება კურნავს, ექიმი ზრუნავს), მაგრამ რომაელმა გალენუსმა დაამტკიცა, რომ სენტენციის ავტორია მისი ვაჟი თესალოსი.

ჰიპოკრატეს არასოდეს ავიწყდება, რომ ექიმისთვის საკმარისი არ არის სამკურნალო ხელოვენბის ცოდნა. იგი ასევე უნდა იყოს მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე. ყოველივე ეს განსაკუთრებით კარგად

ჩანს ჰიპოკრატეს ეთიკური ხასიათის თხზულებებში. ავიღოთ „ფიცი (ჰორკოს - iusiurandum). ფიქრობენ, რომ ეს ნაწარმოები არა მხოლოდ ჰიპოკრატეს, არამედ მის წინაპრებს - ასკლეპიადებს და შემდეგდროინდელ ჰიპოკრატიდებს მიეკუთვნებაო. აი, ტექსტი, რომლითაც ახალბედა ექიმი ფიცს დებდა და იწწყებდა სამედიცინო ოღვაწებას:

„ვფიცავ აქიმ აპოლონს, ასკლეპიოსს, ჰიგიეიას, პანაცეიას და ყველა ღმერთებს და ქალღმერთებს, ვიმოწმებ ყველას, რომ შევასრულო პატიოსნად, ჩემი ძალისა და შეგნების შესაბამისად, შემდეგი ფიცი და წერილობითი ვალდებულება: ჩემს მიერ შესწავლილი სამედიცინო ხელოვნება ჩემი მშობლების სწორად ჩავთვალო, ჩემი ქონებრივი შესაძლებლობანი გავუყო მას და საჭიროების შემთხვევაში დავეხმარო გასაჭირში; მისი შთამომავლობა ჩავთვალო ჩემს ძმებად და თუ ისინი მოისურვებენ ამ ხელოვნების შესწავლას, გადავცე მათ ყოველგვარი სასყიდლისა და ხელშეკრულების გარეშე.

დარიგებანი, ზეპირი გაკვეთილები და ყველა სხვა სახის სწავლებანი გადავცე ჩემს შვილებს, ჩემი მასწავლებლის შვილებს და მოწაფეებს, რომლებიც შეკრულნი არიან ვალდებულებით და ფიცით სამედიცინო წესის მიხედვით, მაგრამ არ გადავსცე სხვას არავის.

მე წარვმართავ ავადმყოფთა რეჟიმს მათი სარგებლობისა და ჩემი ძალისა და შეგნების შესაბამისად, ისე რომ თავი დავიჭირო ყოველგვარი ვნებისა და უსამართლობის მიყენებისაგან.

მე არ მივცემ არავის, ვინც უნდა მთხოვოს, მომაკვდინებელ საშუალებებს და არც ვასწავლი გზებს მსგავსი განზრახვის განხორციელებისათვის. ზუსტად ასევე მე არ მივცემ არც ერთ ქალს სააბორტე პესარიუმს.

სპეტაკად და უზადოდ წარვმართავ ჩემს ცხოვრებას და ჩემს ხელოვნებას.

მე არავითარ შემთხვევაში არ გავკვეთავ კენჭოვანი დაავადებით დასნეულებულს, - რამეთუ მივანდობ მას ამ საქმის ოსტატ ადამიანებს.

რომელ სახლშიც არ უნდა შევიდე მე, შევალ იქ ავადმყოფის სასარგებლოდ დაშორს ვიქნები ყოველგვარი წინასწარგანზრახულისაგან, უმართებულოსაგან და დამღუპველისაგან, განსაკუთრებით, სასიყცარულო საქმეთაგანქალებისადმი, თავისუფალთა და მონებისადმი.

მკურნალობის ან არა მკურნალობის დროს, რაც არ უნდა დავინახო ან მოვისმინო ისეთი ადამიანების ცხოვრების შესახებ, რომელთა გახმაურებაც არ შეიძლება, გავჩუმდები და ასეთ ამბებს ჩავთვლი საიდუმლოდ.

დაე, მე, ამ ფიცის ურღვევად შემსრულებელს, მქონდეს ბედნიერება ცხოვრებასა და ხელოვნებაში და დიდება ყველა ადამიანთა შორის სამარადისოდ. დაე, მის დამრღვევს და ცრუ ფიცის დამდებს ყველაფერი პირუკმოდ მოსვლოდეს .

„ფიცში მოცემულია ჭეშმარიტი ექიმის ეთიკური სახე. აქ მთავარი ის არის, რომ იგი ვინმეს სახლში შედიოდეს მხოლოდ ავადმყოფის სასარგებლოს . ეს ავადმყოფი, ვინც არ უნდა იყოს, როგორიც არ უნდა იყოს მისი სოციალური მდგომარეობა, არის იგი ქალი, მამაკაცი, ბავშვი, მხცოვანი, ტავისუფალი მოქალაქე თუ მონადქცეული ადამიანი - ექიმისათვის იგი უპირველეს ყოვლისა არის მხოლოდ ავადმყოფობით დატანჯული არსება, ის ვინც პაციენციით , ე.ი. მოთმინებით (აქედან პაციენტი - მომთმენი) იტანს ტკივილებს.

ჰიპოკრატე ამავე აზრით წერს ნაწარმოებში წესიერი მოქცევის შესახებ :

„ექიმი-ფილოსოფოსი ღმერთის სწორია... და ყველაფერი რაც მოიპოვება სიბრძნისათვის, არის მედიცინაშიც, სახელდობრ: ფულისადმი სიძულვილი, სინდისიერება, თავმდაბლობა, თავაზიანობა, საზრისიანობა, გაბედულობა, სიფაქიზე... ყველაფრის ცოდნა, რა არის სასარგებლო და აუცილებელი ცხოვრებისათვის... უარყოფა ცრუმორწმუნე შიშისა ღმერთების წინაშე .

წიგნში ექიმის შესახებ ჰიპოკრატე აცხადებს, რომ ექიმი უნდა იყოს თავდაჭერილი, „სუფთა, მშვენიერი, კეთილი, მნიშვნელოვანი, ადამიანთმოყვარული და სამართლიანი .

ექიმის თვისებათაგან ჰიპოკტარე განსაკუთრებით გამოყოფს თავმდაბლობას და სიმართლეს. ექიმი შეიძლება შეცდეს და იგი ვალდებულია იქვე, ავადმყოფის წინაშე ცნოს და გაასწოროს შეცდომა. თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება პატარა შეცდომებს , ისეთებს რომლებიც დიდ გავლენას ვერ მოახდენენ ავადმყოფობის მსვლელობაზე. მაგრამ თუ ექიმი დაუშვებს საბედისწერო შეცდომას, რასაც შეიძლება სიკვდილიც მოჰყვეს, ამ დროს არაფერი უნდა თქვას ავადმყოფის თანდასწრებით, რადგან ამან შეიძლება დასცეს მისი სულიერი მდგომარეობა და გააძლიეროს დაავადების სიმძაფრე. ასეთ შემთხვევაში ექიმმა თავისი შეცდომა უნდა აღნიშნოს ჩანაწერებში, რათა მომავალ თაობათა ექიმებმა ისწავლონ მისი მეშვეობით.

მეორე მხრივ, თავმდაბლობა ექიმს ავალდებულებს მიმართოს კოლეგებს, როცა იგი უძლურია რომელიმე ავადმყოფობის რაობის გარკვევაში. ამის შესახებ ნათქვამია ტრაქტატში დარიგებანი : “ექიმები, რომლებიც ერთად გასინჯავენ ავადმყოფს, არ უნდა წაიჩხუბონ და არ უნდა დასცინონ ერთმანეთს. რამეთუ მე ფიცით ვირწმუნები, რომ არასოდეს ერთი ექიმის მონასაზრი არ უნდა იწვევდეს შურს მეორეში; ეს იქნებოდა საკუთარი სისუსტის გამჟღავნება .

ჰიპოკრატე გმობს ექიმის მოჩვენებით ხერხებსა და საშუალებებს, რომლითაც სურს შეცდომაში შეიყვანოს ავადმყოფი: „მატყუარა და მერყევია მტკიცება, დაფუძნებული ლაყბობაზე . ექიმის ხელოვნება ხალხის უანგარო სამსახურში უნდა ხორციელდებოდეს: „სადაც არის სიყვარული ადამიანებისადმი, იქვეა სიყვარული თავისი ხელოვნებისადმი .

ეს ორი ძირითადი ხაზი - სიყვარული ხალხისადმი და თავისი პროფესიისადმი - აცოცხლებენ ჰიპოკრატესეულ ჰუმანიზმს.

ბოლოს, ჰიპოკრატეს ჰუმანიზმის კიდევ ერთი მხარე იყო ის, რომ იგი ცდილობდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მაშინ არსებული საზოგადოებრივი წყობილების პირობებში, ავადმყოფი არ განესხვავებინა სოციალური და კლასობრივიმდგომარეობის მიხედვით. გარდა ამისა, ჰიპოკრატესეული მედიცინა ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ბერძენ მოქალაქეს და უცხოელ - „ბარბაროსს .

გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე ეს ხდება მონათმფლობელურ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა კლასობრივი კატეგორიები უაღრესად მკვეთრად და ანტაგონისტურად არიან დაპირისპირებულნი.[53]

3. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ

მკვლევართა ნაწილი იმ აზრისაა, რომ ჰიპოკრატე (ყოველ შემთხვევაში ავტორი ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ) კარგად იცნობს პონტოს ქვეყნებს და პირადად არის ნამყოფი ფასისზე.

საკუთრივ საქართველოს შესახებ ამ ნაწარმოებში შემდეგი ცნობები გვაქვს: პირველ რიგში აღსანიშნავია ის ცნობები, რომელსაც ავტორი გვაწვდის კოლხების შესახებ. სიტყვა კოლხებს ჰიპოკრატე არსად ხმარობს. ის ასახელებს ხალხს, რომელიც ფასისში ცხოვრობს და ერთგან მათ უწოდებს ფასისელებს .

როგორც ცნობილია, ფასისი ანტიკურ წყაროებში ქალაქი ფასისის და მდინარე რიონის დინების ქვემო წელის აღმნიშვნელად იხმარება. ჰიპოკრატეს აღწერილობაში ძნელი არ არის ძველი კოლხიდის დაბლობის დანახვა: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლებით მდიდარი და ხშირი ტყეებით დაფარული. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებლები ჭაობებში აქვთ და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული, ისინი იშვიათად დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, სამაგიეროდ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოღებული ნავებით.... ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისაგან დამპალს.... თვითონ ფასისი კი ყველა

[53] სანიკიძე, ლ., Ibid, 36-47.

მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მიედინება. ნაყოფი, რომელიც იქ წარმოიშვება, ყველა ზრდადაუსრულებელია, სუსტი და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ აქ ნაყოფი არ მწიფდება.... ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ: ტანად დიდები არიან, სისქით - მეტისმეტად სქელები; არც ერთს არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვნი; კანი კი ყვითელი აქვთ... ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე უფრო ბოხი ხმით, რადგან სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო საიმისოდ, რომ სხეულს ჯაფა რაიმე მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან .

ამ მასალაში ორი რიგის ცნობებს ვხვდებით - ერთია აღწერილობა კოლხიდის ბუნებრივ-გეოგრაფიული მონაცემებისა და მეორე - თვით ხალხის გარეგნობისა და ყოფა-ცხოვრების. პირველი რიგის ცნობებში ყველაფერი რიგზეა. რაც შეეხება აქ მცხოვრებთა მეტისმეტ სიმსუქნესა და სიზარმაცეს, ამაზე ჭირს რაიმეს თქმა, რადგან ქართველი ხალხი და მით უმეტეს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, თავისი სისხარტითა და სიცქვიტითაა განთქმული. შესაძლოა ჰიპოკრატეს ავადმყოფები ჰყავდა მხედველობაში (რადგან სიყვითლე მალარიის ერთ-ერთი მახასიათებელია და ეს სენი ჭაობიან ადგილებშია გავრცელებული)[54].

ქართველური ხალხების აღწერილობა ზოგ სხვა ავტორთანაც გვხვდება. მაგ., ჰეროდოტეს აღწერილობით კოლხები არიან შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები [55]. პინდარე წერს არგონავტებზე: „შემდეგ ისინი მივიდნენ ფასისში. იქ ისინი შეებრძოლნენ შავპირსახიან კოლხებს [56].

შესაძლოა ამგვარი აღწერილობა იყო ჰიპოკრატეს კონცეფციიდან გამომდინარე - მისი თეორიის თანახმად ზომიერ ჰავაში ადამიანი უფრო ნებიერია, ზარმაცია, მსუქანია, ბუნების სუსხიან პირობებში კი ადამიანი ენერგიულია, ძარღვიანია.

მეორე, ჩვენთვის საინტერესო ტომი, რომელზეც ჩერდება ჰიპოკრატე, არის მაკროკეფალები. მათ შესახებ ის წერს: „არც ერთ სხვა ტომს არა აქვს მსგავსი თავები. თავდაპირველად წეს-ჩვეულება გახდა მიზეზი მათი თავის სიგრძისა, ახლა კი ბუნებაც წაეშველა ამ წესს. რადგან ვისაც ყველაზე უფრო გრძელი თავი აქვს, ისინი არიან ყველაზე უფრო კეთილშობილებად მიჩნეულნი, მათი წეს-ჩვეულების მიხედვით ასე ხდებოდა: როგორც კი იბადებოდა ბავშვი, მის თავს, რომელიც ძალიან რბილი იყო... ხელით აძლევდნენ ფორმას და აიძულებდნენ, რომ სიგრძეში გაზრდილიყო; ხმარობდნენ თავსაკრავებს...ამრიგად, დასაწყისში წეს-ჩვეულება მოქმედებდა ისე, რომ ამგვარი ბუნება

[54] ყაუხჩიშვილი, თ., ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965, 7-21.

[55] herodote, istoria, Targmna T. yauxCiSvilma, t. I, Tbilisi, 1975, II. 104.

[56] IV პითიური ოდა, 211-213.

წარმოიქმნა; ხოლო დროთა ვითარებაში ის ბუნებად იქცა ისე, რომ წეს-ჩვეულება აღარ იყო აუცილებელი, რადგან თესლი (სხეულის) ყველა ნაწილიდან გამოდის, ჯანმრთელიდან - ჯანმრთელი, ხოლო სნეულიდან - სნეული. თუ მელოტებისგან მელოტები წარმოიშვებიან და ლურჯთვალებათაგან ლურჯთვალებიანები....რა უშლის ხელს იმას, რომ გრძელთავიანისაგან გრძელთავიანი გაჩნდეს? ეხლა კი აღარ ჩნდებიან იმგვარად, როგორც უწინ, რადგან წეს-ჩვეულებას ძალა აღარ ჰქონდა .

სხვა ავტორთა ცნობების მიხედვით მაკროკეფალები ცხოვრობდნენ „ტრაპეზუნტიდან ვიდრე კუნძულ არეტიადამდე ძველ კერასუნტამდე . სტეფანე ბიზანტიონელი ამ ტომს კოლხების მეზობლად მიიჩნევს. ზოგჯერ მაკროკეფალებს მაკრონებთან აიგივებენ. ივ. ჯავახიშვილი „მაკრონებს აიგივებს მეგრელებთან .

საგანგებო თავები აქვს დათმობილი სავრომატებს. ჰიპოკრატეს აზრით ეს ტომი გამოირჩევა ყველა სხვა ტომისაგან. სახელდობრ, ქალები ჯირითობენ, შუბს ისვრიან, მტერს ებრძვიან, ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ, ვიდრე ქალწულები არიან. ხოლო ქალწულობას არ ჰკარგავენ მანამ, ვიდრე სამ მტერს არ მოჰკლავენ. გათხოვების შემდეგ ქალები მხოლოდ მაშინ იღებენ ბრძოლაში მონაწილეობას, როდესაც საყოველთაო ლაშქრობა ცხადდება.

სავრომატ ქალებს მარჯვენა ძუძუ არა ქვთ. ამის შესახებ ჰიპოკრატე წერს: როცა ისინი ჩვილი ბავშვები არიან, დედები გავარვარებულ სპილენძის ხელსაწყოს ადებენმათ მარჯვენა ძუძუზე და ამოუწვამენ ხოლმე, იმისათვის, რომ ძუძუს ზრდა შეჩერდეს და მთელი ძალა და ღონე გადავიდეს მარჯვენა მხარსა და მკლავზე[57].

ჰეროდოტეს მიხედვით სავრომატები წარმოიშვნენ ამაძონებისა და სკვითების შეუღლების შედეგად (IV, 110-116). ამაძონები კი წარმოშობით მდ. თერმოდონტის მიდამოებიდან იყვნენ, საიდანაც ისინი ზღვით მეოტიდის ტბის ნაპირებამდე მოვიდნენ და დასახლდნენ.

ამაძონების ცხოვრების აღწერისას ჰეროდოტე ასეთ რამეს გვაუწყებს: „ვერ გათხოვდება ვერც ერთი ქალწული უწინ, ვიდრე არ მოჰკლავს, მტერს - მამაკაცს. ზოგიერთი მათგან კვდება მოხუცებული, მაგრამ გაუთხოვარი, რადგან ვერ შესძლო ამ კანონის შესრულება (IV, 117)[58].

სტრაბონი წერს: (ამაძონები) თვით მუშაობენ, ხნავენ, რგავენ მცენარეებს, უვლიან საძოვრებს და განსაკუთრებით კი ცხენებს; ხოლო უმამაცესნი მათ შორის ცხენებზე შემსხდრები ეწევიან მონადირეობას და ვარჯიშობენ საომარ საქმიანობაში. ყველა (ამაძონს) ამოუწვავენ ხოლმე მარჯვენა ძუძუს პატარაობიდანვე, ისე რომ ადვილად იყენებენ მხარს

[57] ყაუხჩიშვილი, თ., Ibid, 22-26.
[58] ჰეროდოტე, ისტორია.

ყოველგვარ საქმიანობაში, განსაკუთრებით კი შუბოსნობაში[59].

სკიმნოსის აზრით, სავრომატ მამაკაცებს შეეუღლნენ ამაძონები და ამიტომ არიან ისინი ქალთა მიერ მართულნი.

სავრომატების შემდეგ ჰიპოკრატე გადადის დანარჩენ სკვითებზე, რომელთაც ის ნომადებს უწოდებს. ისინი შესახედავად სქელები არიან, ხორცოვანნი, განიერნი, დონდლონი, უბალნონი, უძლურნი. ბუნებით ისინი ნაკლებ ვნებიანი და ნაყოფიერნი არიან. ამის მიზეზია მამაკაცებში ცხენზე მუდმივი ჯდომა და ჯანჯღარი, ხოლო ქალებში - სხეულის სიმსუქნე და სინოტივე. ამას გარდა სკვითებში განსაკუთრებით ბევრნი არიან სქესობრივად საერთოდ უძლური მამაკაცები, რომლებიც დედაკაცურად ირჯებიან და მათ მსგავსადვე ლაპარაკობენ.

ჰიპოკრატეს ამ ნაწარმოებში გარდა იმისა, რომ ავტორი კონკრეტულ ცნობებს გვაწვდის ქართველური ტომებისა და მათი მეზობლების შესახებ, მის მიერ გამოთქმულია რამდენიმე საინტერესო აზრი:

1. გეოგრაფიული გარემო განაპირობებს ადამიანის ფიზიკურსა თუ სულიერ თვისებებს. „სადაც დედამიწა ნოყიერია, რბილი და ბევრ წყალს შეიცავს ... იქ ადამიანები ხორცოვანები არიან, დონდლონი, სითხით გაჟღენთილნი, უდარდელები და მეტწილად მხდალი სულის. მათ ახასიათებთ სიზარმაცე და მძინარობა. ხელოვნება არ ესმით და არც ნატიფები არიან და არც გონებამახვილნი. ხოლო სადაც ქვეყანა მოტიტვლებულია, უმცენარეო, ოღრო-ჩოღრო, სიცივისაგან გატანჯული და მზისაგან გადამწვარი, იქ ხალხი უხეშია, გამხდარი, დანაკვთული და ბალნიანი. ისინი ასეთი ბუნების გამო საქმიანები არიან და ფხიზელნი. ზნე ამაყი აქვთ და ხასიათი - თავნება. უფრო ველური თვისებისა არიან, ვიდრე თვინიერის. შენ დაინახავ, რომ ხელოვნების მოყვარენი და ნიჭიერნი არიან და სამხედრო საქმიანობაშიც საუკეთესონი .
2. ჰიპოკრატე ადამიანის პიროვნულ თვისებებზე მსჯელობისას მნიშვნელობას ანიჭებს მის საზოგადოებრივ მდგომარეობას, საერთო პოლიტიკურ სიტუაციას. მაგ., მე-16 პარაგრაფში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ აზიელები ნაკლებ მამაცები არიან, ვიდრე ევროპელები. „აზიის მეტ წილს მეფე მართავს, ხოლო სადაც ხალხი თვითონ არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი და სხვა ბატონობს მასზე, მაშინ მას ის კი არა აქვს საზრუნავი, რომ საომარ საქმეებში ივარჯიშოს, არამედ ის, თუ როგორ მოაჩვენოს თავი. რომ მებრძოლი არ არის.... რომელთაც არ ჰყავთ ბატონი, დამოუკიდებელნი არიან და თავისთვის ზრუნავენ, ისინი ყველაზე უფრო მებრძოლი ბუნების არიან, რადგან ისინი საფრთხეში თავს თავისი თავისთვისვე იგდებენ და ჯილდოს სიმამაცისთვის თვითონვე ღებულობენ, ისევე როგორც სასჯელს - სიმხდალისათვის (გვ.29-30).

[59] Страбон, География, перевод Г. А. Стратановского, Москва, 1964, XI, 5, 1.

3. საინტერესოა ჰიპოკრატეს მსჯელობა ავადმყოფობათა ბუნების შესახებ. მას აქვს ასეთი დებულება: ყველა ავადმყოფობა თანაბარია, ყველა ღვთაებრივია და ყველა ადამიანურია; თითოეულს აქვს თავისი ბუნება და არაფერი ხდება ბუნების გარეშე.[60]

4. პითაგორა, ემპედოკლე, პლატონი, არისტოტელე

პითაგორა. ანტიკურ საბერძნეთში არსებობდა რამდენიმე სამედიცინო სკოლა, რომლებიც ემყარებოდნენ იდეალისტური ფილოსოფიის ძირითად პრინციპებს.

მათ შორის ყველაზე ძველია (ძვ.წ. VI) პითაგორას სკოლა. პითაგორა (580-500) კუნძულ სამოსიდან იყო. შემდეგ, როგორც ოლიგარქიის იდეოლოგი, იძულებული გახდა გაქცეულიყო სამშობლოდან, როცა იქ დემოკრატიული ხელისუფლება დამკვიდრდა. იგი ჩავიდა სამხრეთ იტალიაში, ქალაქ კროტონში. აქ მან შექმნა ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელმაც სულ მალე სახელი გაითქვა, როგორც „პითაგორას სკოლამ . პითაგორული საზოგადოება წარმოადგენდა თავისებურ საიდუმლო ირდენს. მასში წევრად ღებულობდნენ უმტკიესი ნებისყოის მქონე ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანებს. ასეთ კაცს უნდა ჩაებარებინა უმკაცრესი გამოცდა: ორიდან ხუთ წლამდე მდუმარება უნდა დაეცვა. პითაგორელები ცხოვრობდნენ ერთად, არ ჭამდნენ ხორცს, არ იცვამდნენ შალის ტანსაცმელს, არც მიცვალებულს ატანდნენ შალის სამოსს. პითაგორას შემოქმედება რამდენიმე დარგად იყოფა: ფილოსოფია (თვით ტერმინი ფილოსოფია - სიბრძნისმოყვარეობა პირველად პითაგორას უხმარია), მათემატიკა, რელიგია და მედიცინა.

პითაგორა ამტკიცებდა, რომ სამყაროსეულ მოვლენათა, არსთა და საგანთა პირველწყაროს წარმოადგენს რიცხვი. სამყარო წარმოადგენს ლუწ და კენტ რიცხვთა შეერთების ჰარმონიას. ლუწ-კენტოვანი რიცხვეული შეერთება აგრეთვე წარმოდგენილია, როგორც დაპირისპირებულ ელემენტტთა ერთიანობა: კეთილი-ბოროტი, სიმამაცე-სილაჩრე, სინათლე-სიბნელე, მყარი-ფხვიერი, განსაზღვრული-განუსაზღვრელი, სწორი-არასწორი, მარჯვენა-მარცხენა, მამრობითი-მდედრობითი და ა.შ. რიცხვის პირველსაწყისიანობა პითაგორელებმა ახირებულ რიცხვეულ სიმბოლიკამდეც კი მიიყვანეს. მაგ., ამტკიცებდნენ, რო 1 ნიშნავს წერტილს, 2 - ხაზს, 3 - სამკუთხედს, 4 - პირამიდას; უფრო მეტიც: 5 ნიშნავს ქორწილს, 6 - სულს, 7 - გონებას, 8 - სიყვარულს, 9 - ბედნიერებას, 10 - ღვთაებას. ერთი სიტყვით, პითაგორიზმის მიხედვით, ყოველ მოვლენასა და ცნებას თავისი სიმბოლური რიცხვი აქვს.

---

[60] ყაუხჩიშვილი, თ., Ibid, 27-30.

პითაგორა საუკეთესო სამედიცინო სისტემად თვლიდა სატაძრო მკურნალობას. ამიტომაც პითაგორელები ავადმყოფს მკურნალობდნენ რელიგიურ ჰიმნთა გალობით, მუსიკალურ საკრავთა ჟღერით, რელიგიურ-ექსტაზური ცეკვებით, ლოცვებით.

ემპედოკლე. ასევე იდეალისტურ სამედიცინო მიმდინარეობას წარმოადგენდა სკოლა, რომელიც დაუარსებია ემპედოკლეს (ძვ.წ. 490-430 წწ.), სიცილიელ ბერძენ ფილოსოფოსს, ბუნებისმეტყველს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს. ისიც პითაგორულ ცხოვრებას ეწეოდა. მაგ., ემპედოკლეს ვეგეტარიანიზმი იქამდე მისულა, რომ იგი საქონლის ტყავის სანდლების ნაცვლად სპილენძის ან ვერცხლის ქოშებს ატარებდა.

ადამიანის ბუნების შესწავლისას ემპედოკლე ერთმანეთთან აიგივებს სულსა და აზროვნებას. ამ შემთხვევაში იგი ამბობს, რომ აზროვნება არ არის ის, რასაც ქურუმები სულს ეძახიანო, აქედან გამომდინარე, რაკი იგივე ქურუმები ამბობენ, რომ სული სისხლში ცხოვრობს, ამიტომ აზროვნებაც სისხლშია. ემპედოკლე ამბობს: ადამიანები უფრო მეტად აზროვნებენ სისხლით . მაშასადამე ემპედოკლე ამ დებულებით უპირისპირდება ალკმეონ კროტონელს, რომელიც აზროვნების ორგანოდ თვლიდა ტვინს.

ემპედოკლე ცხოვრობდა და სამკურნალო მოღვაწეობას ეწეოდა სიცილიის ქალაქ აგრიგენტუმში. მისი სამედიცინო დამსახურებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მან მოახდინა ქალაქის ჭაობიანი რაიონების მელიორაცია და ჩრდილოეთ მხრიდან წამომართულ კლდეში გაჭრა ხვრეი, საიდანაც ქალაქში იჭრებოდა სიო და ქარი.

პლატონი. იდეალისტურ-სამედიცინო სკოლათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პლატონის სკოლა.

პლატონი ამტკიცებდა, რომ ადამიანის ცხოვრების და სიცოცხლის ყველა მხარეს განაგებს მუდმივი გონებისაგან ჩასახლებული სამი სული: გონებრივი, ცხოველური და მცენარეული. ამათგან პირველი სული ჩასახლებულია ტვინში, საიდანაც ადამიანი ღებულობს აზროვნების უნარს. ცხოველური არსებობს გულსა და სისხლში, საიდანაც ადამიანი ღებულობს სითბოს, მოძრაობის უნარს, ვნებათა ღელვას; მესამე სული კი სადგურობს ღვიძლში და განაგებს კვების საქმეს. მაშ, ეს სამი სული განაგებს და ამოძრავებს ადამიანის სხეულის შემადგენელ ელემენტებს. ხოლო ადამიანის სხეული შედგება ოთხი ელემენტისაგან: ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. რასაკვირველია, ეს უკანასკნელნი სხეულში ნატურალური სახით როდია მოცემული, არამედ წარმოდგენილნი არიან ძვლების, კუნთების, შინაგან ორგანოთა და სხვა ფორმით.

მთავარი ის არის, რომ სანამ ადამიანის სხეულის ელემენტები ემორჩილებიან იმ სამ სულს, მანამ ჯანმრთელობაც შენარჩუნებული იქნება. ხოლო როგორც კი რომელიმე გაურჩდება, ავადმყოფობაც არ დააყოვნებს.

პლატონის სამედიცინო მოძღვრება პითაგორელთა სულიერი მკურნალობის თეორიისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ პლატონი წამლების ქმედითიანობას არ უარყოფდა, მაგრამ იმასაც ამტკიცებდა, რომ წამალი ავადმყოფს მოარჩენს, თუ მის მიღებას რელიგიური ჰიმნები და ლოცვები თან დაერთვისო.

არისტოტელე. ანტიკური ბერძნული მედიცინის უკანასკნელ წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ არისტოტელე (ძვ.წ. 384-322), სახელოვანი ენციკლოპედისტი, ანტიკური აზროვნების მწვერვალი.

არისტოტელე წარმოშობით ასკლეპიადთა საგვარეულოს ეკუთვნოდა და ასკლეპიადური წესის მიხედვით მას ექიმობა მემკვიდრეობითად უნდა მიეღო. მაგ., არისტოტელეს მამა ნიკომახე ექიმი იყო, მისი მამაც, პაპაც და ა.შ.

ეპიკურეს მიხედვით, 17 წლის არისტოტელემ სამედიცინო კარიერა წამლების გაყიდვით დაიწყო. ამავე ასაკში იგი სწავლობდა პლატონთან, მაგრამ სულ მალე თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით მკვეთრად დაუპირისპირდა მასწავლებელს. ამის გამომხატველია სიტყვები, რომლებიც არისტოტელეს მიეწერება: „Amicus Plato, sed magis amicus veritas" („მეგობარია პლატონი, მაგრამ მეტი მეგობარია ჭეშმარიტება). არისტოტელემ დაამტკიცა, რომ პლატონის თეორია ცნებისა და აზროვნების პირველადობისა და მატერიალური სამყაროს მოჩვენებითობის შესახებ, მცდარია. პირველადი და ობიექტურად არსებულია არა რაღაც მუდმივი გონება , არამედ თვალხილული მატერია (სიტყვა მატერია პირველად არისტოტელემ გამოიყენა), რომელიც არსებობს მუდმივ მოძრაობაში, ხოლო მოძრაობისაგან გაჩნდნენ პლანეტები, მათ შორის დედამიწა და ყველაფერი დედამიწაზე.

არისტოტელე ფიქრობდა, რომ ბუნებაში არსებობს რაღაც ლტოლვა, მისწრაფება („ენტელეხია) რაღაც მიზნისაკენ. „ენტელეხიის ძალით ბუნება მიისწაფის თავის სრულყოფისაკენ. მაგრამ არისტოტელეს არ დაუსახელებია თვით ენტელეხიის წარმოშობის მიზეზი, ამიტომ შემდგომი დროის ფილოსოფოსები და ექიმები იქ გულისხმობდნენ ღმერთს.[61]

5. ელინისტური ხანა

[61] სანიკიძე, ლ., Ibid, 47-50.

ელინისტური პერიოდი (ძვ.წ. მე-4 საუკუნე ახ.წ. პირველი საუკუნე) სამ ათწლეულს გრძედებოდა და გეოგრაფიულად დიდ არეალს მოიცავდა: სამხრეთ შუამდინარეთი, სამხრეთ და შუა აზია, მცირე აზია და კავკასია, ჩრდილოეთ აფრიკა. იმ დროისათვის უზარმაზარი იმპერიის შექმნა ალექსანდრე მაკედონელის მამამ ფილიპემ დაიწყო. მან ჯერ მაკედონიაში განიმტკიცა პოზიციები, შემდეგ კი დასუსტებული ბერძნული პოლისები გააერთიანა. ალექსანდრეს გამეფებით (ძვ.წ. 337 წ.) იწყება იმპერიის ფორმირება, რომელიც ეგვიპტის მიერთებით მთავრდება და საფუძველი ეყრება რომის იმპერიას (ახ.წ. I საუკუნიდან). ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ, მისი მანამდე არნახული სიდიდის სახელმწიფო, რომელიც გადაჭიმული იყო სიცილიიდან ჰიმალაიმდე, შავი ზღვიდან არაბეთის ნახევარკუნძულამდე და რომელიც ევროპის, აზიის და აფრიკის მნიშვნელოვან ტერიტორიებს მოიცავდა, რამოდენიმე ელინისტურ სახელმწიფოდ დაიქსაქსა. მათ შორის ყველაზე შთამბეჭდავი ბერძნულ-ეგვიპტური სამეფო იყო. პტოლემეოსის სამეფო ელინისტურ ეგვიპტეს და ლიბიას მოიცავდა. დედაქალაქი იყო ალექსანდრია - მსხვილი სავაჭრო და კულტურული ცენტრი, რომელიც ალექსანდრემ 331 წელს დააარსა.

ტერმინი „ელინისტური არსობრივად განსხვავდება „ელინურისაგან , რომელიც საკუთრივ ბერძნულის მნიშვნელობით იხმარება. ალექსანდრეს მიერ შექმნილ იმპერიაში კი ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა ერთი მხრივ, ადგილობრივი და მეორე მხრივ, იმპორტირებული ელინური კულტურა. მოხდა ამ ფენომენთა შერწყმა და წარმოიშვა ელინისტური კულტურა.

ამბობენ, რომ ალექსანდრეს ეპოქა ეს არისტოტელეს ეპოქაა. არისტოტელეს მამა მაკედონიის სამეფო კარის ექიმი იყო და თავს მაქაონის შთამომავლად თვლიდა. 17 წლის ასაკში არისტოტელე პლატონის აკადემიაში მიებარა, სადაც 20 წლის განმავლობაში მსმენელად იყო, შემდეგ - მასწავლებელი და ფილოსოფოსთა ამხანაგობის სრულუფლებიანი წევრი. პლატონის სიკვდილის შემდეგ მან დატოვა აკადემია და ბევრს მოგზაურობდა. ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი იყო. 335 წელს არისტოტელემ დააარსა საკუთარი პერიპათეთიკოსთა ფილოსოფიური სკოლა (ბერძნ. Peripatos - ადგილი სეირნობისთვის, ანუ ადგილი სადაც მიმდინარეობდა სწავლება).

პტოლემეოსების ხანაში დაარსდა ალექსანდრიის მუზეუმი (museion - მუზების ტაძარი) და უდიდესი ალექსანდრიის ბიბიოთეკა, სადავ 700 000 მეტი ხელნაწერი წიგნი ინახებოდა. ბიბლიოთეკა 380 წელს ცეცხლთაყვანისმცემლებისა და ქრისტიანების შეტაკების დროს განადგურდა[62].

მედიცინის ისტორიის თვალთახედვით ბევრი საინტერესო რამ

[62] შენგელია, რ., Ibid, 86-88.

გაკეთდა ელინისტურ ხანაში, განსაკუთრებით ქალაქ ალექსანდრიაში.

ალექსანდრიულ-ელინისტური მედიცინა დაკავშირებულია ორი დიდი მეცნიერის სახელთან. ესენი არიან ერასისტრატე და ჰეროფილე.

ერასისტრატე. მისი ბიოგრაფიიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ წარმოშობით მცირე აზიიდან, კეოსიდან იყო და გარდაიცვალა ძვ.წ. 280 წლის მახლობლად. მისი სამედიცინო მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ვიცით ცელსუსისა და გალენუსის ნაწერებიდან.

ერასისტრატეს მეცნიერული კვლევის ძირითადი საკითხი იყო ადამიანის მოძრაობის უნარის შესწავლა. ეს საკითხი მანამდე არავის გაუხდია კვლევისს აგნად. პლატონი ამტკიცებდა, რომ ადამიანის მოძრაობის წყარო არის მის გულსა და სისხლში ჩასახლებული „ცხოველური სული .

პლატონის ამ ისეალისტურ მსჯელობას ერასისტრატემ თავისი მატერიალური თვალთახედვა დაუპირისპირა. ჯერ მან გულდასმით შეისწავლა ალკმეონ კროტონელის პნევმატიკური თეორია , რომლის მიხედვითადამიანის საერთო მოქმედების წყაროს წარმოადგენს ტვინი. ერასისტრატემ ადამიანის საერთო მოქმედებიდან კონკრეტულად აიღო მოძრაობის უნარის საკითხი და იგი დაუკავშირა არა ცხოველურ სულს , არამედ ტვინს.

ერასისტრატემ ხელი მიჰყო დამნაშავეთა გვამების გაკვეთას. ტავის ტვინზე უშუალო და ხშირმა დაკვირვებამ მეტად საინტერესო, ახალი და მნიშვნელოვანი შედეგები მისცა მკვლევარს. მან პირველმა აგვიწერა თავის ტვინის მაგარი და რბილი გარსი, მისი გარეგანი ხვეულნაოჭოვანი აღნაგობა, ნათხემის გარეგანი სახე. ხოლო ტვინის შიგნით აღმოაჩინა ხვრელები, რომელთაც შემდგომ ტვინის პარკუჭები დაერქვა.

ერასისტრატეს მთავარ დამსახურებად ითვლება მედიცინისათვის მანამდე უცნობი თავის ტვინიდან გამომდინარე ნერვული ბოჭკოების აღმოჩენა. მან ეამჩნია, რომ ამ ნერვთაგან ზოგი მგძნობიარეა, ზოგიც მამოძრავებელი. ერასისტრატე დარწმუნდა, რომ ადამიანის მამოძრავებელ წყაროს წარმოადგენს ტვინი. მან გულდასმით შეისწავლა მთლიანად გული და აღმოაჩინა გულის მყესოვანი ძაფები და ორკარიანი, სამკარიანი და აორტის სარქველები.

საინტერესოა ის, რომ ერასისტრატეს მოსაზრებით თხევადი ელემენტები - სისხლი, ლორწო და ნაღველი - ორგანიზმში არ უნდა ასრულებდნენ ისეთ გადამწყვეტ როლს, როგორც ეს მიაჩნდათ ჰუმორული თეორიის მიმდევრებს. ერასისტრატე ამტკიცებს, რომ სისხლი არის მხოლოდ და მხოლოდ საკვების ტრანსილატორი ორგანიზმში და იგი მოძრაობს არა რაიმე სულის ძალით, არამედ გულის კუნთის კუმშვებით. ხოლო რაც შეეხება ლორწოსა და ნაღველს, ისინი ორგანიზმს ეხმარებიან მხოლოდ ოფლის, შარდისა და სხვათა გამოყოფის საქმეში.

ჰეროფილე. მეორე ცნობილი ალექსანდრიელი ექიმი იყო ჰეროფილე, წარმოშობით მცირე აზიის ქალაქ ქალკედონიდან. იგი ცხოვრობდა ერასისტრატეს ეპოქაში და გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა მასთან.

ჰეროფილე თავისი მსოფლმხედველობით პლატონის მიმდევარი იყო და ასაბუთებდა ადამიანის სხეულის წარმმართველი სამი სულის პლატონურ თეორიას. ანატომიური ძიებისას მან გულისყურით შეისწავლა თავის ტვინის მეოთხე პარკუჭი, ყველაზე ფართო დანარჩენ პარკუჭთა შორის. მეოთხე პარკუჭის ფსკერზე მან აღმოაჩინა უცნაური ნაზარდი, რომელსაც უწოდა საწერი კალამი (Calamus scriptorius). ჰეროფილემ ირწმუნა, რომ სწორედ აქ ცხოვრობს მოაზროვნე სული .

მეორე, „ცხოველური სულის ძიებისას ჰეროფილემ დაწვრილებით შეისწავლა გულის ფუნქციები და აღნაგობა. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არტერიების პულსირება გულის კუმშვადობიდან მომდინარეობს.

ღვიძლის შესწავლისას მან ყურადღება მიაქცია წვრილ ნაწლავს, რომლის სიგრძეც გაზომვისას თორმეტი გოჯის სიდიდის გამოვიდა. ამიტომ მას ჰეროფილემ თორმეტგოჯა ნაწლავი დაარქვა და მას შემდეგ იგი ასეთივე სახელწოდებით დღემდე დარჩა მედიცინაში.

ჰეროფილე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა წამლებით მკურნალობას. იმასაც ამტკიცებდა, რომ არ არსებობს ისეთი ავადმყოფობა, რომლის წინააღმდეგ წამალი არ მოიძებნებოდესო. იგი ყოველი ავადმყოფისათვის სპეციალურ წამალს ეძიებდა და ამ ძიებაში მრავალი სხვადასხვა ფარმაკოლოგიური საშუალებაც შესძინა მედიცინას. იგი ძვირფასი ქვებისაგან ამზადებდა სამკურნალო ფხვნილს.

ერასისტრატესა და ჰეროფილეს შემდეგ ალექსანდრიულ-ელინისტური მედიცინა სწრაფი ტემპით განიცდის დაქვეითებას. მაგ., ჰეროფილეს მოწაფე ფილონ კოსელი (ძვ.წ. 310-280) იმასაც ამტკიცებდა, რომ მედიცინას არ სჭირდება რაიმე თეორია, ვთქვათ ადამიანის ბუნების შესახებ; არც მისი ანატომიური და ფიზიოლოგიური შესწავლაა საჭირო. იგი მკურნალობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას პრაქტიკულ დაკვირვებას ანიჭებდა. ამ მიმართულებით მან ემპირიკოსთა მთელი სკოლა შექმნა.[63]

ანატომია (ბერძნ. Anatomos გაკვეთა) ელინისტურ ხანაში მედიცინის დამოუკიდებელ საგნად იქცა. ალექსანდრიაში მის განვითარებას ხელი შეუწყო ბალზამირების ძველეგვიპტურმა ტრადიციამ და პტოლემეოსის ნებართვამ გარდაცვლილთა კვეთის შესახებ, ხოლო სიკვდილმისჯილებს ეს პროცესი ცოცხლად უტარდებოდათ: თავიდან გახსნიდნენ მუცლის ღრუს, შემდეგ კვეთდნენ დიაფრაგმას (რის შემდეგაც დგებოდა სიკვილი),

[63] სანიკიძე, ლ., Ibid, 50-53.

ხსნიდნენ გულმკერდს და იკვლევდნენ ორგანოების აგებულებას. აღწერილობითი ანატომიის ფუძემდებლად ალექსანდრიაში ითვლება ჰეროფილე.[64]

6. მედიცინა ძველ რომში

„ანტიკური რომის ცნების ქვეშ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა შინაარსი იგულისხმება: რომი - ქალაქი, რომი - რესპუბლიკური მოწყობის სახელმწიფო და შემდგომ, დიდი რომაული იმპერია, რომელმაც შემოიერთა ხმელთაშუა ზღვის თითქმის ყველა სახელმწიფო და ის იმპერიის შიდა ზღვად აქცია (ლათ. Mare nostrum - ჩვენი ზღვა).

ადრეული რომის ისტორია სამ ეტაად იყოფა: 1. სამეფო პერიოდი; 2. რესპუბლიკის პერიოდიდა 3. იმპერიის პერიოდი.

სამეფო პერიოდი. ისტორიული ტრადიციის თანახმად ქალაქ რომის დაფუძნების თარიღად ძ.წ. 753 წელი ითვლება. ქალაქ-სახელმწიფოდ ძვ.წ. მე-6 საუკუნეში გარდაიქმნა. ტრადიცია შვიდი მეფის სახელს ინახავს, რომელთა შორის სამი უკანასკნელი ტარკვინიუსების ეტრუსკული დინასტიისან იყო.

ეტრუსკები, რომლებიც იტალიის ჩრდილოეთით, ლიგურიის ზღვის პირას ცხოვრობდნენ, მეცნიერთა აზრით მცირე აზიიდან პელაზგების მონათესავე ტომების მიგრაციით შექმნილი ეთნოსი უნდა იყოს. არც თუ ძნელი დასანახია ეტრუსკული და მცირეაზიურ-კავკასიური კულტურების პარალელები.

ეტრუსკებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს რომაელების კულტურასა და მედიცინაზე. ამ უკანასკნელებმა მემკვიდრეობით მიიღეს ეტრუსკული დამწერლობა და ე.წ. „რომაული ციფრები , ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებანი, ურბანული არქიტექტურადა რელიგია. მეფე ტარკვინიუსის დროს (ძვ.წ. მე-6 ს.) რომში არხების საშუალებით დაჭაობებული რაიონების ამოშრობა დაიწყეს. მოაწყვეს საკანალიზაციო ჩამდინარე სისტემა, რომელიც დღემდე არსებობს.

ეტრუსკებს იტალიის ტერიტორიაზე პირველი სალოცავებისა და ტაძრების მშენებლებად მიიჩნევენ. ქურუმებს ევალებოდათ წინასწარმეტყველება შიგნეულობის (უპირატესად ღვიძლი) მიხედვით. ქურუმი/წინასწარმეტყველი - ჰარუსპიკი (ლათ. Haruspex, ეტრუსკულად: Harus - ნაწლავი, შიდა ორგანოები და specere - დაკვირვება) სამსხვერპლო ცხოველებს აკვირდებოდა რიტუალებისას და ბუნების მოვლენებს

[64] შენგელია, რ., Ibid, 88.

ამოიცნობდა. მათი რჩევები სენატის დამოწმების შემდეგ შედიოდა ძალაში.

სამეფო პერიოდში სამედიცინო საქმის პროფესიონალები რომში არ ჩანან. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მკურნალობდნენ ხოლმე ბინაზე სახალხო საშუალებებით - ბალახებით, თესლებით, ნაყოფითა თუ მათი ყვავილებით და უმეტესად მაგიური შელოცვებით. გამოჩენილი რომაელი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის კატონის ცნობით ასი წლის განმავლობაში ყველაზე პოპულარულ სამკურნალო საშუალებად კომბოსტო ითვლებოდა: „კომბოსტო პირველია ბოსტნეულიდან , წერდა ის თავის მიწათმოქმედებაში . „ჭამეთ მოხარშული ყველთან ერთად და სასწაულად დაგეხმარებათ საჭმლის მონელებაში. აწესრიგებს კუჭის მოქმედებას, წამლად ერგება მას, ვინც მიირთმევს. ასევე შეგიძლიათ დაიდოთ ჭრილობებსა და წყლულებზე. ის ყველა სახის დამწვრობასა და წყლულს ...კურნავს. ...აყუჩებს თავისა და თვალის ტკივილს .

უნდა ვიფიქროთ რომ ეტრუსკების სამედიცინო ხელოვნების შესახებ ცნობები არასრულადაა შემონახული, რადგან აღმოჩენილია მათ მიერ დამზადებული კბილის პროთეზები, რომელსაც ისინი ცხოველების ძვლებისგან აკეთებდნენ და ოქროს ხიდის საშუალებით ამაგრებდნენ.

რესპუბლიკის პერიოდი. ძვ.წ. 510 წელს რომაელები აჯანყდნენ, ჩამოაგდეს ეტრუსკების მეფე ტარკვინიუს გორდოგო და დააფუძნეს რესპუბლიკური წყობა (ლათ. Respublica - სახალხო საქმე).

მედიცინის სფეროში ეს პერიოდი ხასიათდება: სანიტარულიი კანონმდებლობის განვითარებით და სანიტარულ-ტექნიკური ნაგებობების მშენებლობით; პროფესიონალი ექიმების გამოჩენით.

ამ პერიოდში ყურადღება ექცევა სანიტარულ საქმეს. „ტაბულა XII კანონების რიგი პარაგრაფებისა უშუალოდ ეხებოდა ქალაქის (რომის) სანიტარული მდგომარეობის დაცვას: გარდაცვლილის დასაფლავების/კრემაციის წესებს, პირადი და საზოგადოებრივ ჰიგიენას. ამავე ტაბულის თანახმად, ჩვილს, რომელიც განსაკუთრებული სიგონჯისაა, უნდა წართმეოდა სიცოცხლე.

ადრეული რესპუბლიკის პერიოდში რომში დაიწყო აქვედუკების მშენებლობა, ვინაიდან მიწისქვეშა წყაროებს უკვე აღარ შეეძლოთ მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. საბოლოოდ აქვედუკების დახმარებით დაახლოებით 100 ქალაქი მარაგდებოდა სუფთა წყლით.

წყალი ნაწილდებოდა იმპერატორის სასახლეს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს (ბაზრები, ამფითეატრები, ბაღები) და ურიცხვ შადრევნებს შორის. საკუთარ სახლებში წყალი არ მიეწოდებოდათ.

წყალს ან ყიდულობდნენ ან წყლის შადრევნებიდან იღებდნენ. „რომაელები იყენებდნენ საზოგადოებრივ ტუალეტებს, ან ნაგავი გადაჰქონდათ მეზობლის გროვაში, ან უბრალოდ ფანჯრიდან ქუჩაში ყრიდნენ .

პირველი თერმები (ლათ. Thermae - ცხელი აბანო) რომში მარკუს აგრიპამ ძვ.წ. მე-3 საუკუნეში ააშენა. მან ეს თერმები ქალაქის მოსახლეობას უფასოდ გადასცა, ხოლო წყლით მოსამარაგებლად სპეციალური აქვედუკი ააშენა. ეს საქციელი გადამდები აღმოჩნდა. პოპულარობის მაძიებელმა მდიდარმა რომაელებმა (იმპერატორის ჩათვლით) თერმების მშენებლობები იწყეს. ამგვარად, რომში იყო არა მარტო კერძო თერმები, არამედ საზოგადოებრივიც, სადაც ჩვეული პოპულისტური მიზნით ხანდახან იმპერატორებიც კი დადიოდნენ.

თერმების კედლები საუკეთესო ხარისხის მარმარილოთი შენდებოდა, კედლები მოხატული იყო, რაც დღემდე დაუზიანებლადაა შემორჩენილი. შიდა დარბაზები მორთული იყო ქანდაკებებით. მათ შორის გამორჩეულ ადგილას იდგა ასკლეპიოსისა და ჰიგიას ქანდაკებები. იქ სხვადასხვა ოთახები იყო: სპორტის დარბაზი, გასახდელი, ცხელი სააბაზანო, ცივი სააბაზანო, თბილი სააბაზანო, აუზი. იმპერატორების თერმებში აგრეთვე ჰქონდათ ბიბლიოთეკები, დარბაზები სადღესასწაულო სუფრისთვის, სასაუბროდ.

როგორც დღევანდელ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, ძველ იტალიაში თურმე ექიმი-პროფესიონალების გარეშეც იოლას გადიოდნენ. პირველი ექიმები სამხედრო ტყვეების რიცხვიდან იყვნენ, უმთავრესად საბერძნეთიდან, მცირე აზიიდან, ეგვიპტიდან. ყოველი შეძლებული რომაელი მოქალაქე ისწრაფოდა მოეპოვებინა მონა-ექიმი (ლათ. Servus medicus). მონა მკურნალობდა ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს. თანდათანობით მონა-სპეციალისტები გარკვეული საზღაურის ფასად თავისუფლდებოდნენ. თუმცა განთავისუფლებული ექიმი ვალდებული იყო ყოფილი მფლობელისათვის და მისი ოჯახისათვის უფასოდ ემკურნალა, მისთვის მიეცა წილი თავისი მოგებიდან.

ძვ.წ. მე-3 საუკუნის დასასრულს და მე-2 საუკუნის დასაწყისში რომში გამოჩნდნენ ბერძნული წარმოშობის თავისუფალი ექიმები. პირველი ასეთი ექიმი იყო პელოპონესელი არქაგათოსი. მოღვაწეობის დასაწყისში მან დიდი პოპულარობა მოიპოვა. მაგრამ მალე ჩატარებულმა ქირურგიულმა ოპერაციებმა მას ნდობა დაუკარგა. მეტსახელად ყასაბი შეარქვეს და მასთან ურთიერთობა გაწყვიტეს.

იმპერიის პერიოდის მედიცინა. რომის იმპერიის ისტორია ხუთ ასწლეულს მოიცავს: ძვ.წ. 31 წ. - ახ.წ. 476 წ.

რომაული არმიის ფართომასშტაბიანი დაპყრობითი ომები

საჭიროებდა არმიის სამედიცინო სამსახურის ორგანიზაციას. უმცროსი მედიკოსები - კაპსარები მეომრებს პირდაპირ ბრძოლის ველზე უხვევდნენ ჭრილობას. პირველი საუკუნის დასასრულსა და მე-2-ის დასაწყისში ყველა სახის ქვედანაყოფში გამოჩნდნენ ექიმი-პროფესიონალები - medici.

მონათმფლობელების მამულებში ორგანიზაცია გაუკეთეს სპეციალურ ვალეტუდინარიუმებს, სადაც მონა-მედიკოსები მსახურობდნენ. იქ თავად მონებს არ მკურნალობდნენ. ავადმყოფ მონას აგზავნიდნენ კუნძულ ასკლეპიასზე (ან წმინდა ბართოლომეაზე), მდინარე ტიბრზე და ტოვებდნენ იქ გარდაცვალებამდე. გამოჯანმრთელების შემთხვევაში ასეთი მონა თავისუფალი ხდებოდა. [65]

ძველ რომში, ისე როგორც სხვა მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, პროფესიული მედიცინის გვერდით არსებობდა სატაძრო მედიცინა. რომის სამედიცინო მეცნიერებათა და ხელოვნების აყვავების დასაწყისი დაკავშირებულია ასკლეპიადეს (ძვ.წ. 127-56 წწ.) სახელთან.

ასკლეპიადე წარმოშობით ბერძენი იყო, მცირე აზიური ბითინიის ქალაქ პრუსადან. სწავლობდა ალექსანდრიასა და ათენში. დაახლოებით ძვ.წ. 90 წელს ცხოვრებასა და მოღვაწეობას იწყებს რომში, მაშინდელი მსოფლიოს პოლიტიკური მბრძანებლობის ცენტრში. ჯერ რიტორიკას ასწავლიდა. შემდეგ კი სამედიცინო მოღვაწეობას მოჰკიდა ხელი. იგი უმთავრესად მკურნალობდა მოსახლეობის დაბალ ფენებს. მალე მან სახელი გაითქვა, როგორც ღვთაებრივი ძალის მქონე მკურნალმა, რომელსაც სიკვდილის ზღურბლს გადაბიჯებული ადამიანის გამობრუნებაც შეეძლო, მაგალითად ცნობილი რომაელი მწერალი აპულეუსი ასეთ ამბავს გადმოგვცემს:

„სახელოვანი ასკლეპიადე ექიმთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი კაცი იყო და ჰიპოკრატეს გარდა, ყველას სჯობდა. ის იყო პირველი, ვინც დაიწყო ადამიანთა ღვინით მკურნალობა, მაგრამ მათ ასმევდა წამლებსაც საჭიროების მიხედვით. ამ დროს იგი დიდი სიზუსტით საზღვრავდა გადამწყვეტ წამალს ... თვალს ადევნებდა პულსს, მისი ნორმალური ცემის დარღვევასა და ზედმეტ სიჩქარეს. აი, ერთხელ, როცა ასკლეპიადე ქალაქგარეთა მამულიდან სახლში ბრუნდებოდა, ქალაქის კედლებთან შენიშნა მდიდრული კატაფალკი, დასაფლავებაზე მოსული ზღვა ხალხით გარშემორტყმული. ყველანი იყვნენ მწუხარენი, გაცვეთილი, ტალახიანი სამოსით შემოსილნი (გლოვის ნიშნად). ექიმი ახლოს მივიდა იმისათვის, რათა როგორც ცნობისმოყვარე კაცს სჩვევია, შეეტყო ვის ასაფლავებდნენ, რადგან ვერც ერთ მის შეკითხვაზე პასუხი ვერ მიიღო; ან იქნებ იმისათვის, რომ ამ შემთხვევიდან თავისი საქმიანობისათვის რაიმე სასარგებლო ეპოვნა. მაგრამ სწორედ რომ ბედისწერამ

[65] Ibid, 92-100.

გამოუგზავნა იგი ამ კაცს, რომელიც ახლა საცხედრეზე იწვა და იღბლად ჯერ არ დაუწვიათ. ამ უბედურის მთელი სხეული უკვე დაუფარავთ კეთილსურნელებით, უკვე სახეზე წაუსვამთ სურნელოვანი მალამო, უკვე დაუბანიათ და დაუზელიათ გვამი და თითქმის ყველა სამზადისი დაუმთავრებიათ. როცა ასკლეპიადე მივიდა, ყურადღებით დაათვალიერა ის, შენიშნა რამდენიმე სიმპტომი, კვლავ ხელით მრავალჯერ გასინჯა იმ კაცის სხეული და აღმოაჩინა, რომ მასში სიცოცხლე ჯერ კიდევ მთლიანად არ გამქრალა. მან მაშინვე იყვირა: „ეს კაცი ცოცხალია! მოაშორეთ ჩირაღდნები და სანთლები, ჩააქრეთ კოცონი, სააღაპე პურ-მარილი სასაფლაოს ბორცვიდან სანადიმო სუფრაზე გადაიტანეთ!“. ატყდა ხმაური დააყალმაყალი, ზოგი მოითხოვდა ექიმისთვის დაეჯერებინათ, ზოგი მედიცინას დასცინოდა. ბოლოს მიუხედავად ახლობელთა პროტესტისა, ... ექიმმა მიაღწია მიცვალებულის დაკრძალვის მცირე ხნით გადავადებას. ასე, რომ ძალით ხელიდან გამოსტაცა მესაფლავეებს და სახლში მიიყვანა. აქ მან დაუყოვნებლივ აღუდგინა სუნთქვა და რაღაც წამლების მეოხებით სასწრაფოდ გააცოცხლა მისი სული .

ასკლეპიადემ თავის სამედიცინო დაკვირვებას საფუძვლად დაუდო ბერძნულ-რომაული ატომისტურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. მისი აზრით, ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ერთიანობის მატერიალური საფუძველი არის ატომები, ატომები წარმოიშვებიან ჰაერში, იჭრებიან ფილტვებში, საჭმელში, ნაწილაკდებიან კუჭში, შემდეგ შედიან სისხლში და მისი მეოხებით, როგორც საკვები, ლაგდებიან მთელი სხეულის ქსოვილებში. ქსოვილებისაკენ ატომთა დინების გზებს, რომლებიც თვალისათვის უჩინარია, ასკლეპიადემ უწოდა ფორები. თუ ატომები ფორებში დაუბრკოლებლად მოძრაობენ და ქსოვილებში სწორად ლაგდებიან, ორგანიზმი ყოველთვის ჯანმრთელია, ხოლო თუ ატომთა მოძრაობა ორგანიძმში რაიმემ დააბრკოლა დადაარღვია, ეს გამოიწვევს ავადმყოფობას.

ატომების მოძრაობისა და განლაგების დარღვევის მიზეზად ასკლეპიადეს მიაჩნია ფორების ზედმეტად შევიწროება ან დასუსტება; ხოლო ფორების ნორმალური მუშაობის დარღვევის მიზეზებს იგი ხედავს ცუდ კლიმატში, ცუდ საცხოვრებელ პირობებში, ცუდ კვებაში, ნაკლებ ან ზედმეტ მოძრაობაში.

ასე რომ დაავადების ეტიოლოგიის საკითხებში ასკლეპიადე მაინც ჰიპოკრატეს მიმდევარია. თუმცა შემდეგ მან მედიცინაში შემოიტანა შემთხვევითობის თეორია, რაც შემდეგში მდგომარეობს:

ადამიანის ცხოვრების ყველა პირობას როგორც გარეგან, ისე შინაგან პროცესებს, მათ ატომთა მოძრაობას განსაზღვრავს შემთხვევითობა. ავადმყოფობა წარმოიშობა შემთხვევით, იგი ვითარდება შემთხვევით და მისთვის სავალდებულო არ არის გაიაროს განვითარების ყველა დამახასიათებელი ფაზა. ამით ასკლეპიადემ ბრძოლა გამოუცხადა პითაგორას, ემპედოკლესა და პლატონის მიმდევრებს, რომლებიც

თვლიდნენ, რომ ავადმყოფობა, როგორც ღვთიური სასჯელი, უეჭველი „ღვთიური კანონზომიერებით გაივლის განვითარების ყოველ ფაზას და დამთავრდება ან სიკვდილით ან ღვთიური პატიებით (მორჩენით).

ასკლეპიადე შემთხვევითობის წინაშე ფატალურ მორჩილებას როდი მოითხოვს. იგი აყალიბებს თერაპიის პრინციპებს: უმთავრესია ექიმის ცდა აღადგინოს ატომთა სწორი მოძრაობა და განლაგება ორგანიზმში. ამისთვის აუცილებელია რეჟიმი: წესიერი კვება, სუფთა ჰაერი (რადგან საკვებით და ჰაერით შედიან ორგანიზმში ატომები) და ფიზიკური ვარჯიში (რადგან ვარჯიში არეგულირებს ატომთა მოძრაობას ფორების საშუალებით). ასკლეპიადეს თერაპიამ სახელი გაითქვა დევიზით: „curare tuto, celetiter et iucunde” („მკურნალობა უსაშიშროდ, სწრაფად და საამოდ).

ასკლეპიადეს ქირურგიამ იცის ყველა ოპერაცია. ტრაქეოტომია მედიცინის ისტორიაში სწორედასკლეპიადეთი იწყება.

მის სამედიცინო სისტემას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ საჭირო აღარ იყო ავადმყოფის კონკრეტულ შემთხვევათა ცალკეული შესწავლა. მათი აზრით, საკმარისია ფორების მდგომარეობის განსაზღვრა. ფიქრობდნენ, რომ უკვე საბოლოოდ მონახულია დიაგნოსტიკისა და თერაპიის უაღრესად სწორი მეთოდი. ამიტომაც ცელსუსმა ასკლეპიადეს მიმდევრებს მეთოდისტები უწოდა. ამავე სახელწოდებით შევიდა მედიცინის ისტორიაში ასკლეპიადეს სკოლა.

ასკლეპიადეს სამედიცინო სისტემას ბრძოლა გამოუცხადეს ცელსუსმა და გალენუსმა.

ავლუს კორნელიუს ცელსუსი ცხოვრობდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე (დაიბადა ძვ.წ. 30 წელს და გარდაიცვალა ახ.წ. 45 წელს). იგი წარმოშობით გავლენიანი და მდიდარი პატრიციუსი იყომას დაუწერია წიგნები სხვადასხვა დარგში - ფილოსოფიაში, რიტორიკაში, სამხედრო საქმეში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში. ამათგან ჩვენამდე მოაღწია სამედიცინო თხზულებამ, რომელსაც ეწოდება რვა წიგნი მედიცინის შესახებ (De medicina libri octo).

წიგნს ეტყობა რომ თვითონ ცელსუსი ექიმი არ ყოფილა. აღნიშნული შრომა წარმოადგენს მისთვის ცნობილ სამედიცინო შემოქმედებათა შეჯამებას.

ცელსუსი სხვადასხვა სამედიცინო მიმდინარეობათა შორის შუალედ მდგომარეობას იჭერდა. იგი წერდა: „არ შეიძლება, რომ რომელიმე მოსაზრებაან მთლიანად მივიღოთ და ან მთლიანად უკუვაგდოთ, არამედ უნდა დავიცვათ შუალედი უკიდურესად დაპირისპირებულ მხარეთა შორის .

ცელსუსის ცნობილი აფორიზმია: “et morbi sunt, et medicina” (სიკვდილიც არის და მედიცინაც), ე.ი. სიკვდილი თავისთვის არის და მედიცინა თავისთვისო. იგი ამ დევიზით იმეორებს იმას, რასაც ქადაგებს რელიგია: ავადმყოფობას ღმერთები აგზავნიან და მის ღვთაებრივ წარმოშობასთან ბრძოლაში მედიცინა სავსებით უძლურია.

ახ.წ. პირველი საუკუნის რომის ექიმთაგან აუცილებლად უნდა დავასახელოთ სორან უფროსი (ეფესოდან) და დიოსკორიდე კილიკიელი.

სორანი ასკლეპიადეს მიმდევარი იყო, მან დაწერა სახელმძღვანელოები მეანობაში, გინეკოლოგიასა და პედიატრიაში.

დიოსკორიდეს შეუდგენია ფარმაციის კრებული და ფარმაკოლოგიური ნაშრომი De medicinali materia”.

რომაული მედიცინის უდიდესი წარმომადგენელია ***კლავდიუს გალენუსი.*** იგი დაიბადა 131 წელს პერგამოსში (მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში). გალენუსის მამა ნიკონი, წარმოშობით ბერძენი, გეომეტრი და ხუროთმოძღვარი იყო. მან, როგორც კულტურულმა და ამავე დროს მდიდარმა კაცმა ყველა ღონე იხმარა რომ მის შვილს კარგი აღზრდა-განათლება მიეღო. 15-16 წლის გალენუსი გულდასმით სწავლობდა ფილოსოფიას, განსაკუთრებით არისტოტელეს მემკვიდრეობას და ფილოსოფიაში ბოლომდე არისტოტელეს მიმდევარი დარჩა. პარალელურად სწავლობდა მედიცინას. მამის გარდაცვალების შემდეგ, 21 წლის გალენუსი გაეშურა სმირნაში და იქ ძირფესვიანად შეისწავლა ანატომია. 158 წელს ის დაბრუნდა პერგამოსში და ექიმობა დაიწყო გლადიატორთა სკოლებში. აქ მან მიიღო დიდი ქირურგიული პრაქტიკა, რადგან ხშირად უხდებოდა დაჭრილ გლადიატორთა მკურნალობა. 164 წელს 34 წლის გალენუსი წავიდა რომში, სადაც ძალიან მალე გაითქვა სახელი სამედიცინო, პედაგოგიური და ლიტერატურული მოღვაწეობით. სამი წლის შემდეგ მოშურნე კოლეგებისაგან შევიწროებული იძულებული გახდა რომიდან წასულიყო. რამდენიმე ხანს იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში და ბოლოს კვლავ მშობლიურ პერგამოსში დასახლდა. მაგრამ მალე მას რომში მოუხმო იმპერატორმა და ფილოსოფოსმა მარკუს ავრელიუსმა. გალენუსი ახალგაზრდა ტახტის მემკვიდრის პირადი ქწიმი გახდა. მან რომში დაასრულა სიცოცხლე 210 წლის მახლობლად.

გალენუსს ოთხასამდე თხზულება ეკუთვნის, მათგან ორასი სამედიცინო ხასიათისაა. დანარჩენები მიეკუთვნება მათემატიკას, გრამატიკას, ფილოსოფიასა და იურისპრუდენციას.

გალენუსი ფიქრობდა, რომ ადამიანის ორგანიზმი რვა ელემენტისაგან შედგება. აქედან ოთხი მკვრივია (ქსოვილები) და ოთხი თხევადი. ამ უკანასკნელთაგან მთავარია სისხლი, რომელიც წარმართავს ყველა მთავარ ძალთა მოქმედებას ადამიანის სხეულში. ხოლო ორგანიზმში არსებულ მთავარ ძალებში გალენუსი გულისხმობდა მამოძრავებელ, გამათბობელ და სააზროვნო ძალებს.

ეტიოლოგიისა და პათოგენეზის საკითხებში გალენუსი მიჰყვებოდა პლატონურ მედიცინას. იგი თვლიდა, რომ ავადმყოფობათა მიზეზი ყოველთვის არის სულისა და სხეულის შეთანხმებულობის დარღვევა.

დიაგნოსტიკასა და თერაპიაში იგი ეყრდნობოდა ჰიპოკრატეს „პროგნოსტიკასა და აფორიზმებს .

გალენუსმა თავისი სამედიცინო მოძღვრება ჩამოაყალიბა თოთხმეტ წიგნიან შრომაში - “Methodus medendi”. ამას გარდა, შედგენილი ჰქონდა მოკლე სამედიცინო სახელმძღვანელო Ars medica”, რომელიც მთელს შუასაუკუნეებშიევროპისა და აზიის ექიმთა სამაგიდო წიგნად ითვლებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გალენუსის წიგნი „ადამიანის სხეულის ნაწილთა სარგებლიანობის შესახებ . იგი მიმართულია ასკლეპიადეს მატერიალისტური მედიცინის წინააღმდეგ. კერძოდ: ჯერ ერთი, ყოველგვარი ცოცხალი არსება თავის აგებულებით წარმოადგენს საოცარ მანქანას , რომელიც ყოვლად შეუძლებელია ატომების შემთხვევითი შეერთებით წარმოიშვას. ისინი შექმნილნი არიან უმაღლესი ხელოვანისაგან, „მსოფლიო გონებისაგან .

მეორეც, ცოცხალ არსთა აგებულების სრულყოფილება აიხსნება იმით, რომ უმაღლესი გონება მათ ქმნის გააზრებით: ჯერ მოხაზავს ფუნქციებს, რომელიც ამა თუ იმ არსმა უნდა შეასრულოს, ხოლო შემდეგ ქმნის თვითონ ამ არსს, რომელიც თავის სიცოცხლეში უნდა ემსახუროს მის შექმნამდე შექმნილი ფუნქციების შესრულებას.

ანატომიაში გალენუსმა ქსოვილები ორ რიგად დაჰყო: ერთგვაროვანნი, ანუ მარტივნი და მრავალგვაროვანნი, ანუ რთულნი. პირველტა შორის გულისხმობდა ძვლებს, იოგებს, ხრტილებს, ნერვებს, კუნთებს, ძარღვებს. ხოლო მეორე რიგს მიაკუთვნებდა ფილტვებს, გულს, კუჭს და სხვ.

იგი გულისყურით იკვლევს თავის ტვინს და ერასისტრატესა და ჰეროფილეს აღმოჩენათა გარდა, ამტკიცებს, რომ ნერვები გამოდიან მხოლოდ ტვინის ქსოვილიდან (ერასისტრატე ფიქრობდა, რომ ზოგი ნერვი გარსიდანაც გამოდისო).

ფიზიოლოგიური კვლევისას გალენუსი ჰკვეთდა თავისა და ზურგის ტვინს და ამის საფუძველზე ბევრი ახალი რამ მოუტანა მედიცინას. მან დაადგინა, რომ ზურგის ტვინის წინა ფესვაკები წარმოადგენს მამოძრავებელს, ხოლო უკანა - შემგრძნებელს.

გალენუსი დარწმუნდა, რომ ნერვები განლაგებული არიან ორგანიზმის ყველა ნაწილში და მათ წყაროს წარმოადგენს თავისა და ზურგის ტვინი.

გალენუსის სამედიცინო სისტემით მთავრდება საერთოდ ანტიკური

მედიცინის ისტორია.[66]

VIII. ქრისტიანობა და მედიცინა

ქრისტიანობის შემოსვლა ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი გამოდგა. ის მკვიდრდებოდა თანდათან, - უფრო განვითარებულ, კულტურულად, მენტალურად მომზადებულ ქვეყნებში, იმ ხალხში რომელიც მზად იყო მიეღო მოსესეული დეკალოგი, რომელსაც უნარი შესწევდა ქრისტესმიერი მადლი ეცნო და გაეთავისებინა. ქრისტიანობის შემოსვლა ძირეულად ცვლის მოსალეობის მენტალიტეტს, მათს დამოკიდებულებას ავადმყოფობასთან და ავადმყოფთან.

ქრისტიანობამდელ მასალაში აშკარად შეიმჩნევა მლოცველის/ადამიანის დათრგუნული სახე, რომელიც მზადაა შესწიროს ყველაზე საყვარელი რამ (ხანდახან ჩვილი ბავშვებიც) ბოროტ, შურისმაძიებელ ღვთაებას. წარმართული პანთეონის ღვთაებები ძალიან ჰგვანან რიგით ადამიანებს, ზოგჯერ მათეული ყველაზე მდაბალი თვისებების მატარებლებიც არიან და ამას არ მალავს არც ერთი მითი. ისინი მრისხანებენ, მრუშობენ, ცადიან ათას ძალმომრეობას, შურს იძიებენ, შურთ, სძულთ. ამ მხრივ ქრისტიანობამ მოახდინა ძლიერი ცვლილება. ადამიანი მრისხანე და არაპროგნოზირებად ღვთაებას კი აღარ ევედრება სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არამედ წმინდანს - კეთილსა და მოყვარეს, სამართლიანს, უფალ ღმერთთან შუამავალს. ანუ ძირეულად იცვლება ადამიანის ზნეობრივი და სოციალური პოზა. კაცობრიობა ახალ გზას ადგება[67].

ბიზანტიის იმპერია

ბიზანტიური ცივილიზაცია ბერძნულ-რომაული სამყაროს პირდაპირ მემკვიდრედაა მიჩნეული. ის ათი საუკუნის განმავლობაში მეტად თვითმყოფადი და ბრწყინვალე კულტურის ცენტრი იყო.

ბიზანტიის, ანუ აღმოსავლეთ რომის სახელმწიფოს ისტორია ჯერ კიდევ ერთიანი რომის იმპერატორის კონსტანტინეს (272-337 წწ.) მართვის დროიდან იწყება. სწორედ კონსტანტინემ გამოაცხადა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად (313 წელს). მანვე დააფუძნა იმპერიის ახალი დედაქალაქი ბოსფორის სანაპიროზე, ძველბერძნულ მცირე ქალაქ ბიზანტიონში. მომავალში ორად გაყოფილი რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს სახელიც აქედან ეწოდა - ბიზანტია, ხოლო დედაქალაქს კი - კონსტანტინოპოლი. კონსტანტინეს ბრძანებით ქალაქ ბიზანტიონში ჩამოიყვანეს ყველაზე ცნობილი არქიტექტორები,

[66] სანიკიძე, ლ., Ibid, 53-60.
[67] შენგელია, რ., Ibid, 106-108.

მშენებლები, მოქანდაკენი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქალაქში 30 სასახლე და ტაძარი, 4 000-ზე მეტი შენობა, ცირკი, ორი თეატრი, იპოდრომი, 150-ზე მეტი აბანო და 8 წყალსაცავი აშენდა. რომის ყველა დიდებული აიძულეს რომ მშენებარე ქალაქში ერთი სახლი მაინც ჰქონოდა. ახალი დედაქალაქი 330 წლის მაისში საზეიმოდ აკურთხეს და კონსტანტინოპოლი უწოდეს. 1453 წლიდან მას სტამბოლი ქვია.

ბიზანტიაში ქრისტიანობა სწრაფად ვრცელდებოდა, თუმცა წარმართული რელიგია და კულტურა იქ დიდხანს თანაარსებობდა ქრისტიანულ კულტურასთან ერთად.[68]

ბასილი დიდი. მე-4 საუკუნეს ქრისტიანობის ისტორიაში ხშირად საუკუნე-მზესაც უწოდებენ და სრულიად სამართლიანადაც. იმ წმინდა მამათა ღვაწლით, რომელთაც ცხოვრება და მოღვაწეობა ამ საუკუნეში მოუხდათ, ქრისტიანულმა ღვთისმეტყველებამ და ფილოსოფიამ საოცარი აღმავლობა განიცადა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე წარმართობისა და თუ ახლად წარმოშობილი ერესებისაგან მის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ამ შთამაგონებელი გამარჯვებისა კესარია-კაპადოკიის მიტროპოლიტი წმინდა ბასილი დიდი იყო.

ბასილი დიდი 330 წლის მახლობელ ხანებში დაიბადა პონტოში, როგორც ვარაუდობენ, ან საგვარეულო მამულში, ან პონტოს დედაქალაქ ნეოკესარიაში. დაბადების ადგილს მკვლევარები გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ, იქიდან გამომდინარე, რომ მეცნიერებაში ეჭვქვეშაა დაყენებული ბასილის ბერძნული წარმომავლობა.

უპირველეს ყოვლისა, მეცნიერთა ყურადღება მიიქცია ამფილოქე იკონიელის მიერ წმ. ბასილის ცხოვრებაში მოწოდებულმა ერთმა ცნობამ, სახელდობრ, ათენში სწავლის გასაგრძელებლად წასული ბასილის შესახებ იგი წერს: „და მუნთქუესვე დაუტევა ქუეყანაი თვისი, რამეთუ კაპადოკიელი იყო ნათესავით და მივიდა დედასა სიტყუათასა ათენს . სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, თუ ნათესავით ანუ ეროვნებით კაპადოკიელებში ბიზანტირლრბი ვის გულისხმობდნენ. ჯერ კიდევ გვიანანტიკურ წყაროებში დადასტურებულია, რომ კაპადოკიელი ეთნიკური ტერმინი იყო და იგი მესხს ნიშნავდა.

ბასილის წინაპრების მამული პონტოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ირისის მარჯვენა სანაპიროზე, ნეოკესარიის მახლობლად უნდა ყოფილიყო. ამ მხარეში კი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა დადასტურებული, ძირითად მოსახლეობას ყოველთვის ამ ადგილის მკვიდრნი - ქართველური ტომები შეადგენდნენ. სწორედ საგვარეულო მამულში, მდ. ირისის მარჯვენა ნაპირას, ანისში დააარსა

[68] Ibid, 114-115.

ბასილი დიდმა თავისი მონასტერი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ კუთხესთან.

პირველ იანვარს (ძვ. სტილით), წმ. ბასილის ხსენების დღეს, ეკლესიის დიდი მასწავლებლისადმი თავის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ჩვენი ხალხი თავისებურად გამოხატავდა. მაგ., გურიაში აკეთებდნენ ჩიჩილაკს და მას სიყვარულით ბასილის წვერებს უწოდებდნენ. საყურადღებოა, რომ ქათქათა ბურბუშელები არა წმინდა მამის მხცოვანობაზე (იგი 49 წლის გარდაიცვალა), არამედ მის სულიერ სისპეტაკეზე მიუთითებდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აცხობდნენ სპეციალურ პურებს, რომელთაც ბასილები ეწოდებოდათ. თავდაპირველად განათლების მისაღებად ბასილი კესარიაში გაემგზავრა, შემდეგ კონსტანტინოპოლში წავიდა, ხოლო იქიდან - ათენში. ათენის აკადემია ამ დროისათვის მეცნიერებისა და ფილოსოფიური აზროვნების ცენტრს წარმოადგენდა. რიროტიკისა და ფილოსოფიის გარდა, ბასილს საფუძვლიანი ცოდნა შეუძენია თვით ისეთ მეცნიერებებშიც კი, როგორიცაა ასტრონომია, გეომეტრია, ბუნებისმეტყველება, მედიცინა. მედიცინის შესწავლაში მისთვის ხელი შეუწყვია საკუთარი სხეულის უძლურებებს და ავადმყოფთა მოვლა-პატრონობას, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა.

დაახლოებით 30 წლისა მოინათლა. ამის შემდეგ, მან თავისი მონასტერი დააარსა პონტოში. მონასტრის საქმიანობაში შედიოდა ქველმოქმედება და ორივე სქესის ბავშვების აღზრდა.

364 წელს, ბასილი კესარიის ეპისკოპოსის თანაშემწე გახდა. კესარიაში მისი პპოპულარობის გაზრდას დიდად სეუწყო ხელი ერთმა ფაქტმაც, სახელდობრ, კაპადოკიას 368 წელს გვალვა დაატყდა თავს და დიდი შიმშილობა გამოიწვია. ბასილმა მემკვიდრეობით მიღებული საგვარეულო მამული გაყიდა და აღებული ფულით მშიერ კესარიელებს კვებავდა.

370 წელს ბასილი დიდი კესარიის ეპისკოპოსად აკურთხეს. მრავალ მოღვაწეობათა შორის, რომელსაც იგი ეწეოდა აღსანიშნავია ის, რომ მან საეკლესიო ქველმოქმედების მთელი სისტემა შექმნა. კესარიის მახლობლად პატარა ქალაქი გააშენა საქველმოქმედო დაწესებულებებისა. აქ იყო ყოველგვარი სახელოსნო მათთვის, ვისაც მუშაობა შეეძლო, საავადმყოფოები, იზოლირებული ლეპროზორიები კეთროვანთათვის, მოგზაურთა მიმღები სახლები. მსგავსი დაწესებულებები თავთავიანთ ეპარქიებში მისმა ქვეშევრდომმა ეპისკოპოსებმაც დააარსეს. გრიგოლ ღვთისმეტყველი ხაზგასმით აღნიშნავს ბასილის დამოკიდებულებას კეთროვნებთან, იგი არა თუ მათთან ურთიერთობას ერიდებოდა, არამედ, პირიქით, ამბორისყოფით ესალმებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვრცელი ეპარქიის მართვა, ბრძოლა

ერეტიკული ხელისუფლების ხელყოფისაგან ეკლესიის დასაცავად დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, ბასილი დიდმა მაინც შეძლო აზროვნებისთვისაც მოეცალა და იმგვარი საღვთისმეტყველო თხზულებანი შექმნა, რომელთაც მას მსოფლიო ეკლესიის მოძღვრის სახელი მოუპოვეს.

ბასილი კესარიელი 379 წლის პირველ იანვარს გარდაიცვალა. [69]

სამედიცინო ცოდნის განვითარება. ბიზანტიის იმპერიაში მედიცინის სწავლის მთავარ წყაროდ და საფუძვლად ჰიპოკრატეს კრებული და გალენის ნაშრომი ითვლებოდა.

იმპერიის ერთ-ერთი სახელგანთქმული ექიმი იყო ორიბაზი, წარმოშობით მცირეაზიელი, რომელიც ბერძნულად წერდა (325-403 წწ.). მან მედიცინა ალექსანდრიაში შეისწავლა. მისი მასწავლებელი იყო ზენონი. ორიბაზი იყო იმპერატორ იულიანეს მეგობარი და ექიმი. საკმაოდ წიგნიერმა იმპერატორმა ქრისტიანული რელიგია არ მიიღო და ყველანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა ანტიკური ცივილიზაციის მემკვიდრეობა. მისი თხოვნით, ორიბაზმა 361 წელს შექმნა ენციკლოპედიური თხზულება საექიმო კრებული , 72 წიგნად. ორიბაზმა აქ აღწერა მთელი სამედიცინო მემკვიდრეობა ჰიპოკრატედან გალენამდე. თავისი შვილის - ევსტათეს თხოვნით, რომელიც ასევე მედიცინას სწავლობდა, ორიბასმა შეადგინა შემოკლებული ვარიანტიც ე.წ. „სინოპსისი .

იმპერატორ იულიანეს სიკვდილის შემდეგ, ორიბაზი განდევნილ იქნა კონსტანტინოპოლიდან წარმართული რწმენის ერთგულებისათვის.

პირველი გამოჩენილი ქრისტიანი ექიმი ბიზანტიაში გახლდათ აეციუსი ამიდიდან (502-572 წწ.). მის თანამედროვეთაგან ცნობილი იყო ალექსანდრე ტრალიდან (525-605). იგი ექიმის ოჯახიდან იყო, მისი ძმა კი აია სოფიას ტაძრის მშენებელი, არქიტექტორი - ანთიმიოსი გახლდათ. ალექსანდრეს 12 ტომიანი ნაშრომი ლათინურ, არაბულ, სირიულ და ებრაულ ენებზე თარგმნეს. მას მთელ მსოფლიოში ალექსანდრე მკურნალს უწოდებდნენ. ის ბევრს მოგზაურობდა. გარდაიცვალა რომში, სადაც პაპის მიწვევით ქალაქის არქიატრის მოვალეობას ასრულებდა ჭირის ეპიდემიის დროს. ეს საშინელი ეპიდემია ეგვიპტიდან გავრცელდა ევროპაში და 60 წელი გრძელდებოდა. მარტო კონსტანტინოპოლში ყოველდღიურად ეპიდემიის მძვინვარების პიკზე 542 წელს რამდენიმე ათასი ადამიანი კვდებოდა.

ბიზანტიის გამოჩენილი ექიმი იყო პავლე ეგინელი (625-690 წწ.). მისი მოღვაწეობა მთლიანად არის დაკავშირებული ალექსანდრიასთან,

[69] წმინდა ბასილი დიდი, თხზულებანი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბილისი, 2002, 5-41.

სადაც ის სწავლობდა და მუშაობდა. ამ დროს ეგვიპტე ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მას მერე, რაც ის არაბებმა დაიპყრეს, პავლე მშობლიურ ქალაქში დარჩა და დიდი პატივით სარგებლობდა სამპყრობელთაგან.

პავლემ ორი დიდი ნაშრომი დატოვა: ერთი - ქალთა დაავადების შესახებ (რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია) და მეორე - მედიკო-ქირურგიული კრებული 7 წიგნად. რენესანსის ეპოქაში, მედიცინის ფაკულტეტების ჩამოყალიბებისას (მაგ., პარიზის უნივერსიტეტში) ქირურგიის შესასწავლად მხოლოდ პავლეს ნაშრომს აძლევდნენ უპირატესობას. მასში აღწერილი ოპერაციები კლასიკურად მე-17 საუკუნემდე ითვლებოდა. თვითონ პავლეს კი ყველაზე გამბედავი ქირურგის რეპუტაცია ჰქონდა.

უნდა ითქვას, რომ ბიზანტიელი ექიმები დროთა განმავლობაში არა მარტო ანტიკურ მემკვიდრეობას ეყრდნობოდნენ, არამედ ასპარეზზე გამოჩენილ მაღალი ხარისხის არაბულენოვან სამედიცინო ლიტერატურასაც იყენებენ. პოპულარული გახდა წამლების არაბული რეცეპტები. არაბული მედიცინის გავლენა იგრძნობა გვიან ბიზანტიელ ავტორთა ნაშრომებშიც.

სამონასტრო საავადმყოფოები. სამონასტრო საქმის ისტორია მე-4 საუკუნის დასაწყისში დაიწყო, როდესაც ეგვიპტის ტერიტორიაზე პირველი მეუდაბნოები გაჩნდნენ. უდაბნოს პირველი მცხოვრებნი - ანაჰორეტები, ანუ განდეგილები დაუსახლებელ ადგილას მცხოვრები ბერები იყვნენ. პირველი საერთო საცხოვრებელი მონასტერი - კინობია ეგვიპტეში 320 წელს დაარსდა. ამის შემდგომ სამონასტრო ცხოვრება მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთს მოედო: პალესტინაში, სირიაში, საქართველოსა და სომხეთში. მონასტერი თანდათან გახდა ადგილი, სადაც კულტურული საქმიანობა დუღდა: კითხულობდნენ, წერდნენ, თარგმნიდნენ წიგნებს. ომისა და ეპიდემიების დროს იფარებდნენ დაჭრილებსა და სნეულებს, მშვიდობიანობისას - მოხუცებულებსა და ბავშვებს, უპოვარებს. ასე შეიქმნა პირველი სამონასტრო თავშესაფრები, რომელთაც ქსენოდოქიები ეწოდათ და სამონასტრო საავადმყოფოების პირველ სახეს წარმოადგენდა.

პირველი დიდი ქრისტიანული საავადმყოფო კაბადოკიის კესარიაში 370 წელს ბასილი დიდმა ააშენა. ის პატარა ქალაქს ჰგავდა: იმ დროისათვის ცნობილი ყველა დაავადებით დასნეულებულთათვის ცალკე ნაგებობა იყო გამოყოფილი, სადაც არა მარტო მკურნალობდნენ, არამედ შეისწავლიდნენ კიდეც დაავადებებს.

ბიზანტიაში საავადმყოფო საქმე თანდათანობით უფრო ვითარდებოდა. მე-12 საუკუნეში კონსტანტინოპოლის პანტოკრატორის საავადმყოფოში 5 განყოფილება იყო, რომელშიც ცალკე შედიოდა ქალთა დაავადებების განყოფილება. ლოგინთა რიცხვი 50-ს აღწევდა. ექიმების მუდმივი შტატი

მუშაობდა, რომლებიც თვეში ერთხელ ცვლიდნენ ერთმანეთს. ანაზღაურებას იღებდნენ ფულით და პროდუქტებით, სარგებლობდნენ უფასო სამონასტრო საცხოვრებლით და ცხენებით. მათ იმპერატორის სპეციალური ნებართვის გარეშე კერძო პრაქტიკის უფლება არ ჰქონდათ.[70]

IX. მედიცინა ძველ საქართველოში

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ სამედიცინო საქმე მთლიანად ეკლესიის პრეროგატივა ხდება. არ არის აკრძალული პროფესიონალი ექიმების მოღვაწეობა. პირიქით, მარტვირი საბაწმინდელის თხზულებაში (მე-6 ს.), მაშინ როდესაც ლავრაში მოღვაწე მამები ვერაფრით შველიან სნეულს, დახელოვნებულ მკურნალს იწვევენ ქალაქიდან.

ეკლესიებთანაა მოწყობილი სასნეულოები, თავშესაფრები, ფსიქიკურად დაავადებულთა საავადმყოფოები. ყველა საეკლესიო მოღვაწე გარკვეულ სამედიცინო ცოდნას ფლობს.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ქართველი წმინდანი - წმინდა ნინო, წმ. შუშანიკი, ცამეტი ასურელი მამა, მსოფლიოში სახელგანთქმული ილარიონ ქართველი, გრიგოლ ხანძთელი, ათონელი მამები - მკურნალებიც არიან. მათ მიერ მოხდა საქართველოს ეკლესიაში სამედიცინო ტრადიციების დაფუძნება, რომლის ძირითადი ნიშან-თვისებებია:

1. „უვერცხლო მკურნალობა - ანუ მკურნალობა გასამრჯელოს გარეშე.
2. ავადმყოფის მოვლა, მის გვერდით ყოფნა და თავგანწირვა. ძველ აღთქმაში აღწერილია, თუ რამდენი ხნით უნდა მოხდეს სხვადასხვა დაავადების დროს ავადმყოფის თემისგან გარიდება. მკაცრად იკრძალებოდა მიახლოებაც კი. ეს ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული ჩანს, მაგრამ მეორე მხრივ, ავადმყოფის ბედის ანაბარა მიტოვებაა. ქრისტიანობა აქაც მეტად გაბედულ ნაბიჯს დგამს. ჭეშმარიტი მამა და მოძღვარი არასდროს ტოვებდა გაჭირვების ჟამს, თუნდაც ეპიდემიების დროს თავის მრევლს.
3. ეკლესიამ თავის წიაღში ადგილი მიუჩინა ისე მძიმედ დაავადებულ ადამიანებს, როგორებიც იყვნენე კეთროვანები და ფსიქიური ავადმყოფები. სამოქალაქო საზოგადოება მათზე ზრუნვას თავის თავზე მხოლოდ შუასაუკუნეებში იღებს.

წმინდა ნინო. „წმინდა ნინოს ცხოვრება საქართველოში

[70] შენგელია, რ., Ibid, 119-121.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების ისტორიულ ფაქტს აღწერს. როგორც ავტორის მონათხრობიდან ჩანს, წმინდა ნინოს ქართლში წარმატებული მოღვაწეობის ერთ-ერთი მიზეზი, თვინიერ ღვთაებრივი კურთხევისა, მისი სამედიცინო ცოდნაც გახლდათ. თავიდან მან სახელი მძიმედ დაავადებული ბავშვის განკურნებით მოიპოვა, შემდეგ იყო მებაღის ოჯახი, თვითონ დედოფალი ნანა. კაბადოკიელი ქალწული ღვთისაგან მონიჭებული ძალითა და ადამიანისაგან ნასწავლი სამკურნალო საშუალებებით სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ანიჭებდა ხალხს. ამავე დროს, ქვეყანაში არსებობდნენ თურმე მეცნიერნი კურნებისა , „ხელოვანნი მკურნალნი , რომელთაც მავანი ავადმყოფი „შეისწავლეს იგი ყოველთა , მაგრამ აროდეს ჰპოვეს სარგებელი კურნებისა ყრმისა მისთვის და ბოლოს ისევ წმინდა ნინოს მიაკითხეს.

წმინდა ნინომ მრავალი ავადმყოფი განკურნა, მაგრამ თვითონ სრულიად ახალგაზრდა დასნეულდა.

შატბერდული რედაქციის თანახმად წმინდა ნინო 31 წლის გარდაცვლილა (ქართლში მოსვლიდან მეათხუთმეტსა წელსა , ხოლო ქართლში იგი 16 წლისა მოვიდა). ჭელიშურის თანახმად კი - 51 წლისა („ოც და მეათხუთმეტესა წელსა 16+35).

„მოქცევაი ქართლისაის ცნობით, წმინდა ნინო რაღაც უცნობი სნეულებით გარდაცვლილა. ახლად აღმოჩენილი მოქცევაი ქართლისაის სინური რედაქციის თანახმად, კაბადოკიელი ქალწული უნდა დასნეულებულიყო და გარდაცვლილიყო ივრისა და ალაზნის ხეობების არეალში გავრცელებული სენით - მალარიით.

წმინდა შუშანიკი. უძველეს ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებში - „წმ. შუშანიკის წამება აღწერილია ვარსქენ პიტიახშის მეუღლის შუშანიკის მოწამეობრივი ცხოვრება და ღვაწლი. ვარსქენმა ის აწამა და სამარის კარამდე მიიყვანა. ნაწარმოები შექმნილია კარის მოძღვრის, იაკობ ხუცესის (ცურტაველის) მიერ, რომელიც, როგორც მონათხრობიდან ჩანს, საექიმო საქმეშიც ყოფილა გაწაფული. ხუცესმა ნაგვემ-ნატანჯი შუშანიკი მოინახულადა წამლებისა და სალბუნების დადება შესთავაზა. წამებაგამოვლილი შუშანიკი მალე თვითონ ხდება მკურნალი და სასწაულმოქმედი. ეს ბუნებრივია: მთლიანმა სულიერმა კათარზისმა მასში მიძინებული და ღვთივმონიჭებული ძალები აამოძრავა, გონი გაუხსნა და სხვისთვის მიუწვდომელი ჰორიზონტები დაანახვა. იგი სპარსელ ქალს რჯულსაც კი შეაცვლევინებს და ისე მოარჩენს სნეულებისაგან.

პეტრე იბერიელი და მისი საავადმყოფო პალესტინაში. პეტრე იბერი ქართლის მეფის ვარაზ-ბაქარის შვილი იყო. ერისკაცობაში პეტრეს მურვანოზი ერქვა. ვარაზ-ბაქარმა თავისი 14 წლის მემკვიდრე მძევლად გაგზავნა ბიზანტიის კეისრის კარზე, კონსტანტინოპოლში. იქ აღიზარდა მურვანოზი, მიიღო ღრმა ფილოსოფიური, თეოლოგიური და

როგორც ჩანს, სამედიცინო განათლებაც. შემდგომ პერიოდში პეტრე იბერი მაიუმის ეპისკოპოსი გახდა. მას საავადმყოფო გაუხსნია და ავადმყოფებსაც ღებულობდა პირადად.

პეტრე იბერის საექიმო მოღვაწეობაზე ქართლის ცხოვრებაც მოგვითხრობს. მოვიდა რა მურვანოზი იერუსალიმედ , „უწოდეს პეტრე, ხოლო საჭურისსა იოვანე (იგულისხმება იოანე ლაზი, პეტრეს მასწავლებელი და აღმზრდელი), რომელთა ღვაწლნი და შრომანი გამოუთქმელ არიან და აღაშენნეს მონასტერნი და ქსენონი , ის „უშვილოთა შვილიერ, სნეულთა განკურნებდა, უნაყოფოთა ნაყოფიერ ჰყოფდა . აქვე ვკითხულობთ, რომ როდესაც პეტრემ მოვლნა ყოველნი უდაბნონი ეგვიპტისანი და კვლავ დაუბრუნდა იერუსალიმს, ის კუალად მონასტერსა და ქსენონსა თავისსა მოიქცა .

პალესტინაში მოღვაწეობისას პეტრე აშკარაა ზრუნავდა თავის სამშობლოზე. მას იქ აუშენებია მონასტერი, რომელსაც ჰქვიან ქართველისა მონასტერი , თვით იერუსალიმში მან აღაშენა სახლი სასტუმრო ქალაქსა შინა და განუსვენებდა მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა .

უძველეს ქართულ წყაროებში შემონახულია ცნობები პეტრეს დედის, დედოფალ ბაკურდუხტის სამედიცინო მოღვაწეობის შესახებ. პეტრე იბერის ცხოვრების აღმწერი ზაქარია ქართველი წერს, რომ პეტრე ქართველის დედას ბაკურდუხტს მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებია .[71]

ბიბლიოგრაფია:

1. herodote, istoria, Targmna T. yauxCiSvilma, t. I, Tbilisi, 1975;
2. homerosi, “iliada”, Targmani da komentarebi r. miminoSvilisa, Tbilisi, 1979;
3. წმინდა ბასილი დიდი, თხზულებანი, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გვანცა კოპლატაძემ, თბილისი, 2002;
4. Corpus Hippocratica, ნ. გაფრინდაშვილისა და მ. გაფრინდაშვილისთარგმანი, თბილისი, 2008;
5. Страбон, География, перевод Г. А. Стратановского, Москва, 1964;
6. Der Neue Pauly, Enzyklopadie der Antike, 7, J. B. Metzler Stuttgard-Weimar, 1999;
7. Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь, Т. II, Москва, 1958;
8. Мифология, Энциклопедия, главный редактор Е. М. Мелетнский, Москва, 2003;
9. Тресиддер Дж. , Словарь символов, Москва, 1999;

[71] Ibid, 108-111.

10. Энциклопедия символов, знаков, эмблем. Москва, 1999;

11. ბერძნული მითების სამყარო, ქაოსიდან კოსმოსამდე, წინათქმა, თხრობა, კომენტარები რისმაგ გორდეზიანისა, თბილისი, 1998;
12. ბერძნული მითების სამყარო, ზღვა და მიწისქვეშთი, მცირე ღვთაებანი, თხრობა და კომენტარები ვ. ჯუღელისა, თბილისი, 1998;
13. გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია, თბილისი, 1988;
14. მსოფლიო მედიცინის მოკლე ისტორია, ტფ.1930;
15. სანიკიძე, ლ., ძველი მედიცინის ისტორია, თბილისი, 1997;
16. ფარულავა გიორგი, სამედიცინო ბიოლოგია, თბილისი, 2013;
17. ყაუხჩიშვილი, თ., ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1965;

18. შენგელია მიხეილ, მედიცინის ისტორია, თბილისი, 1988;

19. შენგელია, რ., მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია, თბილისი, 2012
20. ჩიმაკაძე ზ., დაუშვილი რ., მედიცინის მამა - დიდი ჰიპოკრატე, თბილისი, 2007;
21. ჯანელიძე, ც., მედიცინის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2009;
22. Andrews, Edmund: A History of Scientific English, N.Y. 1947;
23. Charen, T., The Etymology of medicine, Washington, www.ncbi.nlm.nih.gov
24. Lewis, Charlton T.: An Elementary Latin Dictionary, N.Y. 1918;
25. Skinner, Henry Alan: The Origin of Medical Terms, Baltimore, 1949;
26. Онианс Р., На Коленях богов, пер. Л. Сумм, Москва, 1999.